პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8-81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებ სათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

- შეტაკება პოლონეთ - ლიტვის საზღვარზე
- ვენის „როტე ფანეს“ სისტემატიური კონფისკაცია
- იაპონია მოითხოვს არსებული საზღვაო შეიარაღების პროპორციის შეცვლას მის სასარგებლოდ
- პოლიტ - პატიმრების შიმშილობა ვარშავის ციხეებში
- ამერიკელმა რეფორმისტებმა ჩაშალეს ფეიქრების გაფიცვა ჩრდ. კაროლინას შტატში
- დირიჟაბლი „გრაფი ცეპელინი“ დაზიანების გამო ტოკიოში შეჩერდა

შაბათი, 24 აგვისტო 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 194 (2540)

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა სექტემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

დაუძლეველი წინააღმდეგობანი

როდესაც დაინტერესებულმა იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა გადასწყვიტეს პოლიტიკური სარეპარაციო კონფერენციის მოწვევა, მათ იგი დიდის ამბით მონათლეს „ომის შედეგების სალიკვიდაციო“ კონფერენციად. ისე გამოდიოდა, თითქო კაპიტალისტურ სახელმწიფო მოღვაწეთა კრება რაღაც „სასწაულის“ საშუალებით მოსპობდა მსოფლიო ომის გამომწვევ მიზეზებს და შეარიგებდა იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც უფრო გაღრმავდა ამ ომის შედეგად.

სინამდვილემ, როგორც მოსალოდნელი იყო სულ სხვა გვიჩვენა. ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში იშვიათი იყო ისეთი კონფერენცია, რომელზედაც ამგვარ ფართე მასშტაბით, საჯაროდ და მწვავედ გამოაშკარავებულიყოს კაპიტალისტურ მსოფლიოს ძირითადი წინააღმდეგობანი, როგორც ეს ხდება ჰააგაში თავმოყრილ მინისტრების კრებაზე.

უკვე 20 დღეა, რაც ჰააგაში წარმოებს დაუნდობელი ბრძოლა ომის შედეგების „ლიკვიდატორთა“ შორის, ბრძოლა, რომელიც ყველასთვის ნათელს ხდის კაპიტალიზმის ღრმა კრიზისს და იმპერიალისტურ სახელმწიფოთა გადაულახავ წინააღმდეგობებს. კონფერენცია მოემწყვდა ჩიხში, საიდანაც გამოსავალი არ მოსჩანს.

პირველ ყოვლისა აქ ყურადღებას იქცევს ინგლისის „მუშათა“ მთავრობის დელეგატების პოზიცია. ინგლისის ბურჟუაზიული პრესა ერთხმად აღნიშნავს, რომ ინგლისის კაპიტალი ვერ იპოვიდა თავის ინტერესების უკეთეს დამცველებს, ვინემ სნოუდენი და ჰენდერსონია, რომლებსაც ლონდონიდან „თვით“ მაკდონალდი „ამხნევებს“. სნოუდენი აცხადებს: „ჩვენ ვცდილობთ კვლავ მოუპოვოთ თავისი ადგილი ინგლისის უფლებას. უკანასკნელ წლებში ინგლისი იყო იმდენად დამთმობი, რომ მას ანგარიშს არ უწევდნენ და ამით სხვები სარგებლობდნენ. დადგა მომენტი, როცა ინგლისი ისევ იკავებს თავის ადგილს მსოფლიოში“. აქ ერთი მხრით მკაფიოდ აღიარებულია ინგლისის საერთაშორისო პოზიციების შერყევა, ხოლო მეორე მხრივ ის ფაქტი, რომ „მუშათა“ მთავრობა თავის უპირველეს დანიშნულებას ხედავს ინგლისის იმპერიალიზმის განმტკიცებაში და მისთვის მსოფლიო ჰეგემონის როლის დაბრუნებაში.

რომ ინგლისის კაპიტალიზმის მსოფლიო ბატონობა შერყეულია, ეს, სხვას რო თავი დავანებოთ, იქიდანაც სჩანს, რომ იუნგის გეგმით, დაუესის გეგმასთან განსხვავებით, საგრძნობლად შელახულია მისი ინტერესები. ინგლისის წილი სარეპარაციო თანხების განაწილების დროს შემცირებულია ყოველწლიურად 48 მილიონი ოქროს მარკით, მაშინ როცა საფრანგეთის, იტალიის და ბელგიის წილი გადიდებულია. ამასთან ინგლისის ეს დაკლებული წილიც მიეცემა არა პირველი რიგის და უდავო სარეპარაციო გადასახადიდან, არამედ უკანასკნელი რიგის და სათუო თანხებიდან. ასეთი ცვლილებები ინგლისის საზიანოდ, ცხადია, შეტანილ იქნა ამერიკელ ბანკირების ხელმძღვანელობით, რომელნიც იუნგის გეგმის ავტორები არიან. აქ აშკარად გამოიხატა ინგლის - ამერიკის მეტოქეობა და უკანასკნელის მიერ პირველის დასუსტების ცდა. სნოუდენი ამის წინააღმდეგ გადაჭრით ილაშქრებს და მოითხოვს როგორც სარეპარაციო ჯამის ხელახლა განაწილებას, ისე ინგლისის წილის შეტანას ე. წ. უდავო გადასახადების ანგარიშში. ამასთან ინგლისის დელეგაცია მოითხოვს იმ მუხლის შეცვლას იუნგის გეგმაში, რომლის მიხედვით გერმანიას უფლება ეძლევა რეპარაციების ნაწილი ნატურით შეიტანოს. აქ თავს იჩენს ძირითადი წინააღმდეგობა კაპიტალისტურ სახელმწიფოებ შორის — ბრძოლა ბაზრებისათვის.

მეორე ინტერნაციონალის ხელმძღვანელ წევრებს — ინგლისელ მინისტრებს არაფერი აქვთ საწინააღმდეგო, რომ მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილება გერმანიის ხარჯზე მოხდეს, თუმცა გერმანიას სათავეში უდგანან მათივე კოლეგები.

საგულისხმოა, რომ ინგლისის დელეგაციის ასეთი პოზიციის გამო, გერმანიის სოც.-დემოკრატიის მთავარი ორგანო „ფორვერტს“ მოთქვამს მეორე ინტერნაციონალის „პრესტიჟის“ შერყევაზე. ხოლო ფრანგი „სოციალისტების“ მეთაური ბლიუმი ამბობს, რომ იუნგის გეგმა მეორე ინტერნაციონალის პოლიტიკას ეთანხმება და მისი გადასინჯვა სნოუდენმა არ უნდა მოითხოვოს. გერმანიის გაძვალტყავების გეგმა მისაღებია ბლიუმებისათვის, რადგან ის საფრანგეთის კაპიტალის ინტერესებს იცავს. „სოციალისტების“ ბანაკში მოიპოვებიან ისეთი ელემენტებიც, რომელნიც სნოუდენ. - ჰენდერსონის მოთხოვნებს აღიარებენ სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებად: მაკდონალდის მთავრობის ავტორიტეტი ამაღლდება (ცხადია, ინგლისის ბურჟუაზიის თვალში) და რეპარაციებიდან მიღებულ გადიდებულ თანხებს ის უმუშევართა უზრუნველყოფას მოახმარსო. ჯერ ერთი, ზღაპარია, რომ ინგლისის წილი რეპარაციებიდან ამ დანიშნულებისათვის იქნება გამოყენებული და, შემდეგ, რეპარაციებს ხომ გერმანელი მუშა იხდის.

ამრიგად, მეორე ინტერნაციონალის პოზიცია იუნგის გეგმის საკითხში ერთხელ კიდევ ააშკარავებს, რომ „სოციალისტური“ პარტიები, როგორც ყოველთვის, ახლაც გვერდში უდგანან თავის „მშობლიურ ბურჟუაზიას“ და მის დავალებას ასრულებენ.

მაგრამ დაუბრუნდეთ ჰააგის კონფერენციაზე წამოჭრილ სხვა უთანხმოებებს. ყველაზე უმთავრესი ე. წ. სარეპარაციო ბანკის საკითხია. იუნგის გეგმა ითვალისწინებს ასეთი ბანკის დაარსებას. მისი დანიშნულებაა არა მარტო რეპარაციებთან დაკავშირებულ ოპერაციების წარმოება, არამედ გადამწყვეტი მნიშვნელობა იმ გარემოებას აქვს, რომ ეს ბანკი უნდა გახდეს მსოფლიო ფინანსიურ პოლიტიკის იარაღად. ვინც ჩაიგდებს ხელმძღვანელ როლს ამ ბანკში და რომელი ქვეყნის კაპიტალიც იქნება იქ მეტი, ის განამტკიცებს თავის ბატონობას დანარჩენ სახელმწიფოებზე, აშკარაა, რომ ბანკში პირველობას ამერიკა ითამაშებს, ვინაიდან ის ყველაზე უფრო მძლავრია ფინანსიურად. ის სარეპარაციო ბანკს გამოიყენებს კერძოდ ინგლისის დასამორჩილებლად. აქედან— ინგლისი ყოველნაირად ცდილობს სარეპარაციო ბანკი ლონდონში იქნას მოწყობილი, რომ მასზე გავლენა მოახდინოს. ის ამასთან ლამობს ამ ბანკში ჰქონდეს შედარებით დიდი კაპიტალი და მის ხელმძღვანელ ორგანოში მეტი ადგილები მიიღოს.

კონფერენციის დღის წესრიგში, ფინანსიურ საკითხებთან ერთად, დგას დიდმნიშვნელობის პოლიტიკური საკითხი, რომელიც უმთავრესად ეხება რეინის ვადამდე დაცლას. ბრიანი ყოველნაირად აჭიანურებს ამ მხრივ გერმანიის დაკმაყოფილებას. ამავე დროს ის მოითხოვს საკონტროლო კომისიის დაარსებას ამ პროვინციაში, თუ ის გან თავისუფლებული იქნება. მაშასადამე, გერმანიას, რომელიც იუნგის გეგმაზე დათანხმდა პირველ ყოვლისა პოლიტიკურ დათმობების მიღების იმედით, ხელში არაფერი რჩება.

ამრიგად, კონფერენციაზე ერთხელ კიდევ მკაფიოთ იჩინეს თავი იმ წინააღმდეგობებმა, რომელნიც ღრღნიან კაპიტალისტურ ქვეყნიერებას. კონფერენციის მსვლელობა ნათელყოფს, რომ ლაპარაკი შეიძლება არა ომის შედეგების „ლიკვიდაციაზე“, არამედ ახალი ხოცვა - ჟლეტის საფრთხეზე, რომელიც სულ უფრო რეალური ხდება. კიდეც რომ მიაღწიონ რაიმე კომპრომისს, თუ დღეს არა შემდეგში, იუნგის გეგმის გარშემო, ეს კომპრომისი, რა თქმა უნდა, ძირმომპალი იქნება და ის საგრძნობლად ვერ შესცვლის არსებულ მდგომარეობას.

უშედეგო თათბირი ჰააგაში

მოლაპარაკებამ რეინის ოლქის დაცლის შესახებ არავითარი ნაყოფი არ გამოიღო

შეერთებულ შტატების პრესა აღიარებს საბჭოთა მთავრობის ზომიერებას ჩინეთთან კონფლიქტში

მასიური დემონსტრაცია ლონდონში ჩინელ გენერლების პროვოკაციის წინააღმდეგ

ნანკინის საომარი სამზადისი

ჯარს აგროვებენ საზღვართან

ტოკიო, 22 აგვისტო. ხარბინის ყველა საზოგადოებრივი და სასკოლო შენობა ხელისუფლებამ დაიჭირა ნაწილობრივ ჯარის დასაბინავებლად, ხოლო ნაწილობრივ ახლად დაპატიმრებულ საბჭოთა მოქალაქეების მოსათავსებლად, რისთვისაც შენობებს რკინის ხლართებს უკეთებენ.

მუკდენში გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა, რომ ჩინეთის სარდლობამ უბრძანა მნიშვნელოვან საავიაციო რაზმს და ტანკებს — გაემართონ საზღვრისაკენ (ადს).

ტოკიო, 22 აგვისტო. მუკდენიდან მიღებული ცნობებით, ჩან-სუე-ლიანმა ბრძანება გასცა — დაუყოვნებლივ მოხდეს შვიდი ბრიგადის მობილიზაცია და აღნიშნული ნაწილები ჩრდილოეთისაკენ გაიგზავნოს (ადს).

პეკინი, 22 აგვისტო. მუკდენის სარდლობა კიდევ აგზავნის ჩრდილოეთისაკენ ოთხ ქვეითა ბრიგადას (ადს).

შანხაი, 22 აგვისტო. ჩან-სუე-ლიანმა ბრძანება გასცა — მოხდეს მუკდენის რეზერვების მობილიზაცია (ადს).

მდგომარეობა მანჯურიაში

ჩიტა, 23 აგვისტო. თეთრგვარდიელთა ბანდების და ჩინეთის ჯარის ნაწილების გაბოროტებულმა თავდასხმამ ჩვენს საზღვარზე ამ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული პანიკა გამოიწვია მანჯურიაში, სადაც ცხოვრება საბოლოოდ ჩაკვდა. მოსახლეობა გარბის არა მარტო რკინის გზით, არამედ ცხენებითაც. გზებში განუწყვეტლივ მოსჩანს იმ მცხოვრებთა ურმები, რომლებიც თავიანთ სახლებს სტოვებენ. ქალაქი მანჯურია გაივსო ჩინელი მილიტარისტებით და თეთრგვარდიელებით.

ხარბინში დაბრუნდა გერმანიის საკონსულოს წარმომადგენელი, რომელიც ხაილარში იყო საბჭოთა მოქალაქეების შევიწროების ფაქტების გამოსაძიებლად.

საუბრის დროს კონსულმა განაცხადა, რომ დაპატიმრებულნი ბანაკში მეტად ვიწროდ სცხოვრობენ. მათ არა აქვთ ტანისამოსი და ფეხსაცმელი, რადგან ისინი პირდაპირ ლოგინში შეიპყრეს. მათ არ აძლევენ სანოვაგე-ნივთების მიღებისა და მახლობელთა ნახვის ნებას. დაპატიმრებულებთან გამოცხადდა ბანაკის კომენდანტი და წინადადება მისცა— დაუყოვნებლივ დაუბრუნდნენ სამსახურს. დაპატიმრებულებმა უარი განაცხადეს.

აბუჩად აგდება და დაპატიმრება გრძელდება. მანჯურიის სადგურის უფროსი და სხვა მოსამსახურე დააპატიმრეს და ციციკარის ბანაკში გაგზავნეს. იუწყებიან, რომ ქალ. მანჯურიიდან 4 კილომეტრის დაშორებით გამოჩნდა ჩინურ ფორმაში გამოწყობილ თეთრგვარდიელთა რაზმი. (ადს).

ნანკინს ურჩევენ მოახდინოს ურგას ოკუპაცია

პეკინი, 22 აგვისტო. „ტაკუნბაო“-მ დაბეჭდა სავაჭრო პალატის მოწოდება. სავაჭრო პალატა მოუწოდებს ნანკინის მთავრობას— გაგზავნოს ჯარი გარე მონღოლეთში და დაუყოვნებლივ მოახდინოს ურგას (ულან-ბატორის) ოკუპაცია (ადს).

საბჭოთა მოქალაქეებს აწამებენ და სტანჯავენ

ხარბინი, 22 აგვისტო. როგორც იუწყებიან, ერთ-ერთ სადგურზე აფეთქებულ იქნა საქონლის მატარებლის ორთქლმავალი. დამნაშავე ვერ იპოვეს, მიუხედავად ამისა, აპატიმრებენ საბჭოთა მოქალაქეებს.

გერმანიის კონსულმა შტობემ სცადა იმ საბჭოთა მოქალაქეების ნახვა, რომლებიც დაპატიმრებულნი არიან ჩინეთის შტაბში და რომლებსაც, არსებული ცნობების მიხედვით, სტანჯავენ და აწამებენ. ხელისუფლებამ შტობე არ დაუშვა სანახავად.

ქალაქში და სადგურებზე განუწყვეტლივ აპატიმრებენ საბჭოთა მოქალაქეებს. ჯალაინორში ვაგონში ჰყავთ 200 დაპატიმრებული. შტობეს განცხადებით, ეს დაპატიმრებულნი ცუდ მდგომარეობაში არიან (ადს).

ამერიკული გაზეთები აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარი კონფლიქტის შესახებ

ნიუ - იორკი, 22 აგვისტო. „ნიუ-იორკ ტელეგრამმ“-ი სასტიკად აკრიტიკებს საიდუმლო დიპლომატიის მეთოდებს, რომლებსაც მანჯურიის საკითხში სტიმსონი მიმართავს. გაზეთი აღიარებს, რომ სტიმსონს მოლაპარაკება სახელმწიფოებთან მარცხით დამთავრდა.

„ნიუ - იორკ ჰერალდ ტრიბუნ“-ი სწერს, რომ ჩინეთის პროვოკაციის მიუხედავად, მოსკოვი ზომიერებას იჩენს; მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ხელშეკრულება ჩინეთმა დაარღვიაო.

კატასტროფებისა და თავდასხმების გამო

ტოკიო, 22 აგვისტო. აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის დუბანმა ბრძანება გასცა, მულინ -პოგრანიჩნაიას ხაზზე გახშირებული კატასტროფებისა და მატარებლებზე თავდასხმების გამო, შესწყდეს მოძრაობა (ადს).

მუშების ფულის ექსპლოატაცია

ტოკიო, 22 აგვისტო. აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის დუბანმა გამოაცხადა: რათა თავიდან აცილებულ იქნას მოსამსახურეების მიერ სამსახურის მასიურად მიტოვება, საპენსიო კასა ფულს აღარ დაუბრუნებს თავის ნებით წასულ მოსამსახურეებსო.

ნამდვილად კი მოსამსახურეებისათვის მათი საკუთარი ფულის მიცემის შეწყვეტა აიხსნება იმით, რომ გზას არავითარი სახსრები აღარ მოეპოვება. დუბანის ბრძანება წარმოადგენს გზისთვის მინდობილი სახსრების აშკარა ექსპლოატაციას (ადს).

მუშათა საერთაშორისო სოლიდარობა

ლონდონი, 22 აგვისტო. აქ გაიმართა მასიური საპროტესტო დემონსტრაცია ჩინელ გენერალთა პროვოკაციის წინააღმდეგ.

ორატორები აცხადებდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ომი მოხდა, ინგლისის მუშები იმოქმედებენ სოლიდარულად საბჭოთა კავშირის მუშებთან. ორატორები მოითხოვდნენ ინდოეთის მუშათა მოძრაობის მოღვაწეთა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

დემონსტრანტებმა დასწვეს ჩან-კაი-შის სურათი, აგრეთვე იმ მოსამართლის სურათი, რომელიც მირუთის პროცესზე თავმჯდომარეობდა (ადს).

უთანხმოება ჰააგის კონფერენციაზე

უნაყოფო თათბირები

ჰააგა, 22 აგვისტო. ბრიანსა და შტრეზემანს შორის მოხდა კერძო თათბირი, რის შემდეგაც გაიმართა ოკუპაციის მონაწილე სახელმწიფოთა დელეგაციების თათბირი გერმანიის მონაწილეობით.

ორივე თათბირზე განხილულ იქნა საკითხი ოკუპაციის შეწყვეტის შესახებ, მაგრამ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწიეს, რადგან ფინანსიური საკითხების გარშემო წარმოებული მოლაპარაკება ჯერ კიდევ არ დაძრულა მკვდარი წერტილიდან. უკანასკნელ თათბირზე განიხილეს აგრეთვე იურიდიული ქვე-კომისიის მოხსენება საოკუპაციო ოლქებში შემდგომი კონტროლის შესახებ. ქვე-კომისიამ საჭიროდ სცნო მუდმივი კონტროლის დაწესება, რისთვისაც მოითხოვა იმ კომისიების კომპეტენციების გაფართოვება, რომლებიც დაარსებული იქნენ ლოკარნოს ხელშეკრულების ძალით.

გერმანიის დელეგაციაში ამ საკითხის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. კერძოდ, ვირტი, როგორც ცენტრის პარტიის წარმომადგენელი, წინააღმდეგია მუდმივი კონტროლისა.

როგორც ეტყობა, პოლ ბონკურის ჩამოსვლა გამოიწვია შექმნილი მდგომარეობის სიმწვავემ (ადს).

შტრეზემანის წინადადება

ჰააგა, 22 აგვისტო. 6 სახელმწიფოს დელეგაციების უკანასკნელ თათბირზე შტრეზემანმა წინადადება შეიტანა „კონფერენციის უკანასკნელი სხდომა იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული, მოხდეს პრესის წარმომადგენელთა თანადასწრებით, რათა დელეგაციების ხელმძღვანელთ საშუალება მიეცეთ საჯაროდ გამოსთქვან თავიანთი თვალსაზრისი“.

ამ წინადადებას მხარი დაუჭირა ინგლისის დელეგაციამ.

ჩიხში მოემწყვდნენ

ჰააგა, 22 აგვისტო. ბრიანმა და სნოუდენმა გადაჭრით უარჰყვეს შტრეზემანის ის წინადადება ეგრედწოდებული „გარდამავალი პერიოდის“ შესახებ, რომლის თანახმადაც სექტემბრიდან დაწყებული გერმანიამ სარეპარაციო გადასახადები უნდა შეიტანოს იუნგის გეგმის მიხედვით, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ეს გეგმა ჰააგის კონფერენციაზე არ იქნება მიღებული. საერთო აზრით, მოლაპარაკების ამგვარად დამთავრება სავსებით სპობს გამოსავალს იმ ჩიხიდან, რომელშიც ჰააგის კონფერენცია მოემწყვდა (ადს).

მდგომარეობა ავსტრიაში

ჩხრეკა ავსტრიის კომპარტიის სადგომში

ვენა, 22 აგვისტო. სენტ-ლორენცის ამბებისადმი მიძღვნილი პროკლამაციების ამომჩენის მიზნით პოლიციამ გაჩხრიკა ავსტრიის კომპარტიის სამდივნოს შენობა, მაგრამ ჩხრეკა უშედეგოთ დამთავრდა (ადს).

„როტე ფანე“-ს ნომრების კონფისკაცია

ვენა, 22 აგვისტო. სენტ-ლორენცში მომხდარი ამბების გამო წამოყენებული ლოზუნგების მოთავსებისათვის უკანასკნელი 8 დღის განმავლობაში სამჯერ მოუხდინეს კონფისკაცია „როტე ფანე“-ს ნომრებს (ადს).

მუშებს კომუნისტებისთანა ბელადები ესაჭიროებათ

ვენა, 22 აგვისტო. „როტე ფანე“-ს მუშკორები აღნიშნავენ, რომ სენტ-ლორენცში ფაშისტებს წინააღმდეგობა გაეწია იმ მუშა-კომუნისტების გავლენით, რომლებიც სოციალ-დემოკრატიულ მიტინგს დაესწრნენ. როდესაც ფაშისტები მიტინგს დაესხნენ, „კავშირის რესპუბლიკანური შემადგენლობის“ ხელმძღვანელი პირველი ტყვიის გასროლისათანავე გაიქცა და კავშირის ჩვეულებრივი წევრები და მიტინგის დანარჩენი მონაწილეები ყოველგვარი ხელმძღვანელობის გარეშე დარჩნენ.

მუშა-კომუნისტებმა მოაწყვეს ფაშისტებზე თავდასხმის საწინააღმდეგო ბრძოლა. მეორე შეტაკების დროს, რომელიც კამპენბურგში მოხდა, „რესპუბლიკანური თავდაცვის კავშირის“ ადგილობრივი ორგანიზაციის მდივანმა მოითხოვა, რომ მუშებს უკან დაეხიათ თავდამსხმელი ფაშისტების წინაშე. ამის საპასუხოდ კავშირის წევრები უყვიროდნენ მას: „კმარა ჩვენი მოქმედებისათვის ხელის შეშლა. ჩვენ გვესაჭიროება ისეთი გაბედული ბელადები, როგორიც კომუნისტები არიან“-ო. (ადს).

„რესპუბლიკანური თავდაცვის კავშირის“ მოკლულ წევრთა დაკრძალვა

ვენა, 22 აგვისტო. მრავალი ათასი მუშის მონაწილეობით დაკრძალეს „რესპუბლიკანური თავდაცვის კავშირის“ წევრები, რომლებიც დაიღუპნენ სენტ-ლორენცში მომხდარი სისხლისღვრის დროს (ადს).

ზომები მშვიდობიანობის დარღვევის წინააღმდეგ

ვენა, 22 აგვისტო. ავსტრიის სააგენტოს ცნობით, მთავრობამ მიიღო ერთსულოვანი დადგენილება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებმაც უნდა უზრუნველჰყონ საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დაურღვევლობა. ერთხმად გამოითქვა აზრი, რომ წესრიგის ახალი დარღვევა არ არის მოსალოდნელი (ადს).

საბჭოთა კავშირის მშრომელები მზად არიან

კიევი, 23 აგვისტო. „ფიზიკოხიმიკ“-ის ქარხნის მუშებმა დაადგინეს — ომის შემთხვევაში თავიანთი თავი მობილიზაციაში გაწვეულებად ჩასთვალონ და ცალკე ბატალიონი შეადგინონ.

გემ „კალინინ“-ის ეკიპაჟმა გზაში ყოფნის დროს გაიგო, რომ ჩინელი იმპერიალისტები დაესხნენ საბჭოთა საზღვარს. ეკიპაჟმა დაადგინა — გადასდოს ერთი დღის ხელფასი აეროპლანის ასაგებად და ხელი მოაწეროს ინდუსტრიალიზაციის სესხს ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

მოსკოვი, 23 აგვისტო. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სოფ. არალსკომ მორედან მიიღო დეპეშა: სოფლის მშრომელნი იუწყებიან, რომ მათ სამოქალაქო ომის 150 მონაწილისაგან შექმნეს მუშათა რაზმი, რომელიც თავს მობილიზაციით გაწვეულად სთვლის და შუამდგომლობს, ჩარიცხონ იგი მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში. (ადს).

კიევი, 23 აგვისტო. „ბოლშევიკ“-ის ქარხნის მუშებმა მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც, თეთრგვარდიელებისა და ჩინელი რაზმების საბჭოთა ტერიტორიაზე ურცხვი თავდასხმის გამო, ნათქვამია:

„ვაუწყებთ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა კავშირის ცაკს და სამხედრო - რევოლიუციონურ საბჭოს, რომ მათი მოწოდებისთანავე ქარხანა „ბოლშევიკ“-ის მუშები, როგორც ერთი კაცი, ჩასდგებიან წითელი არმიის რიგებში. მოვითხოვთ საბჭოთა კავშირისაგან ენერგიული ზომების მიღებას იმპერიალისტების პროვოკაციული გამოსვლების აღსაკვეთად“.

ასეთივე რეზოლიუციები მიღებულ იქნა ბევრ სხვა ქარხანაში.

ლუგანსკი, 23 აგვისტო. აღმოსავლეთ-ჩინეთის საზღვარზე მომხდარი უკანასკნელი ამბების საპასუხოდ ხდება მოხალისეთა ძალიური ჩაწერა წითელ არმიაში, გროვდება უხვი შეწირულება თავდაცვის სასარგებლოდ და ძლიერდება ხელის მოწერა მესამე სესხზე.

კიევი, 23 აგვისტო. ჩინელი იმპერიალისტებისა და თეთრგვარდიელების გამოსვლის საპასუხოდ, მრავალ ძველ მუშას განცხადება შეაქვს პარტიის რიგებში მიღების შესახებ.

მინსკი, 23 აგვისტო. ომის ურცხვი პროვოკაციის საპასუხოდ, ბელორუსიის მუშები მასიურად ეწერებიან მოხალისეებად წითელ არმიაში. მინსკის საწარმოებსა და დაწესებულებებში მოხდა საპროტესტო მიტინგები. მუშები მოითხოვენ გადამჭრელი ზომების მიღებას თავგასული მტრის წინააღმდეგ.

ბელორუსიის საოლქო ქალაქებიდანაც მოდის ცნობები საპროტესტო რეზოლიუციების მიღებისა და წითელ არმიაში მოხალისეთა მასიურად ჩაწერის შესახებ. (ადს).

მოსკოვი, 23 აგვისტო. ყუბანის ოლქის სტანიცის სევერსკაიას გლეხთა მიტინგმა აცნობა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, თავისი გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც ჰაეროპლან „სევერსკი ხლებორობ“-ის ასაგებად თვითეულმა სულმა 50 კაპ. უნდა გადასდოს. (ადს).

ლენინგრადი, 23 აგვისტო. ბალტიის ფლოტის ყველა გემზე და სანაპირო დაცვის ნაწილებში გაიმართა მიტინგები აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარი ამბების გამო. ყველა რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ წითელ ფლოტელნი მზად არიან გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის დასაცავად. წითელფლოტელებმა გამართეს ფულის ნებაყოფლობით შეგროვება ავიაესკადრილიის „რაზრივ“-ის ასაგებად. ომის საფრთხის გაძლიერებასთან დაკავშირებით, ფლოტში წარმატებით ტარდება სამსახურში ვადაზე ზედმეტად დარჩენის კამპანია. (ადს).

მოსკოვი, 23 აგვისტო. ჩინელი ბანდიტების მიერ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდების საპასუხოდ, „ხლებოცენტრ“-ის სამმართველომ დაადგინა — შეუდგეს პურის სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის წევრთა შორის ფულის შეგროვებას მებრძოლი ესკადრილიის „ხლებნაია სელხოზკოოპერაცია“-ს ასაგებად. „ხლებოცენტრ“-ის გამგეობამ ესკადრილიის ფონდში 50.000 მანეთი გადასდო. (ადს).

ლენინგრადი, 23 აგვისტო. წითელფლოტელებმა და სახელმწიფო პოლიტსამმართველოს მურმანის სანაპირო დაცვის უფროსთა შემადგენლობამ გადასწყვიტეს — შექმნან ფონდი სადარაჯო გემის „ფელიქს ძერჟინსკი“-ს ასაგებად. ისინი იწვევენ სახელმწიფო პოლიტსამმართველოს სხვა სანაპირო რაზმებს, ბალტიის, შავი ზღვის, კასპიის ფლოტებს და საკავშირო კომკავშირს — მიბაძონ მათს მაგალითს. (ადს).

საზღვაო შეიარაღების „შეზღუდვის“ გარშემო

იაპონიის მოსაზრებანი შეიარაღების შეზღუდვის საკითხში

ტოკიო, 22 აგვისტო. გაზეთების სიტყვით საგარეო საქმეთა სამინისტრომ აცნობა იაპონიის ელჩს ლონდონში, რომ იაპონია აყენებს შემდეგ პირობებს, რომელთა ნიადაგზედაც იგი თანახმაა დასდოს შეთანხმება საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

იაპონიის ფლოტის ძალები ინგლისისა და ამერიკის ძალებს უნდა შეეფარდებოდნენ შემდეგი პროპორციით 7—10. თუ ეს პირობა არ იქნება მიღებული, იაპონია უარს იტყვის მოლაპარაკების განგრძობაზე. კრეისერთა ფლოტის შემადგენლობა უნდა შეეფარდებოდეს ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების კრეისერთა ფლოტის შემადგენლობას, ვინაიდან იაპონიაც უფრო საჭიროებს პატარა კრეისერებს, ვიდრე დიდებს. იაპონიის წყალქვეშა ფლოტი ისეთივე ძალისა უნდა იყოს, როგორიც იქნება ამერიკისა და ინგლისის ცალ-ცალკე. იაპონია მხარს არ დაუჭერს წყალქვეშა ნავების გაუქმებას, თუ ასეთი წინადადება იქნება წამოყენებული (ადს).

სოლიდარობის გაფიცვა

ლონდონი, 22 აგვისტო. კალკუტაში გაიფიცნენ ნავთის დიდი საწყობის მუშები. მათ ამით სოლიდარობა გამოუცხადეს ჯუტის საწარმოთა იმ 70.000 მუშას, რომელნიც ხელახლად გაიფიცნენ. გაფიცვა განახლდა იმიტომ, რომ დამქირავებლები გაურბიან იმ შეთანხმების პირობათა ასრულებას, რომელთა საფუძველზედაც მუშაობა განახლდა.

რეფორმისტების ღალატი

ნიუ-იორკი, 22 აგვისტო. რეფორმისტულმა ლიდერებმა მოახერხეს ფეიქართა გაფიცვის შეწყვეტა მარიენაში, ჩრდილოეთ კაროლინის შტატში. ამერიკის შრომის ფედერაციამ მოწერილობა გაუგზავნა გაფიცულებს — დაუშვან სამუშაოზე შტრეიკბრეხერები. ამას მუშაობის განახლება მოჰყვა. (ადს).

აჯანყებულთა გამარჯვება

ნიუ-იორკი, 22 აგვისტო. ვენეცუელიდან გადმოცემული ცნობით, აჯანყებულებმა დაამარცხეს მთავრობის ჯარი და დაიჭირეს სავაჭრო ქალაქი კუმანსუ. (ადს).

ავსტრო-მარქსიზმის გზა სოციალიზმისაკენ

ავსტრო-მარქსიზმის იდეოლოგი ოტო ბაუერი, რევოლიუციონური რუსეთიდან ავსტრიაში დაბრუნების შემდეგ, მოელოდა, როგორც ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს რუსეთის განყოფილების თანამშრომელი, რომ ავსტრიის რევოლიუცია დაიწყებოდა.

რევოლიუციის პირველ დღეებში მან გამოუშვა წიგნაკი „გზა სოციალიზმისაკენ“, რომელშიაც იგი მუშებს უმტკიცებდა, რომ ლენინური გზა, გზა სოციალიზმისაკენ პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით—გამოუსადეგარიაო. ბაუერი იცავდა თავის „დემოკრატიულ“ გზას სოციალიზმისაკენ: ეროვნული კრება, დემოკრატიული საარჩევნო უფლება, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების დაკანონება მუშების, დამქირავებლების და მომხმარებლების საერთო კონტროლი წარმოებაზე, მსხვილ საწარმოთა თანდათანობითი ნაციონალიზაცია და ფართო სოციალური კანონმდებლობა. რათა ავსტრიის სოციალდემოკრატიას მოეხერხებინა ამ გზით სიარული, იგი შევიდა კოალიციონურ მთავრობაში: რენერი გადაიქცა ავსტრიის რესპუბლიკის რეიხს კანცლერად, ბაუერი—საგარეო საქმეთა მინისტრად, იულიუს დეიჩი—სამხედრო მინისტრად ავსტრიის სოციალდემოკრატიის ფუნქციონერების დახმარებით მათ ხელი აალებინეს აღშფოთებულ მუშებსა და ჯარის კაცებს შეიარაღებულ აჯანყებაზე, ისინი სათავეში ჩაუდგნენ საბჭოებს, რომ თავი მოეკვეთათ მათთვის, მათ შეაიარაღეს კულაკური ხეიმვერები ტიროლში, შტირიაში და სხვა პროვინციებში, ისინი მხურვალედ დაეხმარნენ ანტანტას, როა მას ეკონომიური ბლოკადით სული ამოეხუთა უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკისათვის. მათ იხსნეს კაპიტალიზმი. ოტო ბაუერი და იულიუს დეიჩი თავიანთ მემუარებში თვითონვე უამბობენ მკითხველებს ამ ამბავს. ისინი ამაყობენ, რომ ავსტრო-მარქსიზმს აქვს და ჰქონდა თავისი გზა სოციალიზმისაკენ.

მართლაც ავსტრიის სოციალდემოკრატია მეორე ინტერნაციონალის სამაგალითო პარტიას წარმოადგენს. პატარა ავსტრიაში იგი აერთიანებს დაახლოვებით 700 ათას წევრს. მას აქვს პროფესიონალური, კოოპერატიული, სპორტიული, კულტურული და სხვა ყოველგვარი მასიური ორგანიზაციები. იგი ხელმძღვანელობს რესპუბლიკის თავდაცვის კავშირს მის ხელშია ვენის მუნიციპალიტეტი. მას აქვს პროგრამა. ამ პროგრამაში აღიარებულია პროლეტარიატის დიქტატურაც კი, რასაკვირველია, არა როგორც ბურჟუაზიის დამორჩილებისა და სოციალიზმის მშენებლობის იარაღი, არამედ როგორც თავდაცვის საშუალება ფაშისტური კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ. მას აქვს აგრარული პროგრამა, რომელიც აღიარებს, რომ მიწა უნდა ეკუთვნოდეს „საუკეთესო მეურნეებს“, ე. ი. კულაკებს, ხოლო მემამულეთა მიწის კონფისკაცია მხოლოდ გამოსყიდვით შეიძლება. ავსტრიის სოციალდემოკრატიას აქვს თავისი მემარჯვენე და თავისი მემარცხენე ფრთები. მას ჰყავს იდეოლოგები, ფილოსოფოსები, თეორეტიკოსები, ეკონომისტები და სამხედრო ორგანიზატორები. იგი იმდენად მდიდარია, რომ მეორე ინტერნაციონალისათვის მას შეეძლო ეთხოვებინა მდივნად თავისი ფრიც ადლერი, რომელმაც ახლახან დაამტკიცა, რომ თუ ახალი მსოფლიო ომი გაჩაღდება, ინტერნაციონალიზმი შესაწყნარებელია, მაგრამ შესაწყნარებელია „სამშობლოს დაცვაც“ ერთის სიტყვით, იგი მართლაც სამაგალითო პარტიაა. მას ჰქონდა და აქვს თავისი გზა სოციალიზმისაკენ.

ეს გზა მიუკიბ-მოუკიბველად მივიდა სენტ-ლორენცში, სადაც ფაშისტებმა მუშების სისხლის გუბე დააყენეს. ამ გზამ მიუხვევ-მოუხვევლად ავსტრიის მუშათა კლასი იქამდე მიიყვანა, რომ მას სისხლისმსმელი ფაშისტური დიქტატურის საფრთხე მოევლინა. ტიროლისა და ფორარლსბერის მიყრუებული კუთხეების ფაშისტური ხეიმვერები უკვე შეიჭრნენ სამრეწველო ცენტრებში, ისინი უკვე პარადებს აწყობენ ვენის ქუჩებში. ფაშისტები იარაღს ისხამენ, ხოლო მსხვილ კაპიტალისტთა საწყობები, არისტოკრატთა და მემამულეთა ციხე-კოშკები, არმიის, პოლიციისა და ჟანდარმერიის სამხედრო საწყობები მათ არსენალებად არიან გადაქცეულნი. ეხლა უკვე სოციალდემოკრატი იულიუს დეიჩი კი არ აიარაღებს მათ კომუნიზმის წინააღმდეგ, როგორც 1918 წელს, არამედ ტრესტებში გაერთიანებული კაპიტალი. „გალაშქრება ვენაზე“. გალაშქრება ავსტრიის პროლეტარიატის ცენტრების დასაპყრობად—ხეიმვერის ლოზუნგად გადაიქცა.

ვენაში ჯერ კიდევ ძალიან დიდია გადასახადები საქვეყნო საზოგადოებებზე. ვენაში, სახლის პატრონთა თვალსაზრისით, ჯერ კიდევ ძალიან მცირეა ბინის ქირა. ავსტრიის მუშათა უმნიშვნელო ხელფასი ჯერ ისევ ძალიან დიდია ავსტრიისა და უცხოეთის კაპიტალის თვალსაზრისით. ავსტრიის მრეწველობას მეტად შეზღუდული შინაური ბაზარი აქვს. მას გარეშე ბაზრები ესაჭიროება. მარტო რაციონალიზაცია საკმაო არ არის. უცხოეთის კაპიტალი, რომელიც დაეპატრონა ავსტრიის ბანკების თვალსაჩინო ნაწილს, მოითხოვს ხელფასის შემცირებას და სოციალური კანონმდებლობის გაუარესებას. ავსტრიის ფაშიზმი ვენაზე გალაშქრებას ამზადებს ისევე, როგორც მუსოლინიმ რომზე გაილაშქრა, რათა ბოლო მოუღოს 1918 წლის ნოემბრის რევოლიუციის მონაპოვართა საბრალო ნაშთებს.

ავსტრიის კონტრევოლიუცია კვლავ ოცნებობს ჰაბსბურგების მონარქიის აღდგენისათვის. უნგრეთში ხორტიმ და ბეტლენმა საამისოდ უკვე მოამზადეს ნიადაგი. ამიტომ ავსტრიის კონტრევოლიუციას ყოფ. კანცლერის ზეიპელის მეთაურობით არ სურს ავსტრიის შეერთება გერმანიასთან. იტალიის ფაშიზმი განსაზღვრული პირობით მხარს უჭერდა ასეთი გეგმის განხორციელებას, რათა საფრანგეთის იმპერიალიზმის ვასალებისათვის სამხრეთ-სლავიისა და ჩეხო-სლოვაკიისათვის დაეპირისპირებინა ავსტრია-უნგრეთის ფაშისტური ბლოკი. საფრანგეთის იმპერიალიზმიც გულხელდაკრეფილი არ დარჩება. საფრანგეთს ეშინია ავსტრიის შეერთებისა გერმანიასთან. იუნგის გეგმის შემდეგ, რეინის ოლქის ევაკუაციის მოლოდინში, გერმანიასთან ავსტრიის შეერთების საკითხი უფრო აქტუალურ საკითხად გადაიქცა. „საფრანგეთი,—სწერს „მანჩესტერ გარდიან“-ი,—ცდილობს პოლონეთისა, უნგრეთისა და ავსტრიის შეთანხმებას. ეს სამი სახელმწიფო შექმნიდა მძლავრ ფაშისტურ ბლოკს, ხოლო ამ ბლოკის მონაწილე ავსტრია არასოდეს არ შეუერთდებოდა გერმანიას“. ავსტრიის ფაშიზმი დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოების ხელში ტიკინას წარმოადგენს.

მაგრამ როგორ მოხდა „დემოკრატიულ“ ავსტრიაში, რომ ფაშისტური ხეიმვერები მუშების სისხლს ღვრიან, რომ ფაშისტური ლოზუნგი ვენაზე გალაშქრების შესახებ რეალურ საფრთხედ გადაიქცა, რომ მძლავრი სამაგალითო სოციალ - დემოკრატიის არსებობის მიუხედავათ მუშათა კლასს მოევლინა ფაშისტური დიქტატურის საფრთხე? ხეიმვერები ხომ 2—3 წლის წინად ჯერ კიდევ არ წარმოადგენდნენ რეალურ ძალას. ისინი მხოლოდ ყველაზე უფრო ჩამორჩენილ პროვინციებში აერთიანებდნენ კულაკებს, რომლებიც კათოლიკური ეკლესიის გავლენის ქვეშ არიან. ამჟამად კი ხეიმვერს თავისი ორგანიზაციები აქვს ქალაქებში, მისი გავლენა ვრცელდება წვრილი ბურჟუაზიის ზოგიერთ ფენებზე, მოხელეებზე და ინტელიგენციაზე და, პირდაპირ უნდა ითქვას, იგი თავის ორგანიზაციებს ჰქმნის მუშებში. ხეიმვერი უკვე აწყობს თავის ეგრედწოდებულ „დამოუკიდებელ“ პროფკავშირებს. იგი ცდილობს თავის გარშემო შემოიკრიბოს ვენის კომუნალური მუშებიც კი სოციალ - დემოკრატიული მუნიციპალიტეტის წინააღმდეგ. ფაშისტთა შორის, რომლებიც მუშებს თავს დაესხნენ სენტ-ლორენცში, იყვნენ „ალპინემონტანგეზელშაფტის“ მოსამსახურეები და მუშები. ვენის ტრამვაის ერთ-ერთი პარკის მუშები მთლიანად მიემხრნენ ფაშისტებს. ხეიმვერის ორგანო ლოზუნგად აყენებს: ვენის მუნიციპალიტეტიდან უმუშევრებს 100 შილინგი მიეცეთ დასახმარებლადო. სხვადასხვა ქარხნაში არსებობს ფაშისტური უჯრედები. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ავსტრიის კომპარტიის ზოგიერთი მუშაკებიც კი საკმაოდ არ აფასებენ ფაშისტების სოციალური დემაგოგიის საფრთხეს. „მარქსიზმის პრინციპიალური უარყოფა, კლასობრივი ბრძოლის აშკარად უარყოფა, პრინციპიალურად უარყოფა პოლიტიკური პარტიების გავლენისა პროფკავშირებზე და კოოპერატიული სისტემის აღიარება“ — აი ფაშისტური „დამოუკიდებელი“ პროფკავშირების მთელი პროგრამა. ის გადმოღებულია მუსოლინის პროგრამიდან; მუსოლინიც „მუშაობას“ აწარმოებდა ყველაზე ჩამორჩენილ მუშებს შორის, აგრეთვე მუშათა იმ ფენებს შორისაც, რომლებსაც სოციალ-დემოკრატიის იმედი გაუცრუვდათ.

როგორ მოხდა, რომ ეს დაბალი ხასიათის „მიმართულება“ უაღრესად სერიოზულ საფრთხედ გადაიქცა? ხეიმვერი უკვე ძალას წარმოადგენს, ხეიმვერი უკვე საფრთხეს ჰქმნის იმიტომ, რომ ავსტრიის სოციალ - დემოკრატია ობიექტურად ხელს უწყობდა ფაშიზმს. ავსტრო - მარქსიზმი გზას უკაფავდა ფაშიზმს. ვალიუტის სტაბილიზაციის შემდეგ ბურჟუაზიის შეტევაზე ავსტრო - მარქსიზმი სისტემატიურად უკან იხევდა. როდესაც ბურჟუაზიის შეტევას მუშათა კლასმა 1927 წლის ივლისში ვენის აჯანყებით გასცა პასუხი, სოციალ - დემოკრატიამ ჩაშალა და ჩაახშო ეს გამოსვლა, უღალატა მას, და მუშათა გმირული ბრძოლა დამარცხებად გადააქცია. ივლისში მუშათა კლასის დამარცხების შემდეგ ჩქარის ტემპით გაიშალა ფაშიზმის შეტევა. მუშათა კლასი სტიქიურად თავს იცავდა. როდესაც ვინერ ნეიშტადტში ხეიმვერი პირველად შეეცადა მოეწყო გამოსვლა, და როდესაც კომუნისტები მისთვის სათანადო პასუხის გაცემას მოითხოვდნენ, სოციალ - დემოკრატებმა ნება დართეს ხეიმვერს მოეწყო დემონსტრაცია, ხოლო მათმა პოლიციამ კომუნისტები დააპატიმრა. როდესაც ფაშისტები მუშათა მკვლელობას შეუდგნენ, ავსტრო-მარქსიზმის ერთმა ლიდერმა რენერმა პარლამენტში წამოაყენა წინადადება სამოქალაქო მშვიდობიანობის შესახებ — სამხედრო ტიპის ყველა ორგანიზაციის დათხოვნის შესახებ. როდესაც მუშები შეუდგნენ ქარხნებიდან ფაშისტების გამოყრას, დემოკრატიისა და რწმენის თავისუფლებათა სახელით სოციალ - დემოკრატიულმა პროფკავშირებმა ეს აკრძალეს. როდესაც ბურჟუაზიამ იარაღი აჰყარა თავდაცვის სოციალ - დემოკრატიულ კავშირს, სოციალ - დემოკრატები მხოლოდ სიტყვიერი პროტესტით დაკმაყოფილდნენ. როდესაც მუშებმა ფაშისტების წინააღმდეგ დემონსტრაციები მოაწყვეს, სოციალ - დემოკრატმა, ვენის ქალაქის თავმა ზეიცმა აკრძალა მუშათა დემონსტრაციები, მაგრამ ფაშისტები ზეიცის ნებართვის გარეშე განაგრძობდნენ დემონსტრაციებს. მელითონეთა სოციალ - დემოკრატიულმა პროფკავშირმა ფაშისტური პროფკავშირი მუშათა წარმომადგენლად სცნო.

როდესაც სენტ-ლორენცოს სისხლიანი ამბების შემდეგ სტიქიურად დაიწყო გაფიცვები, სოციალ-დემოკრატიამ ჩაახშო ეს გაფიცვები, აკრძალა დემონსტრაციები და მიიღო რეზოლიუცია იმის შესახებ, რომ „ფაშისტურ გზას შეუძლია ქვეყანა სამოქალაქო ომამდე მიიყვანოს და ეს უდიდეს უბედურებას მოუტანს არა მარტო მუშებს, არამედ ყველა კლასს სახელმწიფოშიო“-ო. თურმე ფაშისტური დიქტატურა უბედურება ყოფილა ბურჟუაზიისათვის! როდესაც მუშათა სისხლი იღვრება, ავსტრო-მარქსისტებს გამოაქვთ რეზოლიუცია იმის შესახებ, რომ „ავსტრიის მუშათა კლასი გულის სიღრმეში მშვიდობიანადაა განწყობილი“. ისინი, ავსტრო-მარქსისტები გზას უმზადებენ ფაშიზმს. ისინი ხელს უწყობენ ფაშისტური დიქტატურის დამყარებას.

ამბების მსვლელობა განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანებს აკისრებს ავსტრიელ კომუნისტებს. მათ უნდა უჩვენონ ბრძოლის გზა ავსტრიის მუშათა კლასს.

მუშათა მობილიზაცია, ბრძოლა პროფკავშირებში, ბრძოლა ქარხნებში, დემონსტრაციები, მასიური პოლიტიკური გაფიცვები, მუშათა რაზმების შექმნა ფაბრიკა-ქარხნებში, მუშათა შეიარაღება, ფაშიზმის წინააღმდეგ საყოველთაო გაფიცვის მოწყობა, დაუნდობელი პასუხი ფაშისტების ყოველ გამოსვლას, დაუნდობელი მხილება ავსტრო-მარქსიზმის როგორც ფაშიზმის ობიექტიური ხელის შემწყობისა და მოკავშირისა, მუშათა მთლიანი მებრძოლი ფრონტის შექმნა ფაბრიკებსა, ქარხნებსა და მაღაროებში,—აი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნამდვილი გზა.

ავსტრო-მარქსიზმის გზამ უშუალოდ ფაშიზმის დიქტატურის საფრთხემდი მიგვიყვანა. ოტო ბაუერის სოციალიზმისაკენ მიმავალმა გზამ ჩვენ ხეიმვერის მიერ მუშების სისხლიან დარბევამდე მიგვიყვანა. ავსტრიის კომპარტიამ, რა მცირერიცხოვანიც არ უნდა იყოს იგი, უნდა წაიყვანოს მუშათა კლასი ფაშისტური კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლის გზით, ფაშიზმის ფაქტიური მოკავშირისა და მისი იარაღის—სოციალ-დემოკრატიის დაუნდობელი მხილების გზით.

„პრავდა“, 23 აგვისტო.

კონფლიქტი პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე

კოვნო, 22 აგვისტო. პრემიერმა ვოლდემარასმა ერთა ლიგაში გაგზავნა დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ 15 აგვისტოს პოლონეთის მონაპირეებმა აუკშტოსა და კალნიაის რაიონში სროლა ასტეხეს ლიტვის ტერიტორიის მიმართულებით. ამასთან შეიარაღებული ბანდა შეეცადა პოლონეთ - ლიტვის დემარკაციულ ხაზზე გადმოსვლას. ლატვიელთა საპასუხო სროლის დროს დაიჭრა პოლონელი ჯარისკაცი და პლეშკაიტისის ორი მომხრე.

17 აგვისტოს იმავე რაიონში ლიტვის ტერიტორიაზე გადმოვიდა ორი პოლონელი ჯარისკაცი და პლეჩკაიტისის 4 მომხრე. მათ ლიტვის მოსაზღვრე ჯარისკაცებს აუტეხეს სროლა, რომელმაც დაახლოვებით ერთ საათს გასტანა. (ადს).

წყნარ ოკეანეს პროფკავშირთა კონფერენცია

კონფერენციის დახურვა

ვლადივოსტოკი, 23 აგვისტო. 21 აგვისტოს წყნარ ოკეანეს კონფერენციამ მიიღო რეზოლიუციები.

ერთხმად არჩეულ იქნა წყნარ ოკეანეს სამდივნო. სამდივნოში შედის 20 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენენ წყნარ ოკეანეს ქვეყნების მთელ პროფმოძრაობას. სამდივნოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ტინიულინი, მდივნად — ამხ. ბროუდერი. ამის შემდეგ კონფერენცია დაიხურა. (ადს).

რუმინელ ჯალათების მსხვერპლი

ვენა, 22 აგვისტო. როგორც რუმინული გაზეთები იუწყებიან, კლაუზენბურგში დაკრძალეს ბესარაბიელი მასწავლებელი, კომუნისტი ქალი ლიპშიცი. ლიპშიცს მისჯილი ჰქონდა 8 წლის პატიმრობა, საპყრობილეში მან გამოაცხადა შიმშილობა, რომელიც ექვს კვირაზე მეტს ხანს გაგრძელდა. შიმშილობისაგან ლიპშიცი გარდაიცვალა.

დაკრძალვის დროს რუმინეთის ხელისუფლებამ მოახდინა პოლიციის და სამხედრო ძალების მობილიზაცია. ლიპშიცის საფლავთან რამდენიმე ათასმა მუშამ მოაწყო დემონსტრაცია რუმინეთის ხელისუფლების ტერორის წინააღმდეგ. დემონსტრანტები პოლიციამ გაფანტა (ადს).

„დაკვირვებანი“ ათასი მეტრის სიმაღლიდან

ანუ რა ეჩვენება ზოგიერთ „მოგზაურს“

ბერლინი, 22 აგვისტო. მემარცხენე გაზეთი „ბერლინ ამ მორგენ“-ი ეხება „ფოსიშე ცეიტუნგ“-ის კორესპონდენტის კაუდერის ცნობას. კაუდერი დირიჟაბლ „გრაფ ცეპელინ“-ზე იმყოფება. იგი თავის ცნობაში კმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ დირიჟაბლის წამყვანმა ეკენერმა მიმართულება მოსკოვის ჩრდილოეთით აიღო. კაუდერი ამბობს, რომ ამ მიმართულებით წასვლამ ექსპედიციის მონაწილეებს საშუალება მისცა „დაენახათ ძველი, არ გამოცვლილი რუსეთი, რომელსაც არ აზის ბოლშევიკური ბეჭედი“-ო.

გაზეთი აღნიშნავს, რომ კაუდერის ეს განცხადება ამჟღავნებს იმ მოსაზრებათა პოლიტიკურ ხასიათს, რომლებითაც ხელმძღვანელობდნენ ფრენის მონაწილენი მარშრუტის არჩევის დროს. გაზეთი დასცინის კაუდერის ყალბ „დაკვირვებებს“ 1000 მეტრის სიმაღლიდან. საიდანაც კაუდერმა ვითომ დაინახა, როგორ ხვდებოდნენ ციმბირელი გლეხები დირიჟაბლის ფრენას, აგრეთვე ვითომ შესძლო შეეფასებინა საბჭოთა კავშირის ევროპიული ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილის მცხოვრებთა განვითარებისა და კულტურობის დონე (ადს).

დირიჟაბლი „გრაფ ცეპელინი“ ტოკიოში

დირიჟაბლი დაზიანდა

ტოკიო, 22 აგვისტო. სიმბუნ რენგოს სააგენტოს ცნობით, დირიჟაბლ „გრაფ ცეპელინ“-ის გაფრენა ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი დღე ღამით გადაიდო. დირიჟაბლზე მოხდა ავარია: ანგარიდან გამოსვლისას დირიჟაბლის უკანა სამოტორო გონდოლა დაეჯახა ჯერ ანგარის კარს, შემდეგ კი მიწას.; დაჯახების დროს გატყდა გონდოლის ერთი სამაგრი (ადს).

პოლიტპატიმართა სიმშილობა

ვარშავა, 22 აგვისტო. როგორც აღნიშნული იყო, კელცის და ლიუბლინის სატუსაღოებში პოლიტიკურ პატიმრებს მეტად სასტიკად მოეპყრნენ. საქმე სისხლის ღვრით გათავდა. ამის გამო, ვარშავის ყველა სატუსაღოს პოლიტიკურმა პატიმრებმა ერთი დღის საპროტესტო შიმშილობა გამოაცხადეს. იმ შიმშილობის დღეს ყველა საპატიმროებში გაისმოდა „ინტერნაციონალის“ სიმღერის ხმა. (ადს).

სხვადასხვა

— ქვედა - ავსტრიის პროვინციის მუშა-ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, ლიუცერნის სასპორტო ინტერნაციონალის აკრძალვის მიუხედავათ, გამოემგზავრა საბჭოთა კავშირში. (ადს).

— ტიანძინში გაიმართა სტუდენტების და მუშების დემონსტრაცია ლოზუნგით: „ძირს იმპერიალიზმი“ და „უცხოეთის კონცესიები უნდა დაუბრუნდეს ჩინეთს“. პოლიციამ დააპატიმრა ორი დემონსტრანტი და უპოვა მათ ანტიიმპერიალისტური ლიგის პროკლამაციები, აგრეთვე ბროშიურა აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის დაკავების შესახებ. ეს პროკლამაცია გამოსცა ხუბეის კომპარტიის სარაიონო კომიტეტმა (ადს).

— ინდოეთში გაძლიერდა ხოლერის ეპიდემია. აღრიცხულია დაავადების 4.000 შემთხვევა, რომელთაგან 1.300 სიკვდილით დამთავრდა (ადს).

— ჩერნოვიცში (რუმინეთი) ოც მუშას, რომელთაც პირველ აგვისტოს დემონსტრაციაში მონაწილეობას აბრალებდნენ, მიუსაჯეს პატიმრობა სხვადასხვა ვადით — ერთი თვიდან რვა თვემდე (ადს).

— „აზნევტ“-მა ამერიკაში შეუკვეთა მილები მძიმე ნავთის გამოსახდელად; ამ მილების წყალობით დღე-ღამის განმავლობაში შეიძლება 1.315 ტონა ასფალტის მიღება (ადს).

— ცინდაოში (ჩინეთი) გრძელდება გაფიცვა იაპონიის საფეიქრო ქარხნებში. კონფლიქტი მწვავდება. ცინდაოში მივიდა იაპონიის ხუთი სამხედრო გემი (ადს).

— დაირენში, პორტ-არტურში და ხარბინში იაპონიის პოლიციამ დააპატიმრა 21 სტუდენტი, რომლებსაც „საიდუმლო მარქსისტული ორგანიზაციის“ წევრობას და სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზაზე გაფიცვის მოწყობის ცდას აბრალებენ (ადს).

პიონერთა საკავშირო კონფერენცია

ამხ. კრჟიჟანოვსკის მოხსენება

მოსკოვი, 23 აგვისტო. პიონერთა სრულიად საკავშირო კონფერენციას მიესალმა დემიან ბედნი. ამის შემდეგ ამხ. კრჟიჟანოვსკიმ გააკეთა მოხსენება სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

„როდესაც თქვენ გიცქერთ, — სთქვა მან, — მე ვამჩნევ ხუთწლიანი გეგმის ერთ დიდ ნაკლს: იქ არ არის გათვალისწინებული პიონერთა მოძრაობა. ჩვენ ეხლავე უნდა გამოვასწოროთ ეს ნაკლი, თქვენ უნდა დაგვეხმაროთ მიმდინარე ხუთწლიანი გეგმის შედგენაში“.

ამხ. იაროსლავსკის სიტყვა

ამხ. იაროსლავსკიმ წარმოსთქვა სიტყვა. იგი შეეხო ბრძოლას იმ ეროვნული შუღლის წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი აქვს მოზრდილ ბავშვებს შორის.

„დავაფასოთ ადამიანი არა ცხვირის, თვალების ან თმის მიხედვით, არამედ იმ კლასის მიხედვით, რომელსაც ის ეკუთვნის. ამ მხრივ ბავშვთა საერთაშორისო კონგრესს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ კონგრესზე საფუძველს ჩავუყრით ლენინელ ბავშვთა ინტერნაციონალს“.

სხდომის დასასრულს საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. კაგანოვიჩმა წარმოსთქვა სიტყვა ადამიანთა იმ მასალის შესახებ, რომელიც საჭიროა ახალი სოციალისტური საზოგადოების აშენებლად.

კონფერენციამ ამხ. დემიან ბედნი, კრჟიჟანოვსკი, იაროსლავსკი და კაგანოვიჩი საპატიო პიონერებად აირჩია.

კონფერენციას მოხსენებების გამო რეზოლიუციები არ მიუღია. მან დაადგინა პლენუმზე და სექციებში წამოყენებული ყველა წინადადება შეიტანოს განწესში, რომელიც გამოქვეყნდება პიონერთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე წარმოდგენილ ყველა ერის ენაზე.

შეკრების აღსანიშნავად გადასწყდა ყოველი წლის 18—25 აგვისტოს მოეწყოს ბავშვთა საერთაშორისო კვირეული.

კონფერენციამ დაადგინა — 1930 წლის გაზაფხულზე მოაწყოს პიონერთა სრულიად საკავშირო სამხედრო მანევრები. (ადს).

კაზაკსტანის დელეგატები

პიონერთა გამოსვლა კულტურისა და დასვენების სახლში

მოსკოვი, 23 აგვისტო. 22 აგვისტოს კულტურისა და დასვენების პარკში, უდიდესი საბავშვო სეირნობის დროს, რომელიც ბავშვთა საერთაშორისო კონგრესის გახსნის გამო მოეწყო, გამოვიდნენ ამხ. ბელა კუნი, ინგლისელი პიონერი სიდნეი ვრუტცი, გერმანელი პიონერი ქალი გილდა ჰელცმანი და ჩინეთის, ამერიკის და სხვა ქვეყნების პიონერთა დელეგაციების წარმომადგენელნი.

ამხ. იაროსლავსკის შემდეგ უკანასკნელად გამოვიდა საბჭოთა კავშირში ჩამოსული გერმანელი რევოლიუციონერი მაქს ჰელცი, რომელმაც პიონერებს გადასცა სალამი რემდა-ს-ს აღმასკომისაგან. (ადს).

შუა-აზიის დელეგატები კრემლის დიდ სასახლესთან.

ეროვნული

ინდუსტრიალიზაციის 1-ლი სესხის ტირაჟი

არტემოვსკი, 23 აგვისტო. სატირაჟო კომისიის დილის სხდომაზე 5.000 მანეთიანი მოგება ჰხვდა შემდეგ ნომრებს და სერიებს: № 10, სერია 115528; № 47, სერია 053313; № 3, სერია 110607.

10.000 მანეთიანი მოგება ჰხვდა: № 10, სერია 052538; № 33, სერია 071222; № 50, სერია 063300.

საღამოთი დამთავრდა ინდუსტრიალიზაციის პირველი სესხის გათამაშება.

უკანასკნელი სხდომის დროს გამოცხადდნენ წითელარმიელების, რიკოვის სახ. მელითონეთა, კონსტანტინოვის ქარხნების მუშათა და სხვათა დელეგაციები, რომლებმაც კომისიას გადასცეს მშრომელთა მტკიცე გადაწყვეტილება — მთლიანად გაანაღდონ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი.

უკანასკნელ სხდომაზე 5.000 მანეთიანი მოგება ჰხვდა: № 10, სერია 111324; № 37, სერია 021370 (ადს).

საკონტროლო ციფრები

მოსკოვი, 23 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმმა საკავშირო საგეგმო კომისიას გადასცა სამრეწველო ფინანსიური გეგმის 1929-30 წლის საკონტროლო ციფრები. ს. მ. უ. საბჭოს გეგმაში შემავალი მრეწველობის პროდუქცია, მიმდინარე წელთან შედარებით, უნდა გაიზარდოს 31,2 პროცენტით (ხუთწლიანი გეგმის 20,2 პროცენტის ნაცვლად). მძიმე ინდუსტრიის პროდუქცია გაიზრდება 42,1 პროცენტით, ხოლო მსუბუქის — 22,5 პროცენტით (ადს).

მეცნიერებათა აკადემიის აპარატის შემოწმება

ლენინგრადი, 23 აგვისტო. მოხდა მთავრობის იმ კომისიის უკანასკნელი სხდომა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა სამეცნიერო აკადემიის აპარატის შემოწმება. შემოწმების შედეგად სამსახურიდან მოიხსნა პირველი კატეგორიის 26 მოსამსახურე, მეორე კატეგორიის —25, მესამე კატეგორიის — 5, ხოლო ექვსი კაცი სიბერის გამო გადაყვანილ იქნა პენსიაზე.

საზოგადო კრებამ მიიღო დადგენილება, რომელშიაც გამოთქმულია რწმენა, რომ მუშაკთა განახლებული შემადგენლობა აკადემიას მტკიცედ დააკავშირებს სოციალისტური მშენებლობის უდიდეს ამოცანებთან (ადს).

„ჩერვონნა უკრაინა"

ხარკოვი, 23 აგვისტო. ინჟენერ კალინინის კონსტრუქციის აეროპლანი „ჩერვონა უკრაინა" 22 აგვისტოს გაფრინდა ირკუტსკში. დილით აეროპლანი დაეშვა ყაზანში. მთელი გზა ხარკოვი — მოსკოვი—ყაზანი აეროპლანმა გაიარა 11 საათისა და 7 წამის განმავლობაში. (ადს).

მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღისათვის

მოსკოვი, 23 აგვისტო. მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის ჩამტარებელმა კომისიამ, რომელიც კომკავშირის ც. კ.-ის, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებისაგან შესდგება, შეიმუშავა დღესასწაულის ჩატარების პროგრამა. დღესასწაული მოეწყობა 14 ოქტომბერს (ადს).

ახალი ქარხანა

ბაქო, 23 აგვისტო. შავ ქალაქში ამერიკელი ინჟენერებისაგან მიიღეს და აამუშავეს ნავთის გამოსახდელი ვრევეს სისტემის ახალი მძლავრი ქარხანა. ამ დღეებში დაამთავრებენ ვილკეს სისტემის ნავთის გამოსახდელი ახალი ქარხნის გამოცდას (ადს).

უმსგავსოებანი ყარადონლიში

სალიანი, 22 აგვისტო. არაერთხელ აღნიშნულა პრესაში, რომ ყარადონლიში მტკიცედ გაიდგა ფესვები ბოროტმოქმედთა ერთმა ჯგუფმა. ამ ჯგუფის წევრებს შეხვდებით როგორც ამ რაიონის საბჭოთა აპარატის ყველა რგოლში, ისე კოოპერაციაში, რკინის გზაზე და მულანის მშენებლობაში. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აქ მრავალ ბოროტმოქმედებასა და გაფლანგვას „ქონდა ადგილი. დაირის აღმასკომის თავმჯდომარემ ალიევმა ნადირობის დროს, ჯეირნის ნაცვლად, მოჰკლა სოფლის მოჯამაგირე, მაგრამ საქმე მიაფუჩეჩეს. აქ ჩვეულებრივი მოვლენაა ქეიფი, რაც ცუდად მოქმედობს ადგილობრივი მუშაკების შრომის უნარიანობაზე.

ამჟამად იქ აღმოაჩინეს ახალი უმსგავსოებანი. ყარადონლის სადგურზე ამა წლის იანვრიდან ინახება 4 ვაგონი ხე-ტყის მასალა, რომელიც გამოგზავნილია აზიზბეკოვის სახელობის სარწყავი სისტემის საჭიროებისათვის, მაგრამ, სისტემის გამგის კელერისა და მისი მოადგილის, პარტიის წევრის აბილ ალადოვის დაუდევრობით, დღემდე არ გამოუსყიდნიათ. ამჟამად ჯულფა - ბაქოს რკინის გზის გამგეობა ამ მასალის შენახვისათვის 14.000 მანეთს თხოულობს. ამა წლის მარტში სოფლის სკოლების საჭიროებისათვის მიღებულ იქნა ერთი ვაგონი ხე-ტყე (სკოლები შენდება დაირის აღმასკომის სახსრებით და თვითდაბეგვრის წესით შემოსული ფულით), რომელიც სადგურიდან დღემდე არ წაუღიათ. ალიევი საგარაკოდ წავიდა იალაღზე.

ამავე სადგურზე თებერვლიდან ინახება 6 ვაგონი საშენებელი მასალა, რომელიც ყარადონლის მებამბეთა ამხანაგობისათვის არის გამოგზავნილი. ამ მასალის შენახვისათვის რკინის გზა ამჟამად 9.800 მანეთს მოითხოვს. პარტიის საოლქო კომიტეტმა წინადადება მისცა ოლქის პროკურორს — დაუყონებლივ შეუდგეს და სამი დღის განმავლობაში დაამთავროს ამ საქმის გამოძიება. ყველა დამნაშავე ამ საქმეში, პიროვნებათა განურჩევლად, უნდა დაუყონებლივ დაპატიმრებულ და პასუხისგებაში იქნას მიცემული. საქმე უნდა გაირჩეს არა უგვიანეს ამა წლის 1 სექტემბრისა საჩვენებელ პროცესზე (ადს).

პოლონეთის მშრომელთა დელეგაცია თბილისში

სპეც. დანიშნულების იზოლიატორში

გუშინ [illegible] პოლონეთის მუშათა დელეგაციამ მთელი შემადგენლობით დაათვალიერა სპეციალური დანიშნულების იზოლიატორი, სადაც დელეგატები ესაუბრნენ პატიმრებს, დაათვალიერეს საკნები, სახელოსნოები და კულტურული დაწესებულებები.

დელეგაციის მეტი ნაწილი ზედმიწევნით იცნობს ბურჟუაზიული ქვეყნების ციხეების ყოფა - ცხოვრებას, სადაც მათ არა ერთი თვე აქვთ გატარებული.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში დელეგატებმა აღფრთოვანება გამოსთქვეს იმ აღმზრდელობითი ხასიათის გამო, რომელიც საფუძვლად უდევს საბჭოთა პენიტენციალურ პოლიტიკას.

ზაჰესში

საღამოს დელეგაციამ დაათვალიერა „ზაჰესი".

„ზაჰესი,— განაცხადეს დელეგაციის წევრებმა — ნათლად ახასიათებს საბჭოთა კავშირში წარმოებულ გიგანტურ აღმშენებლობას. ვინც თავისი თვალით იხილავს ზაჰესს, დარწმუნდება, თუ როგორი მტკიცე საფუძველზე შენდება ახალი სოციალისტური ცხოვრება საბჭოთა კავშირში.

წითელი არმიის საზაფხულო კლუბში

საღამოს 10 საათზე წითელი არმიის საზაფხულო კლუბში შესდგა წითელ არმიის ნაწილების რემედასის უჯრედების წევრთა მიტინგი, რომელსაც პოლონეთის მუშათა და რევოლიუციონურ მებრძოლთა სახელით მიესალმა დელეგაციის მდივანი ამხ. ლანცუცკი.

საპასუხო სიტყვებით გამოვიდნენ კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის შტაბის რემედასის უჯრედის წარმომადგენელი ამხ. ამატკო, წითელ - არმიელი ამხ. ვექილოვი, ცხენოსანთა ნაწილებიდან — ამხ. შანშიაშვილი და სხვ.

ამხ. აბიანცის წინადადებით მიტინგმა ფეხზე ადგომით პატივი სცა ფაშისტთან ბრძოლაში დაღუპული პოლონეთის რევოლიუციონერთა ხსოვნას.

მისალმებების შემდეგ საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ლანცუცკიმ, რომელსაც მიტინგმა ოვაცია გაუმართა.

მიტინგის დამთავრების შემდეგ დელეგაციის პატივსაცემად გაიმართა კონცერტი.

დღეს

საღამოს პოლონეთის მუშათა დელეგაციის პატივსაცემად მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგება საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი, საქარხნო - საფაბრიკო კომიტეტების და ადგილკომების წევრებთან ერთად.

თათართა რესპუბლიკის მწერალთა დელეგაცია

დღეს, საღამოს 6 საათზე, თბილისში ჩამოვა თათართა საბჭოთა რესპუბლიკის მწერალთა დელეგაცია 19 წევრის შემადგენლობით.

დელეგაციის მიზანია გაეცნოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს და კერძოდ საქართველოს ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებას.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან **შერიფ კამალ** — თათართა ძველი მწერალი; **გალიმჯან ნაგმეტი** — თათართა საბჭოთა მწერლების საზოგადოების თავმჯდომარე, კრიტიკოსი — მარქსისტი, მთელი რიგი დიდი ნაშრომების ავტორი; **გუმერ - გალი** — ლიტერატურულ ჟურნალის — „ჩვენი გზა"-ს რედაქტორი, კრიტიკოსი - მარქსისტი; **ტინჩურინ ქერიმ** — დრამატურგი და რეჟისორი; **სალიხ სეიდაშევი**, — ახალგაზრდა კომპოზიტორი თათართა აკადემიური თეატრის მუსიკალური ნაწილის ხელმძღვანელი; **შაქი შამილსკი** — აკადემიური თეატრის მსახიობი; **ისმაილ რამეევი** — ჟურნალისტი; **მ. კუტუი** — ჟურნალისტი - დრამატურგი; **ტაკტაშ** - მალი ახალგაზრდა პოპულიარული პოეტი; **მ. ალი** ძველი მწერალი; **ზაქირ გალი** — კრიტიკოსი, გაზეთ „კინაიში"-ს მუშაკი; **კავი ნიაჯმი** — პროლეტარული მწერალი; **მირ საიდ ემირ** — კომკავშირული პრესის მუშაკი; **დემიან ფულხი** — ახალგაზრდა პოეტი; **ხერვარ ადამოვა** — სტუდენტი ქალი, საბავშვო პიესების ავტორი; **გაზიზ იდელი** — ახალგაზრდა მწერალი **რუბინშტეინი** — გაზეთ „კრასნაია ტატარია"-ს რედაქტორი, და **ზაფირ ბეშერი** — თათართა ძველი პოეტი.

დელეგაცია თბილისში დარჩება 3-4 დღეს და დაათვალიერებს თვალსაჩინო კულტურულ დაწესებულებებს, ზაჰესს და სხვა წარმოებებს. დელეგაციის საპატივცემლოთ ხვალ ამხ. ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბში გაიმართება საზეიმო საღამო; მოეწყობა ქართველ მწერლებთან შეხვედრა და საუბარი ორივე ხალხის კულტურულ და ეკონომიურ მიღწევებზე.

დელეგაციას დღეს სადგურზე შეხვდება სათანადო ორგანიზაციების და საქ. საბჭოთა მწერლების წარმომადგენლები.

დელეგაციის მისაღებათ დაარსებულია კომისია ამხ. მარიამ ორახელაშვილის თავმჯდომარეობით.

საქართველოდან დელეგაცია გაემგზავრება სომხეთში.

წითელი არმიის მანევრებისათვის

პირველი ეშელონი

სადგურ ნავთლუღის შენობა სადღესასწაულოდ არის მორთული წითელი დროშებით, ლოზუნგებით, ელექტრონის ფერადი სანათურებით.

საღამო ჟამია. სადგურზე თავი მოუყრია რამოდენიმე ასეულ მუშას, კომკავშირელებს, ავიაქიმელებს ორკესტრებით და წითელი დროშებით. ელოდებიან მანევრებზე მიმავალ წითელი არმიის ნაწილებს, რომლებიც მოდიან სომხეთიდან.



კავკასიის წითელ - დროშოვან არმიის მანევრების რაიონის რუქა

გამოჩნდა პირველი ეშელონი, აგუგუნდნენ ორკესტრები. სადგურის ფართე ბაქანზე გაიმართა სახელდახელო მიტინგი.

არმიელებს პირველად მიესალმა 26 კომუნარის სახ. რაიკომის წარმომადგენელი ამხ. **სააკიანი**. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს კომკავშირის და ავიაქიმის საბჭოს წარმომადგენლებმა. არმიელებს მიესალმა ნავთლუღის რკინისგზელების წარმომადგენელი მუშა **მგალობლიშვილი**. ორატორები ფიცს აძლევდნენ წითელ არმიელებს, რომ საჭირო დროს მათთან იბრძოლებენ ხელი - ხელ ჩაკიდებულნი საბჭოთა ქვეყნის მტრების წინააღმდეგ.

საპასუხო სიტყვები წარმოსთქვეს წითელ არმიელებმა.

— „ჩვენ წითელ ყაზარმაში ბევრი შრომა და ენერგია დავხარჯეთ, რომ საუკეთესოდ შეგვეთვისებინა სამხედრო ხელოვნება. კავკასიის წითელ - დროშოვანი არმიის დიდი მანევრები, რომელზედაც ჩვენ ეხლა მივემგზავრებით, ჩვენი გამოცდაა და დარწმუნებული ვართ, რომ ამ გამოცდას ბრწყინვალედ ჩავაბარებთ და დავაძახებთ ჩვენს მტრებს, რომ ადვილი არ არის ბრძოლა წითელ არმიასთან, იმ არმიასთან, რომელიც არის მუშათა კლასის პირმშო შვილი".

წითელი არმიელის ამ სიტყვებს მუშები შეხვდნენ მქუხარე ტაშით.

მიტინგი გათავდა. აქვე, ბაქანზე დაიწყო კინო - სურათის ჩვენება. დაღლილნი არმიელნი ხალისიანად უყურებდნენ მხიარულ სურათს.

გაისმა საყვირი — ნიშანი იმის, რომ მატარებელი მალე გაუდგება გზას. არმიელებმა თვალის დახამხამებაზე დაიკავეს თავისი ადგილები ვაგონებში.

ორთქლმავალმა მძიმედ ამოიხვნეშა და არმიელებით დატვირთული გრძელი მატარებელი გაუდგა გზას „ბრძოლის" ველისაკენ.

სამზადისი მანევრებისათვის

მანევრების რაიონში თავს იყრიან კავკასიის წითელ - დროშოვან არმიის სხვადასხვა ნაწილები.

დღეს მოელიან სომხეთის და აზერბეიჯანის წითელი ჯარის ნაწილებს, რომლებიც ცოტა ხნით შეჩერდებიან ნავთლუღში და შემდეგ გაემგზავრებიან მანევრების რაიონისაკენ.

წითელი ჯარის ნაწილებისათვის სად. ნავთლუღში მოწყობილია სააგიტაციო პუნქტი, სადაც არმიელებს ურიგდებათ ლიტერატურა.

—:—

25 აგვისტოს თბილისიდან გორში მიემგზავრება ავიაქიმის ველოსიპედისტების და მეტრედეების ჯგუფი.

ამავე დღეს თბილისიდან გავლენ [illegible] რაზმელები.

30 აგვისტოს დღის 1-ლ საათზე თბილისიდან მცხეთაში გაემგზავრებიან მუშათა ათასეულები.

—:—

აზერბეიჯანის მუშათა ათასეული ჩამოვა თბილისში 26 აგვისტოს.

ავიაქიმის თბილისის საბჭო სად. ნავთლუღში აწყობს აზერბეიჯანელი ამხანაგების საზეიმო შეხვედრას.

გორის მუშათა ათასეული მანევრებში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრება 26 აგვისტოს.

—:—

საქ. ავიაქიმმა გამოსცა წიგნი სათაურით: „რა არის მანევრები". წიგნი უფასოდ დაურიგდება იმ რაიონის მოსახლეობას, სადაც ტარდება მანევრები.

მღელვარება საფრანგეთის ჯარში

უკანასკნელ ხანებში საფრანგეთის არმიაში ძლიერ გახშირდა ჯარისკაცთა და მოთადარიგეთა რევოლიუციონური გამოსვლები. ჯარისკაცები აღშფოთებულნი უფროსების მკაცრი მოპყრობით (საფრანგეთის არმიაში ოფიცრებს „ძროხის თავს" უწოდებენ) და აგრეთვე საერთოდ, აუტანელი რეჟიმით, რომელიც არმიაში არსებობს, უფრო და უფრო ხშირად და აქტიურად გამოდიან კომპარტიისა და კომკავშირის ლოზუნგებით. განსაკუთრებით საგულისხმოა ჯარისკაცთა და მოთადარიგეთა გამოსვლა ლარზაკის ბანაკში, სადაც თავმოყრილია დიდი სამხედრო ძალები, უმთავრესად სამხრეთ-საფრანგეთიდან. 28 ივლისს ლარზაკში დაბანაკებული 81-ე პოლკის ჯარისკაცებმა მოაწყვეს მძლავრი საპროტესტო დემონსტრაცია ცხოვრების აუტანელი პირობებისა და კერძოთ, უვარგისი პროდუქტების წინააღმდეგ. ბანაკში გაისმა „ინტერნაციონალი"-ს ხმები. ჯარისკაცებმა მიაღწიეს ერთგვარ გამარჯვებას: მიღებულ იქნა ზომები კვების გასაუმჯობესებლად.

მაგრამ 29 ივლისს ბანაკში იფეთქა უფრო ძლიერმა მღელვარებამ, გამოწვეულმა უბედური შემთხვევებით, რომლებიც ჯარისკაცებს შემთხვა: დაიღუპა ორი ჯარისკაცი, ერთი ელექტრო-ხაზის დაზიანების გამო, მეორე კი—იმის გამო, რომ გაზის საწინააღმდეგო ნიღაბი უვარგისი აღმოჩნდა. ჯარისკაცების განცხადებით, ბრალი ამ ორი უბედური შემთხვევისათვის ოფიცრებს ეკისრება.

ამ უბედურმა შემთხვევებმა ჯარისკაცების უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. ხელიდან ხელში გადადიოდა კომპარტიის ფურცლები და მოწოდებები. ბანაკში გაისმოდა რევოლიუციონური სიმღერები. „ინტერნაციონალი"-ს შესრულებისათვის რამდენიმე ჯარისკაცი დააპატიმრეს. 30 ივლისს ბანაკის სარდლობამ ერთ მოთადარიგეს 4 დღის ციხე გადაუწყვიტა, მაგრამ ჯარისკაცთა მასის ზეგავლენით იძულებული შეიქნა განაჩენი სისრულეში არ მოეყვანა.

1-ლ აგვისტოს ბანაკმა აღნიშნა საერთაშორისო წითელი დღე. ყაზარმაზე აფრიალდა წითელი დროშა ჩაქუჩისა და ნამგლის გამოხატულებით და წარწერით: „ძირს ომი, გაუმარჯოს მშრომელთა და ჯარისკაცთა დაძმობილებას!" გაცოფებული „ძროხის თავები" დორბლს ჰყრიდენ პირიდან და გარს უტრიალებდნენ წითელ დროშას, მაგრამ უძლურნი იყვნენ შეეჩერებიათ რევოლიუციონური აღფრთოვანების მძლავრი გამოხატულება. მხოლოდ საღამოზე, სარდლობის ბრძანებით, ჟანდარმი ავიდა ყაზარმის სახურავზე და ჩამოხსნა წითელი დროშა.

ჯარისკაცთა რევოლიუციონური ენტუზიაზმის ეს დემონსტრაცია მრისხანე გაფრთხილებას წარმოადგენს ახალი ომის გამჩაღებლებისათვის, რომელთა გეგმები თანდათანობით აშკარა ხდება.

საომარი სამზადისის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ამ რამდენიმე ხნის წინათ შამპანში, მაიის ბანაკში ჩატარებული მანევრები, რომელიც ნამდვილი ბრძოლის რეპეტიციას წარმოადგენდა. თუმცა სამხედრო მინისტრმა პენლევემ მიულოცა მანევრების ხელმძღვანელს გენერალ მორენს ამ რეპეტიციის „ბრწყინვალედ ჩატარება", მაგრამ სამხედრო სარდლობა ვერ მალავს თავის შეშფოთებას, გამოწვეულს იმ არეულობით, რომელთაც ადგილი ჰქონდა მანევრების დროს:

ჯარისკაცები არ ასრულებდნენ სარდლობის ბრძანებებს. იყო შემთხვევები, როცა მთელი ნაწილები კოლექტიურად უარს აცხადებდნენ მანევრებში მონაწილეობაზე. 146-ე პოლკმა უარი სთქვა მონაწილეობაზე პატრიოტულ მანიფესტაციაში, რომელიც მოეწყო ომის მსხვერპლთა ძეგლთან. 1-ლ აგვისტოს, მიუხედავად მიღებულ „გამაფრთხილებელ" ზომებისა, ბანაკში ვრცელდებოდა რევოლიუციონური გაზეთი „კრი დე-მაი", რომელიც დიდის წარმატებით სარგებლობდა ჯარისკაცებში.

4 აგვისტოს მაიის ბანაკში მყოფი მოთადარიგენი პარიზში დაბრუნდნენ. სადგურზე — 1.500 მოთადარიგე ოფიცრებს შეხვდა „ინტერნაციონალი"-ს სიმღერით და ძახილით: „შორს მოთადარიგეთა შეკრება!".

ამ ამბების შემდეგ [illegible] არის გასაკვირი, რომ საფრანგეთის რეაქციონური პრესა განგაშს სცემს და მოითხოვს „წითელი ბაცილის აღმოფხვრას".

ა. მ.

შემოდგომის თესვა და კოლმეურნეობანი

საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრი შეუდგა მზადებას შემოდგომის თესვის კამპანიის ჩასატარებლად. გასული წლის შემოდგომაზე კოლექტიურ მეურნეობათა მიერ დათესილი იყო სულ 6.550,25 ჰექტარი მიწა. მიმდინარე წლის შემოდგომის თესვის გეგმით კი დათესილი უნდა იქნეს 15.100 ჰექტარი, ამრიგად კოლმეურნეობათა მიერ ნათესი მიწის სივრცე დიდდება 8.549,75 ჰექტარით. სათესი მოედნის სივრცის ზრდა გამოწვეულია ახალი კოლექტივების დაარსებით და ძველ კოლექტივებში სათეს მიწების გაფართოებით.

კულტურათა შორის სათესი სივრცე განაწილებულია შემდეგნაირად: ხორბლით დაითესება 12.300 ჰექტარი. (გასულ წელს დათესილი იყო 5.887,25 ჰექტარი). ქერით დაითესება—1.800 ჰექტარი (გასულ წელს დათესილი იყო 663 ჰექტარი) და ჭვავით—1.000 ჰექტარი (გასულ წელს კოლმეურნეობებს ჭვავი არ ქონიათ დათესილი სრულიად).

მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებული მიწის უმეტესი ნაწილი, 14.100 ჰექტარი, დაითესება აღმოსავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებში. დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებში მიმდინარე წლის შემოდგომაზე დაითესება მხოლოდ ჭვავი, 100 ჰექტარის სივრცეზე.

კახეთის მაზრის კოლმეურნეობებში ხორბალი დაითესება 4.100 ჰექტარზე, და ქერი 600 ჰექტარზე, გორის მაზრის კოლმეურნეობებში ხორბალი 3.100 ჰექტარზე და ქერი—400 ჰექტარზე, თბილისის მაზრის კოლმეურნეობებში ხორბალი 4.000 ჰექტარზე და ქერი—600 ჰექტარზე, ბორჩალოს მაზრაში ხორბალი 700 ჰექტარზე, ახალციხის მაზრაში—ხორბალი 200 ჰექტარზე, სამხრეთ-ოსეთში ქერი—200 ჰექტარზე. სენაკის მაზრაში—ჭვავი—200 ჰექტარზე, ზუგდიდის მაზრაში—ჭვავი—400 ჰექტარზე, ქუთაისის მაზრაში ჭვავი—200 ჰექტარზე და ოზურგეთის მაზრაში ჭვავი—200 ჰექტარზე.

საქ. კომკავშირის მესამე კონფერენცია

მეექვსე სხდომა

გუშინ, დილის სხდომაზე, მოსმენილ იქნა მოხსენება ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის მუშაობისა და ამოცანების შესახებ. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა ა. კ. ი—ს წარმომადგენელმა ამხ. გემინდემ.

ახ. კომინტერნის მუშაობა და ამოცანები

ამხ. გემინდეს მოხსენება

ამხანაგებო! ჩემს მოხსენებაში მე შევეხები კომუნისტური ახალგაზრდობის ინტერნაციონალის საერთო მდგომარეობის მთავარ საკითხებს. მე ჩემს მოხსენებაში პირველად შევეხები კომინტერნის აღმასკომის მეათე პლენუმის შედეგებს, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში იქნა ჩატარებული.

მუშათა რევოლიუციონური მოძრაობა ცხოველდება

კომინტერნის მეათე პლენუმი ჩატარებულ იქნა მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობის განვითარების ლოზუნგ ქვეშ. ამჟამად რევოლიუციონური მოძრაობა ძლიერდება არა მარტო დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, არამედ ის ფეხს იკიდებს კოლონიებშიაც.

პირველი მაისის დემონსტრაციებმა ჩვენ დაგვანახვა, რომ კომინტერნის ხაზი იყო სავსებით სწორი. იგივე დაგვანახვა იმ ლოკაუტმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა პრუსიის ოლქში, ჩეხო - სლოვაკიასა და კოლონიალურ ქვეყნებში.

კომკავშირი ბარიკადებზე

მთელ რიგ ქვეყნებში გამართულ ბარიკადებზე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ახალგაზრდობა და პირველ რიგში კი კომკავშირი. აქ კომკავშირი მარტო მონაწილის როლს როდი ასრულებდა, იგი რევოლიუციონური მოძრაობის საუკეთესო ორგანიზატორიც იყო.

იჩქარიან სხდომაზე

ამ დიად საქმეში კომკავშირის ორგანიზაციებს პიონერებიც სათანადო დახმარებას უწევდნენ. იყო შემთხვევა, როდესაც 12 წლის პიონერი დააპატიმრეს, გალახეს, მაგრამ ის მაინც თავის საყვარელ საქმის ერთგული დარჩა. ასეთ შემთხვევასაც ჰქონდა ადგილი: 9 წლის პიონერი დააპატიმრეს, ცემით რომ ვერაფერს გახდნენ, ოფიცერი შოკოლადით გაუმასპინძლდა და სთხოვა ხელმძღვანელ ამხანაგების გაცემა, მაგრამ უშედეგოთ. პიონერმა „თავაზიან" ოფიცერს უპასუხა: „კომუნისტები არასდროს არ ყოფილან გამცემლები და არც იქნებიანო".

მთავარი ამოცანა — სოც. დემოკრატიასთან ბრძოლაა

პირველ ხანებში სოციალ - დემოკრატები კომპარტიის წინააღმდეგ დემაგოგიას მიმართავდნენ. ამჟამად კი ისინი აქტიურად ეხმარებიან ბურჟუაზიას კომპარტიისა და მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პლენუმზე აღნიშნულ იქნა, რომ საჭიროა ულმობელი და შეუწყვეტელი ბრძოლა, როგორც სოციალ - დემოკრატიის მთლიანად, ისე მემარცხენე ფრთის წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ უკვე მთელ ქვეყანას დაანახვა, რომ ის მუშათა კლასის გამცემელია. ჩვენთვის საჭიროა სათანადო მუშაობის ჩატარება იმისათვის, რომ დავანახოთ მთელი ქვეყნის მუშათა კლასს, რომ მემარცხენე დემოკრატებიც არაფრით არ განსხვავდებიან სოციალ - დემოკრატებისაგან.

კომპარტიების რიგების წმენდა

კომინტერნის აღმასკომის მეათე პლენუმზე იდგა საკითხი ამერიკისა და ჩეხო - სლოვაკიის კომპარტიების წმენდის შესახებ, სადაც რამოდენიმე წლების განმავლობაში ოპორტუნისტები აწარმოებდენ დეზორგანიზაციულ და ფრაქციულ მუშაობას. ამით მათ საშუალება არ მისცეს კომპარტიებს ეწარმოებიათ სათანადო ბრძოლა ბურჟუაზიისა და სოციალ - გამცემლების წინააღმდეგ.

მემარჯვენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ

მე-10 პლენუმი დამთავრდა მემარჯვენე გადახრის საკითხის გარჩევით. როგორც იცით, კომინტერნის მე-10 პლენუმის მიერ ამხ. ბუხარინი გამოყვანილ იქნა კომინტერნის შემადგენლობიდან.

ამხანაგებო! კომინტერნის აღმასკომის მე-10 პლენუმმა სერიოზული ყურადღება მიაქცია მემარჯვენე გადახრის საფრთხეს კომკავშირში. ამ გადახრას ჩვენს ორგანიზაციაში თავისებური ხასიათი აქვს. მაგალითად, ზოგიერთები ასე ფიქრობენ; კომკავშირს არ უნდა ეხებოდეს პოლიტიკა. რამდენადაც კომკავშირი მეტ ყურადღებას მიაქცევს მასიურ მუშაობას და რამდენადაც ნაკლებ იზრუნებს პოლიტიკაზე, მით უფრო მეტ წარმატებას მიაღწევს. კომკავშირმა თავის რიგებში უნდა მიიღოს ახალგაზრდების განსაზღვრული ნაწილი. მათ რომ დაუჯეროთ, მაშინ კომკავშირის ორგანიზაცია ხომ არ იქნება მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის მასიური ორგანიზაცია. მესამე სპეციფიური მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ისინი (მემარჯვენეები) ამბობენ სამხედრო საშიშროება, როგორც ასეთი, არ არსებობს, რომ ომის საფრთხე — ეს კომინტერნის მოგონებაა.

კომინტერნის აღმასკომის მე-10 პლენუმმა სათანადო დირექტივები მისცა ყველა ორგანიზაციებს მემარჯვენე გადახრებთან დაუხდობელი ბრძოლის წარმოების შესახებ.

უნდა ითქვას, რომ კომუნისტური ახალგაზრდობის ინტერნაციონალი დიდ დახმარებას უწევს კომინტერნს ოპორტუნისტული გადახრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

პირველი აგვისტოს მნიშვნელობა

თუ რამდენად შესძლო კომპარტიამ დაერაზმა კომინტერნის დროშის ქვეშ მუშათა ფართო მასები ეს გვიჩვენა პირველ აგვისტომ.

პირველ აგვისტომ დაგვანახა, რომ კომპარტიამ შესძლო თავის მუშაობაში ჩაება მუშათა მასები. ერთ და იმავე დღეს, ერთ და იმავე ლოზუნგებით გამოდიოდა მუშათა კლასი მთელ ქვეყანაში კომპარტიის ხელმძღვანელობით.

იმ მასალებით, რომლებიც ჩვენ ხელთა გვაქვს ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ პირველ აგვისტოს დღეები კარგად ჩატარდა.

ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ქვეყნებში მუშები ასობით იქნა დაპატიმრებული იმიტომ, რომ მათ ყველას გასაგონათ სთქვეს, რომ ომი არა სურთ, ის ფაქტი, რომ კომპარტია კანონგარეშე იქნა გამოცხადებული და მისი ხელმძღვანელები დააპატიმრეს, ის ფაქტი, რომ დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოყენებულ იქნა ზარბაზნები და ტყვიისმფრქვეველები, სავსებით აქარწყლებს იმ პაციფისტურ ილიუზიებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა მუშათა კლასის რიგებში.

ჩვენ არ უნდა დავკმაყოფილდეთ პირველი აგვისტოს გამოსვლებით. ეს ბრძოლა ჩვენ უნდა განვაგრძოთ და ის მართლაც გრძელდება. ამას ამტკიცებს გაფიცვები, ლანკაშირში, ბომბეიში, ინდოეთში და სხვაგან.

პირველ აგვისტოს გამოსვლებმა დაგვანახვა, რომ იმპერიალისტურ არმიაში მუშაობას აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა. იმისათვის, რომ იმპერიალისტების ჯარები დავარწმუნოთ ჩვენს სიმართლეში საჭიროა სისტემატიური და ენერგიული მუშაობა. ეს მუშაობა განსაკუთრებით გაძლიერებულ უნდა იქნეს პირველ აგვისტოს გაკვეთილების შემდეგ.

მსოფლიო კომკავშირი ომის წინააღმდეგ ბრძოლაში

ამჟამად ახ. კომინტერნის წინაშე სდგას სერიოზული ამოცანა. ეს არის ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლა. ახალგაზრდათა მე-15 საერთაშორისო დღის მთავარი ლოზუნგი უნდა იყოს ბრძოლა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, ბრძოლა საბჭოთა კავშირის დასაცავად იმპერიალისტურ მტაცებლებისაგან. ჩვენ ამ დღეს ჯამი უნდა გაუკეთოთ, თუ რამდენათ შეასრულეს ა.-კ.-ის სხვადასხვა სექციებმა ეს ამოცანები, რამდენად შეუძლიათ მათ შეასრულონ კომინტერნის გადაწყვეტილებები.

ანტილენინური გადახრები კომკავშირში

ა.-კ.-ის სექციები ყოველთვის პირველ რიგში იდგნენ ყოველგვარი ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ ქვეყნებში, როგორიცაა, მაგალითად, ჩეხო - სლოვაკია, კომკავშირი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მემარჯვენე გადახრების წინააღმდეგ ბრძოლას. ეს კი იმაზე ლაპარაკობს, რომ ა.-კ.-ის ზოგიერთ სექციაში ყველაფერი თავის რიგზე არ არის.

ბრძოლა ახალგაზრდობისათვის

სექციების მუშაობის უარყოფით მხარეთ კიდევ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ისინი ხშირად მიმართავენ მუშაობის შაბლონურ მეთოდებს და ანგარიშს არ უწევენ მუშა-ახალგაზრდობის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

კაპიტალისტური ქვეყნების მესვეურებმა კარგად იციან, რა მნიშვნელობა ექნება იმას, თუ ვის მხარეზე დადგება ახალგაზრდობა იმპერიალისტური ომის დროს. ამიტომ ისინი ყოველგვარ ზომებს მიმართავენ, რათა თავიანთი გავლენის ქვეშ დააყენონ ახალგაზრდები. მათ ყოველ ქვეყანაში შექმნილი ჰყავთ ახალგაზრდობის სხვადასხვა ორგანიზაციები, რომელთა მიზანია ახალგაზრდობის ბურჟუაზიულად აღზრდა. იმპერიალისტური ომის დროს გამოსაყენებლად. მაგალითად, გერმანიაში არსებობს ახალგაზრდობის სახელმწიფო ორგანიზაციები, ინგლისში—ბოისკაუტების ორგანიზაციები, იტალიაში — ახალგაზრდობის ფაშისტური ორგანიზაციები და სხვა.

ამ ორგანიზაციებს გარდა არსებობენ რელიგიოზური ორგანიზაციები, რომელთა მიზანია ეკლესიის გავლენის ქვეშ დააყენოს მოზარდი თაობა.

ახ. სოც. დემოკრატიული ორგანიზაცია დაშლის გზაზე

მუშა - ახალგაზრდობის ორგანიზაციების წინააღმდეგ მარტო ზემოდ აღნიშნული ორგანიზაციები როდი იბრძვიან. მუშა - ახალგაზრდობის კომკავშირის მთავარ მოწინააღმდეგის ახ. სოც. დემოკრატების ორგანიზაციები წარმოადგენენ. ამ უკანასკნელში დღითი დღე ჩნდება განხეთქილებები. აქ თავს იჩენს გადახრები და ყალიბდება ოპოზიციონური ჯგუფები. ინგლისის დელეგაციამ კონგრესზე სთქვა, რომ მეორე ინტერნაციონალი ქმნის ომის საშიშროებას, ავსტრიაში დაახლოვებით 300—400 კაცზე მეტი გამოვიდა ახ. სოც. დემ. ორგანიზაციიდან. ეს კი იმას მოწმობს. რომ თვით ახ. სოც. დემ. ორგანიზაციებში იზრდება ოპოზიციონერთა რიგები.

მე-15 საერთაშორისო დღე — ომის წინააღმდეგ ბრძოლის დღეა

ახ. საერთაშორისო მე-15 დღე და „აკი"-ს ათი წლის თავის იუბილე გამოყენებულ უნდა იქნეს ომის საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის.

საზღვარგარეთ ახ. საერთაშორისო მე-15 დღემ ა.-კ.-ის სექციებმა მუშა - ახალგაზრდობაში უნდა ჩაატარონ მუშაობა მის განსამარტავად, რომ საბჭოთა კავშირი მსოფლიო რევოლიუციის ციხე - სიმაგრეა. საბჭოთა კავშირში კი ჩვენი მიზანი უნდა იყოს შევაგნებინოთ მშრომელ ახალგაზრდობას ამ დღის მნიშვნელობა რევოლუციურ მოძრაობაში.

ახალგაზრდობის საერთაშორისო სოც. შეჯიბრება

გარდა ამისა ამ დღეს დაიწყება საერთაშორისო პროლეტარული ახალგაზრდობის შეჯიბრება.

საერთაშორისო სოციალისტური შეჯიბრება ჩატარებულ იქნება შემდეგ საკითხებზე: 1. პროლეტარულ ახალგაზრდობის ბრძოლა ბურჟუაზიული მსოფლიოს წინააღმდეგ, სოც. მშენებლობაში მონაწილეობა (საბჭ. კავშირში).

შეჯიბრის დროს ა.-კ.-ის ყველა სექციებს ერთნაირი ამოცანები არ ექნებათ. სოც. შეჯიბრების შედეგად საბჭოთა კავშირში უნდა გაძლიერებულ იქნას სოც. მშენებლობა, საზღვარგარეთ კი — კაპიტალისტური სამყაროს დანგრევისათვის ბრძოლა.

შევისწავლოთ ა.-კ.-ის ბრძოლა და ამოცანები

როგორც ხედავთ ა.-კ.-ის წინაშე უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საკითხები დგას. ჩვენ უნდა შევისწავლოთ ა.-კ.-ის ისტორია. მას აქვს მუშაობის საკმაო გამოცდილება. ყველა ეს გამოცდილებები გამოყენებულ უნდა იქნას.

დელეგატების ერთი ჯგუფი

განვამტკიცოთ ინტერნაციონალური კავშირი

ახ. მე-15 საერთაშორისო დღის და ა.-კ.-ის ათი წლის თავის დღესასწაულის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ინტერნაციონალური აღზრდისა და კავშირის განმტკიცება. საერთაშორისო შეჯიბრება, რომელიც ამჟამად იწყება, უნდა ატარებდეს მასიურ ხასიათს. საზღვარგარეთ ჩვენ უნდა გადავისროლოთ ლოზუნგი: — „ყველა კავშირების მაქსიმალური ბოლშევიზაცია და მე-5 კონგრესის დადგენილებათა შეუხრელი განხორციელება".

კომკავშირის მიმართვა წითელ არმიას

ამხანაგო წითელარმიელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკნო!

რამდენიმე დღის შემდეგ იწყება კავკასიის წითელდროშოვანი არმიის დიდი მანევრები. ყაზარმის პირობებში წითელარმიელთა ხანგრძლივი სწავლება ამჟამად პრაქტიკულად გამოტანილი იქნება მინდვრად, სადაც წითელარმიელებმა უნდა გამოიჩინონ, თუ რამდენად შეისისხლხორცეს მათ ზამთრის პერიოდის სწავლება. ამჟამად, შექმნილი პოლიტიკური პირობების გამო, მანევრებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობისათვის და იმისათვის, რომ მშრომელმა მოსახლეობამ დაინახოს თავისი პირმშო შვილის — მუშათა და გლეხთა შეიარაღებული კადრების, სამხედრო ძლიერება.

საქართველოს კომკავშირის მე-8 კონფერენცია დარწმუნებულია, რომ თვითეული წითელ არმიელი, თვითეული მეთაური წარმატებით შეასრულებს მასზე დაკისრებულ ამოცანებს თავისი ნაწილების ბრძოლის უნარიანობის განმტკიცების დარგში და იმ სტრატეგიულ ამოცანათა დამაკმაყოფილებლად გადაჭრის საქმეში, რომელიც მათ დაეკისრებათ.

საქართველოს კომკავშირი, ეს მძლავრი რეზერვი, საიდანაც ჩვენს არმიას სოციალიზმის შეიარაღებულ მშენებელთა ახალი კადრების მოსამზადებლად ახალი ძალები ერთვის, მომავალშიაც საკავშირო კომკავშირის საუკეთესო რაზმად დარჩება შეიარაღებულ ძალთა მშენებლობის საქმეში.

საქართველოს კომკავშირი, თავისი მე-8 კონფერენციის სახით, არწმუნებს ყველა წითელარმიელს, და აგრეთვე არმიის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს, რომ საჭირო დროს, მუშურ - გლეხური მთავრობის ძახილზე, კომკავშირი შეავსებს წითელი არმიის რიგებს თავისი საუკეთესო შვილებით ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად.

საქართველოს კომკავშირი სიტყვას სდებს აგრეთვე, რომ მომავალ წლის მანევრებისათვის ჩვენი არმიის ტეხნიკურ შეიარაღებას მიემატება პროლეტარული დიქტატურის კიდევ ერთი მრისხანე იარაღი ტანკი „საქართველოს კომკავშირელი".

გაუმარჯოს ჩვენს პარტიას და მის პირმშოს—წითელ არმიას!

გაუმარჯოს კომკავშირს — წითელი არმიის რეზერვს!

გაუმარჯოს ტანკს „საქართველოს კომკავშირელ"-ს!

კამათი ამხ. გემინდეს მოხსენების გარშემო

ამხ. ჩაჩნოვსკი
(აფხაზეთი)

მომხსენებელმა ჩვენ გაგვაცნო ა.კ.ი-ს მუშაობა. მე ჩემს სიტყვაში უნდა შევჩერდე ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებზე. უპირველეს ყოვლისა საკითხავია: როგორი კავშირი გვაქვს საზღვარ-გარეთელ კომკავშირელებთან? გულახდილად უნდა ითქვას, რომ სუსტი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ინტერნაციონალურ აღზრდის საკითხებს ჩვენში ნაკლები ყურადღება ექცევა. თქვენ ადგილებზე ვერ ნახავთ ისეთ კომკავშირელს, რომელმაც ოდნავადაც მაინც იცოდეს საზღვარგარეთელ მუშა-ახალგაზრდობის და, კერძოდ, კომკავშირის მდგომარეობა. რომ ჩვენ მტკიცე კავშირი გვქონდეს უცხოეთის კომკავშირთან, ასეთ დეფექტებს ადგილი არ ექნებოდა.

საერთაშორისო სოც. შეჯიბრების ლოზუნგის წამოყენება დროულად უნდა ჩაითვალოს. ჩვენ ამ მიმართულებით კიდევ უნდა გავაცხოველოთ მუშაობა, განსაკუთრებით ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში.

ამხ. ბოგატირევი.
(აჭარისტანი)

მე მინდა რამოდენიმე სიტყვა ვსთქვა საერთაშორისო პროპაგანდაზე. ბათომში ჩვენ გვაქვს ინტერნაციონალური კლუბი, სადაც მუშაობა არ არის სათანადოთ გაშლილი. მეზღვაურმა, რომელიც თვეობით ზღვაზე იმყოფება, ნაპირზე გადმოსვლის დროს უსათუოდ უნდა დაისვენოს, უნდა წავიდეს სადმე, გაერთოს, წაიკითხოს ლიტერატურა საზღვარგარეთის მდგომარეობაზე. ბათომის ინტერნაციონალურ კლუბებში კი ასეთი ლიტერატურა არ გვაქვს.

ამხ. კაზარიანი
(ახალციხე)

გულახდილათ უნდა განვაცხადო, რომ საქართველოს კომკავშირის ორგანიზაცია სუსტად იცნობს ახ-კომინტერნის მუშაობას. შემდეგში ჩვენ უნდა გავაძლიეროთ მუშაობა ა.კ.-ი-ს პლენუმების დადგენილებებათა შესწავლის მხრივ.

ლიტერატურა ა. კ. ი-ს მუშაობის შესახებ ნაციონალურ ენებზე იშვიათად იცემა. მიღებულ უნდა იქნეს ზომები ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

ინტერნაციონალურ კავშირის განმტკიცების საქმეში დიდ როლს თამაშობ უცხო ენების შესწავლა. გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდა"-მ თავის ფურცლებზე გახსნა გერმანულ ენის განყოფილება. საქართველოში კი არც ერთი ჯგუფი არ ჩამოყალიბებულა, გერმანული ენის სასწავლად. შემდეგში ამ მუშაობას უნდა მივაქციოთ ყურადღება.

ამხ. ბერია
(მცხეთა)

ინტერნაციონალური აღზრდის საკითხი ჩვენში ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. ჯერ კიდევ 1925 წელს კოლექტივის გაერთიანებულ კრებაზე დაგვესწრო ამხ. როზელ გაბცი, რომელსაც აღუთქვით ინტერნაციონალური აღზრდის მოგვარება, მაგრამ ეს ჩვენ ვერ შევსძელით. ჩვენს ორგანიზაციაში არის ისეთი ხალხი, რომლებიც შოვინისტურად არიან განწყობილი.

დიდუბეში არის გერმანელების ახალშენი, რომელშიც დაახლოებით 150 ახალგაზრდა ცხოვრობს. იქ უჯრედიც კი არ არსებობს. ეს უსათუოდ ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი სუსტი მხარეა.

არც ინტერნაციონალური გადასახადის აკრეფის საქმეა მოგვარებული.

ამხ. ბურაკოვი
(გორი)

ბურჟუაზია ცდილობს დაშალოს რევოლიუციონური ორგანიზაციები და გააძლიეროს თავისი გავლენა ახალგაზრდობაზე. ამიტომ კომკავშირის ორგანიზაციის ამოცანა უნდა იყოს ყურადღება მიაქციოს საზღვარგარეთელ ახალგაზრდათა რევოლიუციონურ ორგანიზაციებს.

ამხ. ბიბილაშვილი
(თბილისი)

ა.კ.ი-ს ზოგიერთ სექციებში ვერ აფასებენ ომის საშიშროებას. ამისთვის ახ. ინტერნაციონალის აღმასკომმა სათანადო მუშაობა უნდა ჩაატაროს საზღვარგარეთელ ორგანიზაციებში და დასვას საკითხი საერთაშორისო მდგომარეობის გართულებისა და კლასიური ბრძოლის გამწვავების შესახებ. უსათუოდ უნდა ავსწიოთ კომკავშირელების კლასიური შეგნება, რათა მათ იგრძნონ, რომ საბჭოთა კავშირი ერთად-ერთი ქვეყანაა, რომელიც იცავს მუშა-ახალგაზრდობისა და მთელი პროლეტარიატის ინტერესებს.

ა. კ. ი-ს წინაშე უნდა დაისვას საკითხი ახალი კადრების მომზადების შესახებ. ჩვენ უნდა აღვზარდოთ ისეთი ძალები, რომლებსაც მუშაობა შეეძლებათ საზღვარგარეთ. ამ მიზნის მისაღწევათ უსათუოდ უნდა შევძლოთ უცხო ენების მასიურად შესწავლა. თბილისის ქალაქის რაიონულ ორგანიზაციას კავშირი აქვს გერმანიის საწარმოო უჯრედებთან. უჯრედებმა რამოდენიმე წერილი გაგზავნეს გერმანიაში, სადაც სთხოვდნენ გერმანიის მუშა-ახალგაზრდობის მდგომარეობის დახასიათებას, მაგრამ იქედან პასუხი არ მიგვიღია.

—:—

გარდა ამისა კამათში გამოვიდნენ: ამხ. **დიბენკო, ვოდბა, ერმოლინი და მიძაბია.**

კამათის დასრულების შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. გემინდემ.

მეშვიდე სხდომა

მეშვიდე სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. აკ. მახათაძის მოხსენება ნ. პ. ორგანიზაციის მდგომარეობისა და მორიგ ამოცანებზე (მოხსენების ანგარიში მოთავსდება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში).

ამხ. აკ. მახათაძის მოხსენების შემდეგ საქ. შინამრეწველთა კოოპერაციასთან არსებულ პიონერ - კოლექტივის სახელით კონფერენციას მიესალმა პიონერი მისტეტსკი. მან კოლექტივის სახელით ტანკ „საქართველოს კომკავშირელ"-ი-ს ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად შემოიტანა 90 მანეთი და გამოიწვია მუშკოოპის, ცეკავშირის ა.-კ. მომხ. საზ. პიონერ - კოლექტივები.

შინამრეწველ უჯრედის სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. სააკიანი და ტანკის ასაგებ ფონდში შემოიტანა 200 მანეთი. მან ამავე მიზნით გამოიწვია მუშკოოპის, ცეკავშირის ა. კ. მომხ. საზ. უჯრედები.

მთავრობის სასახლესთან არსებულ უჯრედმა ტანკის ასაგებ ფონდში შემოიტანა 20 მანეთი და გამოიწვია ცენტრ. სტ. სამმართველოს და საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის უჯრედები.

გორიდან ტელეგრაფით მიღებულ იქნა 200 მანეთი.

პარტიაში

ბოლშევიკები ამოწმებენ თავის რიგებს

გამწმენდი კომისია სუსტად მუშაობდა

(საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომისიის დადგენილება მანგლისის ორგანიზაციის გამწმენდ კომისიის შესახებ)

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ არა დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა მანგლისის თემის პირველი უჯრედის შემმოწმებელი კომისიის მუშაობა (ეს კომისია მუშაობდა ამხ. გავას თავმჯდომარეობით). მანგლისის თემში წმენდისა და შემოწმების ჩასატარებლად ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა დაადგინა, ახალი კომისიის შედგენა ამხ. ზაკომოლდინის (თავმჯდომარედ) შახსუვაროვის, სანამიანის და ბუტბაის (წევრად) შემადგენლობით. კომისია მუშაობას შეუდგება დაუყოვნებლივ.

წმენდა დამთავრდა

ონი, 22 აგვისტო. ქ. ონში პარტიის წმენდა 19 აგვისტოს დამთავრდა. ადგილობრივი კლუბის დარბაზმა წმენდაზე დასწრების მსურველნი ვერ დაიტია. მშრომელი უპარტიო მასა დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს წმენდას და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მასში.

19 აგვისტოს საღამოს გამოაცხადეს წმენდის შედეგები. წმენდა გაიარა პარტიის 63 წევრმა და კანდიდატმა. პარტიიდან გამორიცხეს 9 კაცი, მათ შორის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი შერედიდიშვილი.

ზესტაფონი, 22 აგვისტო. შორაპნის მაზრაში პარტიის წმენდას სამი კომისია აწარმოებს. პირველი კომისია, ამხ. მახსულიას თავმჯდომარეობით, ზესტაფონის რაიონში მუშაობს, მეორე კომისია, ამხ. ფოფხაძის თავმჯდომარეობით ხორაგაულის რაიონში, ხოლო მესამე კომისია, რომელსაც ამხ. ტიგიშვილი თავმჯდომარეობს, — ჭიათურის რაიონში.

პირველმა კომისიამ მუშაობა 27 ივლისს დაიწყო და 14 აგვისტოს დაამთავრა. წმენდა გაიარა 29 უჯრედმა, რომლებშიაც 619 წევრი და კანდიდატი ირიცხება. პარტიიდან გამორიცხულ იქნა 156 კაცი, რაც დაახლოებით საერთო რიცხვის 24 პროცენტს შეადგენს, საყვედური გამოეცხადა 114 კაცს — დაახლოებით 17 პროცენტს. გამორიცხულებს ბრალდებოდათ მიწის ყიდვა - გაყიდვა, რელიგიური წესების შესრულება, მემარჯვენეობა, ლოთობა და სხვ.

საბჭოთა დაწესებულებების უჯრედებში ადგილი ჰქონდა კინკლაობის ხასიათის ჯგუფურ გამოსვლებს. სოფლის უჯრედებში მოისუსტებდა მუშაობა კოლექტივიზაციის სფეროში (ადს).

ვიშორებთ კულაკებსა და ყოფილ ადამიანებს

(ვანის რაიონი, ქუთ. მაზრა)

ვანის რაიონში წმენდა დაიწყო 21 ივლისიდან. გამწმენდ კომისიას თავმჯდომარეობს ამხ. რ. კუკულდავა.

პირველად წმენდა ჩატარდა ტობანიერის თემის კომუჯრედში. უჯრედის ბიუროს საანგარიშო მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს უპარტიოებმაც, ისინი უჯრედს მრავალ ნაკლზე მიუთითებდნენ.

დაიწყო პარტიის წევრების შემოწმება. დამსწრენი პირდაპირ უყენებდნენ ბრალდებას უჯრედის ზოგიერთ წევრს.

წმენდის დროს ადგილი ჰქონდა პარტიის წევრის საქმიანობის არასწორ შეფასებას დამსწრეთა მიერ. ერთ-ერთ კომუნისტს, რომელსაც სტაჟი 1904 წ. აქვს, გლეხები ახასიათებდნენ, როგორც კარგ ბოლშევიკს, სპეტაკ, თავდადებულ მებრძოლს, პროლეტარულ ელემენტს და ყოველ მის სიტყვას აპლოდისმენტებით აჯილდოვებდნენ. მაგრამ კომისიამ მიიღო სარწმუნო ცნობა, რომ ეს კაცი უკვე დაადგა გაკულაკების გზას. მან, წარსულში თავდადებულმა მებრძოლმა, არავითარი მონაწილეობა არ მიიღო მენშევიკ - ავანტიურისტების წინააღმდეგ ბრძოლაში 1924 წელს. მაშინ, სხვათა შორის აღნიშნული ამხანაგი დააპატიმრეს და მან წერილიც კი მისწერა კომუნისტებს იმის შესახებ, რომ ჩვენ დამარცხებული ვართო. დღეს ეს ამხანაგი კოლმეურნეობების დაარსების აშკარა მოწინააღმდეგეა. ასეთ კაცს, რასაკვირველია, პარტია ვერ მოითმენს.

ტობანიერის თემში შემოწმდა 30 კომუნისტი. გაირიცხა — 7, საყვედური გამოეცხადა 5-ს. გარიცხვის მიზეზია: ლოთობა, გახრწნა, კულაკებთან შეზრდა, გაფლანგვა და სხვა.

24—25 ივლისს კომისია ესტუმრა ვანის თემის კომუჯრედს. ეს თემი კულაკურია. მარტო საარჩევნო ხმის უფლება წართმეულთა რაოდენობა აქ 600-მდე აღწევს.

რელიგიას საკმაოდ მოდგმული აქვს ფეხი აქაურ „კომუნისტებში". სწორედ ამ მიზეზებით აიხსნება ის, რომ თემში, სადაც 3.500 კომლი მცხოვრებია, ადგილობრივ უჯრედში მხოლოდ 19 კაცი ირიცხება. აქვე გამოაშკარავდა, თუ რამდენად მოუღებელია ორგანიზაციის სოციალური შემადგენლობა ასეთ თემებში. კომუჯრედში აღმოჩნდა ისეთი კაცი, რომელიც გასაბჭოების შემდეგ 1922 წელში მესწავლებელიც იყო და დიაკონიც. როცა მას ჰკითხეს: „იყავი დიაკონი თუ არა"-ო, მან განაცხადა: „მე შტატიანი დიაკონი არ ვყოფილვარ"-ო. შეკითხვაზე, თუ საიდან მოხვდა პარტიაში, ყოფ. დიაკონმა განაცხადა: „მე ძველმა კომუნისტმა მომცა რეკომენდაცია და უჯრედს რა უფლება ჰქონდა არ მიეღეო".

ამასვე იმეორებს მეორე ყოფილი დიაკონი, პარტიის წევრი 1921 წლიდან, რომელმაც, სხვადასხვა სიკეთეებთან, გლეხებიდან ქრთამიც კი აიღო მიწის კანმანაწილებელ კომისიაში ყოფნის დროს.

ამავე უჯრედში აღმოჩნდა ყოფილი ვაჭარი, მრავალი პასიური ელემენტი, წვრილბურჟუაზიულ, მეშჩანურ ჭაობში ჩაფლული კომუნისტი, რომელსაც სიტყვა „ამხანაგო"-ც კი დავიწყებია და წამდაუწუმ „ბატონოს" გაიძახის.

— თქვენ ეწევით თუ არა მევახშეობას? — ჰკითხეს უჯრედის ყოფილ მდივანს, პარტიის წევრს 1922 წ.

— მევახშეობას არ ვეწევი, იყო კი შემთხვევა, გავასესხე 500 მან. მეზობელს, მაგრამ 80 კაპიკის მეტი სარგებელი არ გამომირთმევია. ის ფული ავიღე და ქალიშვილს მივეცი მზითევადო. რასაკვირველია, არც ასეთ „არა მევახშეს" მოუსვამს თავზე ხელს გამწმენდი კომისია.

შემოწმებაში გატარდა 29 კაცი, გაირიცხა — 8; საყვედური გამოეცხადა 7-ს.

26 ივლისს გაიწმინდა საპაიჭაოს თემის უჯრედი. ამ უჯრედში აღმოჩნდა ყოფილი ბოქაული, ყოფილი ვაჭარი და სხვა ყოფილი ადამიანები. შემოწმებაში გატარდა სულ 7, გაირიცხა — 4. 2-ს საყვედური გამოეცხადა.

28 ივლისს შემოწმდა დვალიშვილების თემის საკანდიდატო ჯგუფი. აქ ერთ პარტიის წევრს ჰკითხეს „დაანებებ თუ არა ლოთობას თავს, პარტიაში დარჩები"-თო. მან განაცხადა: „მე ღვინო მიყვარს და ის უნდა ვსვა ჩემს სიცოცხლეშიო". კომისიამ გზა დაულოცა „ღვინის მოყვარულს", რომ შემდეგში პარტიის წევრობამ მას ღვინის სმაში ხელი არ შეუშალოს.

წმენდამ უდიდესი გამოცდილება მისცა კომუჯრედებს. კომისიის თვითეული წევრი რჩევა - დარიგებას აძლევდა ყველა კომუნისტს შეცდომის გასასწორებლად. უჯრედებს ეძლეოდა პრაქტიკული მითითება.

წმენდამ უდიდესი შთაბეჭდილება დასტოვა უპარტიო გლეხობაზე. გაწმენდილი უჯრედები ახალი ენერგიით, ახალი შემართებით, განაგრძობენ ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის გატარებას სოფლად და კიდევ მეტად [illegible] ღარიბ და მოჯამაგირეთა შეკავშირებას პარტიის ირგვლივ.

მ. ჭუნია.

პარტიის ულირსი წევრი

თბილისის აღმასკომის ზოოლოგიურ ბაღში უფროს მებაღეს თანამდებობაზე არის დათიკო ძნელაძე, რომელიც კომპარტიის რიგებში ირიცხება. ამ პიროვნებას მოქალაქის ელემენტარული ზნეობრივი ღირსებაც კი არა აქვს. ძნელაძეს თავის ხელქვეშ ჰყავს რამოდენიმე ულარიბესი გლეხი შავ სამუშაოზედ, რომლებსაც უმოწყალოდ ყვლეფავდა და დიქტატორობდა მათზე. მაგრამ ყველაფერს თავის საზღვარი და დასასრული აქვს. გლეხებმა გაიგეს, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექცია ხელს არავის აფარებს და განურჩევლად სჯის ყველას. ჩადენილ ბოროტების მიხედვით. გლეხებმაც მიმართეს საჩივართა ბიუროს. ძნელაძეც წარსდგა თბილისის [illegible] სამსჯავროს წინაშე. რა ბრალსა სდებენ დათიკო ძნელაძეს? 1) გუსეინ ხუმეინოვს დასტყუა 51 მანეთი სესხის სახით. როდესაც მას კითხეს, თუ რატომ არ დაუბრუნა, ურცხვად განაცხადა,—არ მოუთხოვია და მეც არ ვაძლევდიო. 2) მუშა სოლომონ შერმადინს გამოართვა 15 მანეთი, რომელიც სამიკიტნოში შესჭამა. 3) ვასო ლაზარეშვილი გაგზავნა სოფელში და საპირველმაისოდ თავის ხარჯით ჩამოატანინა არაყი, კვერცხები, ყველი და სხვ. ჩამოტანაზე ლაზარაშვილმა გაატარა სამი დღე თავის ანგარიშში.

4) მოსე ყაზარიანს გამოართვა ქრთამი 15 მანეთი. გარდა ამისა ძნელაძეს ისე ქონდა საქმე დაყენებული მუშებში, რომ ჯამაგირის აღებისთანავე მუშებს იგი უთუოდ უნდა დაეპატიჟნათ [illegible]. აღსანიშნავია ზოოლოგიურ ბაღის გამგის მარკოვის ჩვენება, რომელიც ამბობს, რომ ძნელაძე ხან ერთ მუშას აქებდა ჩემთან, ხან მეორეს, რომ ჯამაგირი მოემატებინა და შტატში ჩამერიცხაო. ამხ. მარკოვი ძნელაძეს ახასიათებს როგორც უხეშ პიროვნებას და საქმისადმი სრულიად [illegible]. ძნელაძე არც ადგილკომს უწევდა ანგარიშს მუშების მიღების დროს.

ყოფილა აგრეთვე შემთხვევები, როდესაც ძნელაძეს უყიდნია სათესლები და ანგარიშები კი ზედმეტი წარუდგენია.

მუშგლეხინსპის საჩივართა ბიურომ დათიკო ძნელაძეს საქმე გადასცა პარტკოლეგიას, სადაც მიიღებს ღირსეულ სასჯელს.

ასეთ გახრწნილ ადამიანებს პარტიის რიგებში ადგილი არ უნდა ქონდეს.

ნიკო მკერვალი.

ხანძარი

გორის მაზრაში

(ტელეფონით საკუთარი კორესპონდენტისაგან).

ბელის ტყეში ხანძარი ისევ მძვინვარებს. გამოცხადებულია საყოველთაო ბეგარა. ქუდზე კაცია გამოწვეული. ჯარის ნაწილები და ადგილობრივი გლეხობა დაუღალავად ებრძვის სტიქიას, მაგრამ უშედეგოდ. ცეცხლი დაუახლოვდა სოფელ ალს სამი კილომეტრის მანძილზე. იგი საშიშ ხასიათს იღებს. სოფლებში იწვევება გლეხობის ძნები. საჭიროა დახმარება სახანძრო რაზმებით.

—:—

წითელ ქალაქში, რუსის ტყეში ცეცხლი თანდათან ჰქრება.

—:—

ამ ორი დღის წინად გორში სამ ადგილას გაჩნდა ხანძარი. საქონლის სადგურში დაიწვა 1.500 მანეთის საქონელი. დაიწვა მეოთხე ლეგიონის სამი ვაგონი თივა, რომელიც მოთავსებული იყო ძველ ეკლესიაში. მესამე ადგილას ხანძარი გაუჩნდა კერძო მოქალაქის სახლს.

ქ. მგელაძე.

შირაქში

გუშინ საღამოს კახეთის საოლქო აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. აფციაურისაგან სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დეპეშა შირაქში ხანძრის გაჩენის შესახებ.

ამხ. აფციაური იტყობინება, რომ 22 აგვისტოს, შირაქის ველზე გაჩნდა ხანძარი. მიღებულია ზომები, რომ ხანძარი არ გაძლიერდეს.

გუშინვე ღამით მიღებული იქნა მეორე დეპეშა: „ხანძარი ძლიერდება. საფრთხე მოელის კულტურულ მეურნეობებს და პურის ყანებს. ხანძარი თანდათან ედება ახალ-ახალ ადგილებს. საჭიროა სასწრაფო დახმარება".

მეორე ცნობის მიღებისთანავე შირაქში გაემგზავრნენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, სახ.-პოლიტიკური სამმართველოს და მეხანძრეთა რაზმის წარმომადგენლები.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. მგალობლიშვილმა კახეთის საოლქო აღმასკომს დეპეშით წინადადება მისცა ხანძართან საბრძოლველად გაიწვიოს გლეხები და ჯარის ნაწილები.

24 აგვისტოსათვის დილის 9 საათზე საქ. პროფსაბჭოს ახალ დარბაზში მოწვეული თათბირი გადადებულია და შესდგება 27 აგვისტოს დილის 9 საათზე (იმავე შენობაში). დღის წესრიგში: ამხ. გ. მაჩაიძის მოხსენება — სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ

ახალი მებრძოლნი წითელ არმიას

გაწვევამდე დარჩენილი დრო გამოვიყენოთ სააგიტაციო და ახსნა-განმარტებითი მუშაობისათვის ახალწვეულთა შორის. — სოფლად და ქალაქად მოვაწყოთ გასაწვევთა ფართე კონფერენციები

საჭიროა გაცხოველებული მზადება

1907 წელში დაბადებულთა ახალგაზრდების გაწვევამდე წითელი ჯარის რიგებში დარჩენილია ძალიან ცოტა დრო. თბილისში გაწვევა დაიწყება 2 სექტემბრიდან, ხოლო პროვინციაში 5 სექტემბრიდან.

ადგილებიდან მიღებული ცნობების თანახმად, სამზადისი გაწვევისათვის მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად.

ბევრ ადგილას ჩატარდა გასაწვევთა კონფერენციები, რომლების დახმარებით გამოსწორებულ იქნა გაწვევის მრავალი უარყოფითი მხარე. კონფერენციების საშუალებით შესაძლებელი გახდა შეღავათების სწორი განაწილება და უცხო ელემენტების გამომჟღავნება.

აუცილებლად საჭიროა, რომ გასაწვევთა კონფერენციები ჩატარდეს საქართველოს ყველა კუთხეში, ყოველ სოფელში და ქალაქში. კონფერენციების დროს უაღრესი ყურადღება უნდა მიექცეს გასაწვევ ახალგაზრდების ყოველგვარ პრაქტიკულ მითითებებს და რჩევას. კონფერენციების მასალები ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული გაწვევის კამპანიის უნაკლოდ ჩატარებისათვის.

ახალგაზრდობის ჯარში გაწვევის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს თვით გაწვევის ორგანიზაციას, მის ტეხნიკურ მხარეს.

გასულ წლებში ამ მხრივ დაშვებული იქნა ადგილობრივ მნიშვნელოვანი შეცდომები. შესაკრებ პუნქტებზე თავს იყრიდენ გასაწვევთა დიდი რაოდენობა საქმიო შემოწმების მოლოდინში. ბევრ ადგილას არ იყო მოწყობილი ღამის გასათევი ბინები, საგიტაციო წერტები. არ იყო წარმოებული გასაწვევთა შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობა და სხვა.

წელს ეს ნაკლი თავიდან უნდა იქნეს აცილებული.

სამხედრო კომისარიატებს და სამხედრო მაგიდათა გამგეებს პარტიულმა, კომკავშირის და პროფ. ორგანიზაციებმა უნდა აღმოუჩინონ მაქსიმალური დახმარება. მათი დახმარებით უნდა მოეწყოს ყოველ შესაკრებ პუნქტთან საგიტაციო წერტები, სადაც თავმოყრილი უნდა იყვეს უმთავრესად საცნობო მასალა გაწვევის ირგვლივ.

გაწვევაზე თავის დროზე და დაუყონებლად გამოცხადებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა. ყოველმა გასაწვევმა ახალგაზრდამ უნდა იცოდეს, რომ დაგვიანებით იგი არღვევს გამწვევი კომისიის მუშაობის ნორმალურ მსვლელობას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს გაწვევაზე.

ამიტომ საჭიროა, რომ გასაწვევი ახალგაზრდები დანიშნულ დროზე ცხადდებოდნენ შესაკრებ პუნქტებზე და ამითი მისცენ მაგალითი თავის ამხანაგებს.

გაწვევა მოითხოვს ახალგაზრდებისაგან დისციპლინას, შეგნებას და უნდა ვეცადოთ, რომ ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი გაწვევის ნორმალურ მსვლელობას.

ლი.

სამხედრო საქმეს საუკეთესოდ შევისწავლით

(გარე-კახეთი)

გარე-კახეთის რაიონში დროულად დაიწყო სამზადისი 1907 წელში დაბადებულთა გასაწვევად წითელი ჯარის რიგებში.

სამზადისის დროს ყურადღება ექცეოდა შეღავათის მქონე ახალგაზრდების სრული 100 პროც.-ით გამორკვევას და ანტი-საბჭოთა ელემენტების გამომჟღავნებას. ეს ორი ამოცანა ბრწყინვალედ იქნა შესრულებული.

სოფ. საგარეჯო. ახალწვეულთა ერთი ჯგუფი

აგვისტოს შუა რიცხვებში მოწვეულ იქნა გასაწვევთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 500-ზე მეტი ახალგაზრდა. კონფერენციაზე განხილულ იქნა გაწვევასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი. კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ახალწვეულნი ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს საბჭოთა კავშირის თავდაცვის და მის მეურნეობის განმტკიცების საქმეს.

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტს და თბილისის ოლქის სამხედრო კომისარიატს.

ახალწვეულები ფიცსა სდებენ, რომ ისინი წითელ ჯარში საუკეთესოდ შეისწავლიან სამხედრო საქმეს და საჭირო დროს თავისი სისხლით დაიცავენ ოქტომბრის რევოლიუციის წითელ დროშას.

ქ. ქ—ლი.

გაწვევის ირგვლივ

1907 წელში დაბადებული ახალგაზრდები, რომლებსაც ეხებათ გაწვევა წითელ ჯარში და რომლებმაც ვერ მოასწრეს შეღავათების მიღება ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის გამო, ვალდებულნი არიან წარადგინონ სათანადო საბუთები გამწვევ კომისიებში. ჯარში გაწვევის დამთავრების შემდეგ საბუთები შეღავათების მიცემის შესახებ არ მიიღება და შეღავათებიც არავის მიეცემა.

—:—

გასაწვევ პუნქტებზე გამოცხადების დროს პროფკავშირის წევრებს თან უნდა ჰქონდეთ საწევრო წიგნაკები.

კომპარტიის წევრებმა, კანდიდატებმა და კომკავშირელებმა თან უნდა იქონიონ საწევრო ბილეთები.

—:—

გასაწვევ ახალგაზრდობას ჯარში ჩარიცხვამდე არ მიეცემათ არავითარი კმაყოფა და ტანსაცმელი. ამიტომ გასაწვევ ახალგაზრდებს თან უნდა ჰქონდეთ სამი დღის საგზალი და გამოწყობილნი უნდა იყვენენ ვარგის ტანსაცმელში.

—:—

ის გასაწვევი ახალგაზრდები, რომლებსაც არ შეუძლიათ გამოცხადება გაწვევაზე რაიმე მძიმე ავადმყოფობის გამო, ვალდებულნი არიან წარუდგინონ გამწვევ კომისიას სათანადო მოწმობები, დადასტურებული სამკურნალო დაწესებულების და რაიონულ ექიმის მიერ.

—:—

თბილისში გაწვევა დაიწყება 2 სექტემბერს.

1-ლ სამილიციო უბანში მცხოვრები გასაწვევნი უნდა გამოცხადდენ 1-ლ სამილიციო უბნის სამმართველოში (საბჭოს ქუჩა № 141) 2, 3, 4, 5, 6 და 7 სექტემბერს დილის 7 საათზე.

მე-2 სამილიციო უბნის მცხოვრებნი ცხადდებიან მე-2-ე სამილიციო უბნის სამმართველოში (პლეხანოვის პროსპექტი, № 113) 9, 10 და 11 სექტემბერს, დილის 7 საათზე.

—:—

თბილისის შესაკრებ პუნქტთან ეწყობა საგიტაციო წერტი, სადაც იწარმოებს საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა გასაწვევ ახალგაზრდობის შორის.

წერტზე მოწყობილი იქნება ბიბლიოთეკა-სამკითხველო და ცნობათა მაგიდა, რომელიც მიაწოდებს გასაწვევ ახალგაზრდებს ყველა საჭირო ცნობებს გაწვევის და ჯარში სამსახურის ირგვლივ.

რომელი უფრო მისაღებია?

(განუწყვეტელი საწარმოო კვირის შემოღების გამო)

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული იყო ცნობა საქ. პროფსაბჭოს სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებაში შემდგარ თათბირის შესახებ, რომელზედაც განხილული იქნა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლის 4 ვარიანტი. ეს ვარიანტები მოკლედ ასეთია.

პირველი ვარიანტი: წარმოებას ემატება მუშათა რიცხვი კვირაში მეშვიდე დღეს მუშაობისათვის. ამრიგად მიღებული მუშათა საერთო რიცხვი, იყოფა 7 ჯგუფად. თვითეული ეს ჯგუფი იმუშავებს 6 დღეს და დაისვენებს მეშვიდე დღეს, თუმცა წარმოება ყოველდღიურად მუშაობს. მაგალითი: კვირაში 6 დღის მუშაობის დროს თუ წარმოებაში ირიცხებოდა, ვთქვათ, 60 მუშა, განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლის შემთხვევაში ემატება კიდევ 10 მუშა, მიღებული ჯამი იყოფა 7 ჯგუფად. ყოველდღიურად მუშაობს 6 ჯგუფი და ისვენებს 1 ჯგუფი (მორიგეობით: ორშაბათს ისვენებს პირველი ჯგუფი, სამშაბათს — მეორე, ოთხშაბათს — მესამე და ასე შემდეგ)

მეორე ვარიანტი: კვირაში შვიდი დღის მაგივრად იქნება 6 დღე (მოხდება კალენდარის რეფორმა). თვითეული მუშა იმუშავებს 5 დღეს და დაისვენებს მეექვსე დღეს (თუმცა წარმოება მუშაობს ყოველდღიურად), სამაგიეროდ აღარ იქნება რელიგიური უქმეები.

მესამე ვარიანტი: რჩება ძველი კალენდარული კვირა (როგორიც ეხლა არის — 7 დღიანი). წარმოება მუშაობს ყოველდღიურად. მუშა კი მუშაობს კვირაში 5 დღეს (დღეში 8 საათს) და ისვენებს 2 დღეს.

მეოთხე ვარიანტი: მუშა მუშაობს ორ დღეს და ყოველ მესამე დღეს ისვენებს. ამ შემთხვევაში უარყოფილია რელიგიურ უქმეებში დასვენება და უქმეების წინა დღეებში სამუშაო დროის შემცირება. პროფსაბჭოს გადაწყვეტილი აქვს ამ საკითხის ირგვლივ ფართო თათბირის მოწვევა და დისკუსიის გამართვა

ხალხთმცოდნეობის მუზეუმის ექსპედიცია საქართველოში

22 აგვისტოს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა ხალხთმცოდნეობის ცენტრალური მუზეუმის ექსპედიცია.

ექსპედიციის ამოცანაა შეკრიბოს კოლექციები ქართველთა ყოფაცხოვრებიდან, რათა ა. წ. შემოდგომაზე მოსკოვში, ცენტრალურ მუზეუმში მოეწყოს მთელი რიგი ახალი დარბაზები. ამ დარბაზების სპეციალური დანიშნულება იქნება ქართველთა ყოფა-ცხოვრების, მეურნეობის და ქართული ნაციონალური კულტურის სხვადასხვა მხარეებისა და ხალხური ხელოვნების დახასიათება.

ამ ამოცანებთან შეფარდებით ექსპედიცია იმუშავებს ორ რაზმად აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში.

ექსპედიციის მიზანს შეადგენს აჭარისტანის, გურიის, მესხეთის და კახეთის შესწავლა.

ეს მუშაობა მხოლოდ დასაწყისია მომავალი გამოკვლევებისა, რომლებიც სისტემატიურად გაგრძელდება შემდგომ წლებში, რათა ხალხთმცოდნეობის ცენტრალურმა მუზეუმმა საკმაო სისრულით გაამშვენოს თავის დარბაზებში საქართველო.

ექსპედიციის შემადგენლობაში შედიან: ამხ. ე. შილინგი, მ. პლისეცკი, პროფესორი ბ. კუფტინი, ე. ბინკევიჩი, და მხატვარი ვ. ვატაგინი.

გარდა ამისა ექსპედიციას დასახული აქვს ამოცანად შეისწავლოს ქართველი ქალის შრომა და ყოფაცხოვრება, აგრეთვე ბავშვის აღზრდა. ამ მიზნით ექსპედიციის პროგრამა შეთანხმებულია საბჭოთა კავშირის ცაკთან არსებულ ქალთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელ კომისიასთან, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილებასთან და კომუნისტურ აკადემიასთან

ქართული მოსახლეობის შესწავლის გარდა ექსპედიცია ამოცანად ისახავს დაიწყოს საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა ყოფაცხოვრების შესწავლა, რადგან ისინი დღემდე მცირედ არიან შესწავლილნი.

იმასთან დაკავშირებით, რომ მომავალ ზამთარში მოსკოვში განზრახულია გაიმართოს „ქართული კვირეული", ექსპედიციას თავის მხრივ გადაწყვეტილი აქვს შეკრიბოს მასალა სამხატვრო მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიის ქართულ განყოფილებისათვის. ამ მიზნით ექსპედიციის მონაწილენი შეთანხმებულნი არიან აკადემიის ქართულ განყოფილებასთან.

თავის მომავალ მუშაობაში ექსპედიცია ფართოდ დაეყრდნობა საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სამეცნიერო, საზოგადოებრივ და მხარეთმცოდნეობის ორგანიზაციებს.

გამოცდები სახელმწიფო უნივერსიტეტში

წელს უნივერსიტეტში შესვლის მსურველთა რაოდენობა აღემატება 2.000 კაცს. გამოცდებზე არ იქნება დაშვებული 70 კაცი. ობიექტიურ პირობების გამო გამოცდები ნაცვლად 15 აგვისტოსი, დაიწყო 16 აგვისტოს.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის და განათლების კომისარიატის წარმომადგენლების მონაწილეობით უნივერსიტეტთან დაარსებულია საჩივართა ბიურო, რომელიც იხილავს გამოცდებთან დაკავშირებულ საჩივრებს. ბიურომ უნივერსიტეტში შესვლის უფლებებში აღადგინა 6 კაცი.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოცდებზე დაშვებულთა კონტიგენტი სოციალური თვალსაზრისით საერთოდ არაა დამაკმაყოფილებელი. შედარებით მცირეა მუშების შვილების რიცხვი, უმრავლესობა გლეხებია, შემდეგ—მოსამსახურეების შვილები.

მიუხედავად იმისა, რომ მიმღებმა კომისიამ თავიდანვე დიდი სიფრთხილე გამოიჩინა გამოცდებზე დასაშვებთა შერჩევის საქმეში, მაინც მრავალი სოციალურად მიუღებელი ელემენტი მოხვდა სიაში.

სამაზრო და სათემო ორგანოების დაუდევრობის გამო სოციალურად მავნე ელემენტებმა მოახერხეს ყალბი საბუთების წარმოდგენა თავის სოციალური მდგომარეობის შესახებ. არის ისეთი შემთხვევები, როცა საარჩევნო უფლებას მოკლებულთა შვილები ოჯახს ჩამოცილებული არიან ფორმალურად, რათა საშუალება მიეცეთ შევიდნენ უნივერსიტეტში. ამავე მიზნით სახლის მეპატრონეთა და ვაჭრის შვილებს განგებ გაწყვეტილი აქვთ კავშირი მშობლებთან და დროებით მუშაობენ ქარხანაში, მსახურობენ დარაჯებათ და შიკრიკებად და სხვ. მათი პიროვნების გამოსარკვევად სწარმოებს შესაფერი მუშაობა, რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას იღებენ პარტიული და კომკავშირის უჯრედები და პატიოსან უპარტიოთა აქტივი.

უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივ ორგანოები სრულ უმოქმედობას იჩენენ და არ ცდილობენ საჭირო ცნობების მოწოდებით საშუალება მისცენ კომისიას სათანადოთ შეარჩიოს უნივერსიტეტში მისაღები კანდიდატები.

მაგალითად, ქუთაისის მაზრას ჯერაც ერთი ცნობა არ გადმოუგზავნია ამა თუ იმ პიროვნების შესახებ. ნამდვილად კი ქუთაისის მაზრიდან მრავალია ისეთები, რომელთაც აქვთ ყალბი საბუთები.

მიღებულია ზომები ამ ნაკლის გამოსასწორებლად. როგორც კი გამოირკვევა ამა თუ იმ პიროვნების უარყოფითი სოციალური მდგომარეობა, ის მაშინვე გამოირიცხება უნივერსიტეტიდან, რამდენი ხნის ჩარიცხულიც არ უნდა იყოს.

რაც შეეხება გამოცდებზე დაშვებულთა ცოდნას, ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, უნუგეშო მდგომარეობაა. საილიუსტრაციოთ შეიძლება აღინიშნოს შემდეგი გარემოება: ერთ-ერთ ჯგუფიდან, რომელშიაც ირიცხებოდა 141 კაცი, სუსტად (2-ზე) და ძლიერ სუსტად (1-ზე) ფიზიკაში გამოცდა ჩააბარა 113 კაცმა, დანარჩენებმა საშუალო ცოდნა გამოიჩინეს.

განსაკუთრებით ჩამორჩენილი არიან ცოდნის მხრივ მაზრებიდან ჩამოსულები. ხშირად ისინი პირდაპირ უვიცობას იჩენენ.

საერთოდ ეს აიხსნება ჩვენს საშუალო სკოლებში სწავლის სათანადო დონეზე დაუყენებლობით. ნაწილობრივ კი იმ გარემოებით, რომ წელს სახელმწიფო უნივერსიტეტში შესვლა სურთ არა 10 წლედების, არამედ შარშან და შარშან წინ 9 წლედების კურს დამთავრებულებს, ან კერძოდ მომზადებულებს.

შედარებით მეტ ცოდნას იჩენენ თბილისის და ქუთაისის საშუალო სასწავლებლების კურს დამთავრებულები.

გამოცდებზე დაშვებულთა უმრავლესობა განსაკუთრებით სუსტია რუსულ ენაში.

ამის ნათელსაყოფად საკმაოა შემდეგი მაგალითები: გამოცდებზე ერთ-ერთმა დაშვებულმა, წინადადება:

„თბილისში წვიმა არ მოდის. შემოდგომა ცხელია,—რუსულად თარგმნა ასე:

— Тифлись дожд идыот ниет. осен жаркой.

ან „მე დავიჭირე გამოცდა რუსულ ენაში",—გადათარგმნა: на паимела ексамен ф руском язике.

მეორემ რუსულიდან ქართულად თარგმნა:

— Вокруг лошадей ходил Гришка—შემდეგნაირად:—ცხენი გადავიდა კრიშაზე.

მესამემ:

— Темная ночь—პირველი სიტყვა თარგმნა თემათ, მეორე სიტყვა ვერ გაიგო.

ზოგიერთებმა შემდეგი სიტყვები თარგმნეს ასე: Двор—კარები; Деревня—გზაში; Пастух—მამალი; Помещик—მოიჯარადრე.

გამოცდების ჩაბარების დროს ადგილი აქვს ფალსიფიკაციასაც და სისხლის სამართლის დანაშაულს. ამა თუ იმ საგნის შედარებით უფრო მცოდნე გამოცდას აბარებს უცოდინარის მაგიერ. გუშინ ასეთ 3 შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

ფალსიფიკატორებს წაერთვათ გამოცდების ჩაბარების უფლება.

გამოცდები ვრძელდება. მიმღები კომისია ყოველმხრივ ცდილობს უნივერსიტეტში პირველ რიგში მოხვდნენ საკმაოდ მომზადებულნი და მშრომელთა შვილები.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში შესვლის მსურველთა ნახევარს სურს შევიდეს აგრონომიულ ფაკულტეტზე. შემდეგ მსურველთა დიდი ნაწილი მოდის პედაგოგიურზე, საექიმოზე და სოციალურ ეკონომიურ ფაკულტეტზე.

პროფკავშირები და საშეფო საზოგადოებების მუშაობა სოფლად

ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩატარდა შეფთა საზოგადოების თბილისის კონფერენცია. კონფერენციას ძალიან დიდი აქტიური მუშაობა ეწეოდა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ჩვენს პროფკავშირებს სრულებით არაფერი გაუკეთებიათ ჩვენი სოფლის დასახმარებლად. ეს იმ დროს, როდესაც ჩვენი პარტიის და ხელისუფლების წინაშე სდგას ხუთწლიანი გეგმის გატარების ამოცანა. მისი წარმატებით გატარებისათვის უნდა გავაღრმავოთ და განვამტკიცოთ ჩვენი პროფკავშირების და საშეფო საზოგადოების მასიური მუშაობა, რომელიც ჯერ-ჯერობით ძალიან სუსტად მიმდინარეობს; ვერ მოხდა საერთო გარდატეხა ჩვენი პროფორგანიზაციების საქმიანობაში სოფლად. პროფკავშირების მუშაობას სოფლად დიდი მნიშვნელობა ეძლევა, მეტადრე დღეს, როდესაც აქ ადგილი აქვს კაპიტალისტურ ელემენტების აშლას და გაძლიერებულ კლასთა ბრძოლას. ჩვენი დაუძინებელი კლასიური მტრები სოფლად—კულაკები და ავაზაკები ილაშქრებენ საბჭოთა ხელისუფლების იმ ღონისძიებათა წინააღმდეგ, რომლებიც მიმართულია [illegible] ტური გარდაქმნისა და ღარიბ და საშუალო გლეხობის ღონისძიებათა ირგვლივ შეკავშირებისაკენ. კულაკები იბრძვიან ჩვენს წინააღმდეგ, რომ რამენაირად ხელთ დაიმორჩილონ სოფლის საბჭოები, კოოპერაცია და სხვ. ერთ შემთხვევაში ისინი იმხრობენ მეიჯარე [illegible] მუშაკებს, ხრწნიან და ქრთამავენ მათ. მეორე შემთხვევაში ცდილობენ საბჭოებში შეიყვანონ მათთვის მისაღები და მათი თანამგრძნობი ელემენტები და მით საბჭოები თავის კულაკურ ინტერესებს დაუქვემდებარონ.

აქედან გამომდინარეობს ჩვენი ამოცანა, რომ სოფლის უღარიბესი გლეხობა და საშუალო გლეხობა რაც შეიძლება სწრაფად და მაგრად დავრაზმოთ კულაკურ ელემენტების განდევნისათვის. საბჭოთა აპარატის გაწმენდის და საბჭოთა სინამდვილისათვის მიუღებელ პირების წმენდასთან ერთად, საჭიროა ღარიბ ელემენტების შეკავშირება, რომ გაადვილდეს სოფლად პროლეტარულ ხაზის გატარება. ამ ამოცანების შესრულება მუშათა კლასის ღარიბ და საშუალო გლეხობასთან მჭიდროთ შეკავშირებლად შეუძლებელია. ქალაქისა და სოფლის საწარმოო შეკავშირების ფორმები მოითხოვენ მუშათა კლასისაგან დიდ ყურადღებას ხელფლად ღარიბ ელემენტების მუშაობისადმი. ამისათვის პროლეტარულ ქალაქის და სოფლის ურთიერთობა უნდა გაძლიერდეს, როგორც მეთოდი მუშათა კლასის ხელმძღვანელობისა საბჭოთა ქვეყანაში. ამრიგად უნდა გაცხოველდეს საშეფო საზოგადოებათა მუშაობა, უნდა მოეწყოს მთელი რიგი თავისუფალი ორგანიზაციები, რომლებიც მიზნად ისახავენ სოფლისათვის ფართო დახმარების აღმოჩენას სოციალისტურ გარდაქმნის საქმეში. საჭიროა ფართედ გაიშალოს პროფკავშირების საშეფო საზოგადოებრიობა, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ხელის შეწყობა, ღარიბ და საშუალო გლეხობის შეკავშირება კულაკების წინააღმდეგ ულმობელ ბრძოლის წარმოებისათვის. პროფკავშირების სოფლად მუშაობა უნდა გამომდინარეობდეს პარტიის დირექტივიდან იმის შესახებ, რომ პროფკავშირებმა ყოველმხრივ უნდა გამოიყენონ სოფლად პროლეტარულ გავლენის გამტარებელი საშეფო ორგანიზაციები. ამასთან პროფკავშირებმა სამსახური უნდა გაუწიონ სეზონურ მუშაობას, მათ სამუშაო ადგილებზე. თუ ამას დაემატა კიდევ სოფელზე პროფკავშირების გავლენა სოფლად მომუშავე ინტელიგენტების საშუალებით, მაშინ თქვენ უზრუნველჰყოფთ სწორი პოლიტიკის გატარებას სოფლად.

ეხლა, რომ გადავავლოთ თვალი ჩვენი პროფკავშირების მუშაობას სოფლათ, უნდა ვაღიაროთ, რომ აქ ყოველ შემთხვევაში სახარბიელო არაფერია. ჩვენი სოფლის სინამდვილეში, გარდა მიწა-ტყის პროფკავშირისა, მუშაობენ სხვა კავშირებიც, როგორიც არის: მედსანშრომის, საბჭ. მუშაკების, განათლების, აღმშენებლობის, ხეზე მომუშავეთა და სხვა. რომ კითხოთ, თუ რა გააკეთეს ამ კავშირებმა ან და რა დახმარება გაუწიეს მიწა-ტყის კავშირს, ვერც ერთი ვერ იტყვის, რომ მას გაეკეთებინოს რამე სოფლად, გარდა მიწა-ტყის კავშირისა. თუ ამას დაუმატებთ, რომ ჩვენი საშეფო საზოგადოებები ძალიან სუსტად მუშაობენ, მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება ის, რომ საქმე რა ძლიერ უნდა მივეშველოთ სოფელს. მთავარი ნაკლი ჩვენი საშეფო ორგანიზაციების მუშაობისა ისაა, რომ ეს მუშაობა კავშირებიდან გამოცალკევებით სწარმოებს ამავე დროს იქ საშეფო საზოგადოებათა მუშაობა, თუ ის პროფკავშირს არ ეყრდნობა, სწორათ ვერ იქნება დაყენებული. ამაში ერთი მხრივ, რასაკვირველია, პროფკავშირები არიან დამნაშავენი, ვინაიდან ისინი ვერ უწევენ საშეფო საზოგადოებებს საკმარის დახმარებას და ზოგიერთ შემთხვევაში კი ღიმილით უყურებენ საშეფო საზოგადოებების მუშაობას. მეორე მხრივ კი თვით საშეფო ორგანიზაციებია დამნაშავე, რადგანაც ისინი, როგორც ვსთქვით, პროფკავშირებიდან განცალკევებულ მუშაობას აწარმოებენ. ამიტომ ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებას უნდა წარმოადგენდეს საშეფო ორგანიზაციების და პროფკავშირების შორის ნორმალურ დამოკიდებულების შექმნა.

საშეფო საზოგადოებები სოფლად მუშაობაში ერთგვარ ცენტრებს ანუ შტაბებს უნდა წარმოადგენდნენ და ამავე დროს მათ პროფკავშირებთან უნდა მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ, თუმცა პროფკავშირებს ამ მუშაობაში დიდი ნაკლი აქვთ, მაგრამ თუ გადავხედავთ ჩვენ მუშათა მასების დამოკიდებულებას საშეფო საქმისადმი, უნდა ითქვას, რომ მუშები დიდი ხალისით შეხვდნენ ამ საქმეს. ჩვენს პროფკავშირებს რომ ფართე მუშაობა ჰქონდეთ გაშლილი სოფლად და მას ვიწრო ხასიათი არ ჰქონდეს, თავის თავად ცხადია, ასეთი ძალზე სუსტი მუშაობა არ იქნებოდა. მაგალითად, ჩვენ რომ დროზე მიგველო ზომები და შეგვესრულებინა ამ საკითხზე არსებული დირექტივები, ჩვენ გაცილებით უკეთესი მდგომარეობა გვექნებოდა. ავიღოთ ერთი მაგალითი: პროფკავშირების მიერ მუშათა ბრიგადების გაგზავნამ სოფლად, როდესაც საბჭოების გადარჩევა მიმდინარეობდა, ეჭვს გარეშეა, დიდი შედეგები მოგვცა: ქათ ხელი შეუწყვეს ამ კამპანიის წარმატებით დამთავრებას. განა ასეთი პოლიტიკური და პრაქტიკული კამპანიების ჩატარების საკითხი არ არის დასმული ჩვენი პარტიის მიერ პროფკავშირების წინაშე სოფლად მუშაობის საქმეში? რა თქმა უნდა, არის. ავიღოთ, მაგალითად, ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გავრცელება სოფლად. თესვის კამპანიის ჩატარება, პურის დამზადება და სხვა, ყოველივე ეს საქმე პროფკავშირებმა უნდა გააკეთონ ჩვენი საშეფო საზოგადოებასთან ერთად. ამისათვის კი საჭიროა ვიქონიოთ მჭიდრო კავშირი მათთან.

ზემოთ ვსთქვი, რომ მუშები დიდ ხალისს იჩენენ საშეფო საქმისადმი. ეს მიტომ, რომ მათ შეიგნეს, თუ რა დიდი როლი უნდა ეკუთვნოდეს სოციალისტურ აღმშენებლობის პერიოდში ქალაქის და სოფლის საწარმოო კავშირის გაძლიერებას. უნდა ითქვას, რომ თავიდანვე შეფობის ორგანიზაციამ მუშების მხრივ დიდი ინტერესი და ყურადღება მიიპყრო და ამ შეფებისაგან დიდი პერსპექტივები იყო მოსალოდნელი. ის დიდი ინტერესი, რომელიც მუშებმა სოფლად სოციალისტური აღმშენებლობის საკითხებისადმი გამოიჩინეს, გამომდინარეობს თვით ჩვენი პროლეტარული სახელმწიფოს ბუნებიდან, სადაც მუშათა კლასი გლეხთა მასების წინამძღოლი და ორგანიზატორია. ეს კი, პირველ ყოვლისა, ნიშნავს მუშათა კლასის მჭიდროთ დაკავშირებას გლეხებთან. ამ კავშირის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს საშეფო ორგანიზაცია. ეს ფორმა სოფლის მეურნეობის და კულტურულ განვითარების მარტივი და გასაგები ფორმაა. მაგრამ ჩვენმა პროფკავშირებმა ეს დიდი ინტერესი მუშებისა ვერ გამოიყენეს დროზე და როგორც საჭირო იყო ვერ უხელმძღვანელეს, ვერ შექმნეს მჭიდრო კავშირი შეფ-საზოგადოებებთან. ამიტომ უკანასკნელნი თავის მუშაობის პროცესში თანდათან სუსტდებოდნენ და მათ მიმართ სუსტდებოდა აგრეთვე მუშების ინტერესებიც. ამას თან უნდა დაურთოთ შემდეგი არანორმალური მდგომარეობა: ჩვენ შეფ-ორგანიზაციებს არ ემჩნევათ აქ გარკვეული მიზანი მუშაობაში. ყოველ ცალკე ორგანიზაციებს კონკრეტული ამოცანა უნდა ჰქონდეს დასახული, რომელიც შეფობაზე აყვანილ რაიონისათვის ძირითადი უნდა იყოს, მაგალითად, იმ რაიონისათვის, სადაც ხორბლეულობის მეურნეობა სჭარბობს, შეფის ამოცანას უნდა შეადგენდეს იქ მოსავლიანობის აწევა და სხვა.; იმ რაიონებში, სადაც მესაქონლეობა სჭარბობს, ყურადღება უნდა ექცეოდეს მესაქონლეობის კულტურულ განვითარების საკითხს და სხ. ამასთან ჩვენ შეფორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ დასახული პრაქტიკული ამოცანები, როგორიც არის, მაგალითად: საწარმოო კოოპერაციის, კოლექტივიზაციის, მრეწველობის განვითარება და აქედან კი სოფლის მეურნეობის განვითარება მსხვილ ხასოფლო-სამეურნეო წარმოების მიმართულებით და სოციალისტურ საფუძველზე. ეხლანდელ პირობებში, შეფებმა და პროფკავშირებმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ საწარმოო კოოპერაციაში მოსახლეობის ჩაბმის გაძლიერებას, რაც წვრილი და უწვრილეს მეურნეობას აძლევს საშუალებას საწარმოო პროცესების გაერთიანების საშუალებით ისარგებლოს მსხვილი მეურნეობის უპირატესობით.

ამ ამოცანებს უნდა დაუკავშიროთ ის გარემოებაც, რომ ჩვენთვის აუცილებლივ საზრუნავს უნდა წარმოადგენდეს ჩვენი გლეხურ მასების კულტურული დონის აწევა, სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ შეტევის გაძლიერება და ამ მიზნით გლეხობასთან საწარმოო კავშირის განმტკიცება. ამასთან შეფარდებით საფუძვლიანად უნდა გადაისინჯოს საშეფო მუშაობის შინაარსი. საქ. კომპარტიის ც. კ. ცენტრალურმა საშეფო კომისიამ გადასწყვიტა, რომ ამჟამათ საშეფო მუშაობის წესები უნდა შეიცვალოს.

შემდეგ არ შეიძლება არ შევეხოთ ჩვენ წინ წამოჭრილ უდიდეს მნიშვნელობის საკითხებს. ეს არის, პირველი, მოსავლიანობის გადიდება, თესვის და პურის დამზადების კამპანიის ჩატარება. ვინ უნდა იქნან ჩაბმულნი ამ მეტად საპასუხისმგებლო მუშაობაში, თუ არა ჩვენი პროფკავშირები, მეტადრე ისეთები, რომელნიც სოფლად მუშაობენ, და შეფ-ორგანოები? სამწუხაროდ, უნდა დავსძინოთ, რომ ჩვენი პროფკავშირები არავითარ ზომებს არ ღებულობდნენ, რომ სათანადო დახმარება გაეწიათ ჩვენი ხელისუფლებისათვის და ჩვენი პარტიისათვის. ვიმეორებთ, რომ ჩვენი კავშირები განზე არ იყვნენ გამდგარნი, როგორც თავისუფალი მაყურებელნი. ასევე შეიძლება ითქვას ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენს შეფ-ორგანიზაციებზედაც. პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადადგან პროფკავშირებმა და შეფორგანიზაციებმა, რათა ცაკის დეკრეტი მოსავლიანობის შესახებ აუცილებლივ უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში. რაც შეეხება თესვის კამპანიას და პურის დამზადებას, პროფკავშირებმა და შეფორგანიზაციებმა აქ უეჭველად უნდა გასწიონ ენერგიული მუშაობა, რაც უნდა გამოიხატებოდეს მუშათა ბრიგადების გაგზავნაში სოფლად, უღარიბეს გლეხობის საერთო კრებების მოწვევაში, რათა იქნეს საერთო ახსნა-განმარტება ჩატარებული, თუ რათ ვაძლევთ ამ კამპანიებს უდიდეს მნიშვნელობას. ამ საქმეში ღარიბ გლეხებთან ერთად უნდა იყოს ჩაბმული საშუალო გლეხობაც.

შემდეგ: სოციალისტური შეჯიბრება უნდა იქნას გამოყენებული სოფლად მუშაობასაც. საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით სდგას ამოცანა შემოქმედების ისეთი მეთოდების გამომუშავებისა, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოებრივ მეურნეობაში მთელი ხალხის სასარგებლოთ შრომის მიზანშეწონილად და ინტენსიურად გამოყენებას. გარდა აგიტაციის და იდეურ შემოქმედებისა: ზარმაცების, პარაზიტების, დეზორგანიზატორების მიმართ ოპერაციებისა, შრომის ნაყოფიერების აწევის მძლავრ იარაღს წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრება ქარხნებსა, რაიონებსა, საამქროებსა, სახელოსნოებსა და ცალკე მუშებს შორის პროფორგანიზაციების, სამეურნეო ორგანოების და საშეფო საზოგადოებათა განსაკუთრებულ ყურადღების საგნად უნდა გახდეს. საშეფო საზოგადოებებმა პროფკავშირებთან ერთად ფართოთ უნდა გაავრცელონ სოციალისტური შეჯიბრება შეფობის ქვეშ მყოფ რაიონებში და ჩააბან მასში მთელი ღარიბი და საშუალო მეძლების გლეხობა. აუცილებლად უნდა ჩატარდეს შეჯიბრება კოლექტივებსა, სასოფლო საწარმოებსა, საბჭოთა მამულებსა და გლეხკომებს შორის. შეჯიბრება სოფლად უმთავრესად ისეთ მიმართულებით უნდა წავმართოთ, რომ შევქმნათ შრომითი აღფრთოვანების გამოწვევა და შრომის ინტენსივობის და ნაყოფიერების გადიდება კოლექტივებსა და კომუნებში ჩაბმულ გლეხურ მოსახლეობაში. სოფლად სოციალისტურ შეჯიბრების გატარებაში საშეფო და პროფორგანიზაციებმა უნდა დაამყარონ მჭიდრო კავშირი ერთმანეთთან.

გ. მაჩაიძე

რა ხდება ადგილებზე

სოფლის აქტივის მოსამზადებელი კურსები

ზუგდიდი, 23 აგვისტო (საქ. კორ.) ზუგდიდის აგროგანყოფილებამ გახსნა სოფლის აგრო-რწმუნებულთა მოსამზადებელი კურსები. კურსებზე იმეცადინებს 150 კაცი, რომელნიც შეისწავლიან საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის, სოფლის სოციალისტურ რეკონსტრუქციის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, კოლექტივების მშენებლობის, მოსავლიანობის გადიდების, აგროდახმარების, მიწათმოწყობის, აგროცოდნის, მემინდვრეობის, მესაქონლეობის, მებაღეობა-მევენახეობის და სხვა საფუძვლებს. გადამზადებულები გაიგზავნებიან სოფლებში მოსახლეობისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

ა. კოდუა.

ნათესები ილუპება

ნოქალაქევი, 23 აგვისტო. (საქ. კორ.) ხანგრძლივი გვალვის გამო სიმინდის ნათესები ილუპება, განსაკუთრებით მაზრის მაღლობ ადგილებში.

ანდრო კირცხალია.

მადნების აღმოჩენა

ხაიში, 23 აგვისტო. (საქ. კორ.) ენგურის ხეობაში, სოფელ იფარში ჯვარიდან სამოცი ვერსის მანძილზე, აღმოჩენილია ისეთი ადგილი და ქარხნის ნანგრევები, სადაც ძველად ფართედაა ნაწარმოები სხვადასხვა მადნეულობის დამუშავება. აღმოჩენილია თვით მადანიც, რომელსაც წინედ ამუშავებდნენ. გათხრის დროს იპოვეს ადამიანების გვამები, ცხენების ძვლები და თავის ქალები პირში ლაგამით, უნაგირის რკინის ნაწილები და სხვა საგნები.

საჭიროა გათხრების გაგრძელება. ამ მიზნით მთავრობას ეთხოვა დახმარება ფულად და სპეციალისტების გამოგზავნით.

ე. გაგლოანი.

შემოდგომის თესვა

ზუგდიდი, 22 აგვისტო. (საქ. კორ.) მაზრის ყველა თემებში საშემოდგომო თესვისათვის მოსამზადებელი მუშაობა უკვე დამთავრდა. სათესი ფართობი გასულ წელთან შედარებით გადიდებულია. გლეხობა და კოლექტივები მზად არიან შეუდგნენ თესვას, მაგრამ ხელს გვიშლის ჭვავის თესლის უქონლობა, რასაც დაჩქარებით უნდა მიექცეს ყურადღება.

ა. კოდუა.

მოწამეთის კირის ქარხნის შეკეთება

ქუთაისი, 22 აგვისტო. ხარკოვის ფირმა „ტრუბოსტროი" აწარმოებს მოწამეთის კირის ქარხნის ნაწილობრივ შეკეთებას. ქარხანაში აღებულ იქნა დამწვარი ნაწილი და შეიცვალა იგი ახალი ცეცხლგამძლე აგურით. გაზების სადენ მილთან ეწყობა ტომრები მტვერლის დასაჭერად, რაც აადვილებს ღუმელების გაწმენდას. გაიმართა სპეციალური მოწყობილება ღუმელში გაზის დენის გასაძლიერებლად, აგრეთვე მოხდა სხვადასხვა ტეხნიკური გაუმჯობესება.

მთელი მუშაობის დამთავრება ნავარაუდევია 10 სექტემბრისათვის, რის შემდეგაც მოხდება ქარხნის საცდელი ამუშავება. საცდელი მუშაობა ორ თვეს გაგრძელდება. მოწამეთის კირის ქარხანა პირველია საბჭოთა კავშირში, რომელიც გაზით მუშაობს.

ბამბის მოსავალი

ქუთაისი, 22 აგვისტო. ბამბის მოსავალი წელს, შარშანდელთან შედარებით, მოსალოდნელია უფრო ცუდი, რაც ხანგრძლივი გვალვით და ქარით აიხსნება. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა იქ, სადაც სარწყავი არხები არ არის. ბამბის ნათესის სივრცეც წელს, შარშანდელთან შედარებით, შემცირებულია. წელს დაითესა დაახლოებით 700 ჰექტარი, შარშანდელი 1.200 ჰექტარის ნაცვლად. (ადს)

სას.-სამ. საკრედიტო კოოპერაციის მუშაკთა თათბირი

სოხუმი, 23 აგვისტო. ამ დღეებში სოხუმში გაიმართა სას.-სამ. საკრედიტო კოოპერაციის მუშაკთა თათბირი, რომელზედაც ხელი მოაწერეს საკრედიტო ამხანაგობათა სოციალისტური შეჯიბრების პირობებს. (ადს)

ბანდიტთა ბრბოს ლიკვიდაცია

სოხუმი, 22 აგვისტო. სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ორგანოებმა დააპატიმრეს ბანდიტების ბრბო 5 კაცის შემადგენლობით. ბრბოს რამოდენიმეჯერ გაუძარცვავს გლეხები. დაპატიმრებულებს აღმოაჩნდათ ნაძარცვი ნივთები და ფული. (ადს).

ბენარ-გოდერძის საუღელტეხილო გზატკეცილის დაზიანება

ბორჯომი, 22 აგვისტო, ბორჯომის გზატკეცილთა კვანძში ირიცხება დიდი გზატკეცილი: ახალციხე-ბენარ-გოდერძის უღელტეხილი. ეს გზა აჭარისტანში გადადის და ბათომში თავდება.

ამ გზის ნაწილი (131-დან 137 კილომეტრამდე) მეტად არის დაზიანებული საქართველოს სატყეო ტრესტის მეოხებით.

საქმე იმაშია, რომ იქ საქართველოს სატყეო ტრესტი ამზადებს ხე-ტყის მასალას და გზატკეცილზე განუწყვეტლივ მიათრევენ ხარ-კამეჩით უზარმაზარ ხეებს. ბუნებრივია, რომ ხეების გადაზიდვის ასეთი წესი აზიანებს გზატკეცილს.

ბორჯომის უბნის გზატკეცილთა სამმართველომ საქართველოს სატყეო სამმართველოს წინააღმდეგ საჩივარი აღძრა. (ადს)

თათბირი თამბაქოს მოედნის გაფართოების შესახებ

სოხუმი, 23 აგვისტო. სახელმწიფო საგეგმო კომისიაში მოხდა პირველი თათბირი 1930 წელს თამბაქოს სათესი მოედნის გაფართოების შესახებ.

თათბირში მონაწილეობა მიიღო საკავშირო კომისართა საბჭოს წარმომადგენელმა ამხ. კონჩუკმა, რომელიც საგანგებოდ არის გამოგზავნილი აფხაზეთში ამ საკითხის მოსაწესრიგებლად. საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნება ამ დღეებში.(ადს).

ხელის მოწერა მესამე სესხზე

ბათომი, 23 აგვისტო. ბათომში დიდის წარმატებით მიმდინარეობს ხელის მოწერა ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხზე. 22 აგვისტოსთვის კოლექტიური ხელის მოწერა—460.000 მანეთს უდრიდა. გარდა ამისა, სანაპირო რაზმის ხელის მოწერა უდრის 24.000 მანეთს, ნავთსადგურისა — 23.000 მანეთს, რკინის გზისა — 100.000 მანეთს. ამნაირად, საერთო ჯამი ამჟამად 600.000 მანეთს აღემატება, რაც საკონტროლო ციფრის 70 პროცენტზე მეტს შეადგენს (ადს).

საგზაო მშენებლობის ხუთდღიური ოზურგეთის მაზრაში

ოზურგეთი, 22 აგვისტო. კვირას, 25 აგვისტოს, მთელს ოზურგეთის მაზრაში დაიწყება საგზაო მშენებლობის ხუთდღეური. ადგილობრივი გზების გაყვანა-შეკეთებაზე ყოველდღიურად იმუშავებს არა ნაკლებ ოცი ათასი კაცისა და 5000 ურემი. მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა ფეხზეა დაყენებული ხუთდღეულის წარმატებით ჩასატარებლად. **ნიკოლაიშვილი.**

მეეზოვეთა გადაყვანა თბ. აღმასკომის სამსახურში

ვინაიდან მეეზოვეთა უმრავლესობა ჩამორჩენილია კულტურულად, არა აქვთ გათვალისწინებული თავიანთი მოვალეობა, და ვერ უწყობენ ხელს საზოგადოებრივ წესრიგის და სანიტარულ პირობების დაცვას, ამიტომ განზრახულია ადმინისტრატიულ განყოფილებასთან დაარსდეს მეეზოვეთა ქვე-განყოფილება.

ამ საკითხის მოსაწესრიგებლად გუშინ, ამხ. ვ. გავაშელის თავმჯდომარეობით თბ. აღმასკომის საგეგმო კომისიაში შესდგა სპეციალური თათბირი, რომელსაც დაესწრნენ საბჭოთა სახლების სამმართველოს, ადმინისტრატიულ განყოფილების, კომუნალურ მუშაკთა კავშირის, საბინაო კავშირის და მეეზოვეთა ადგილკომის წარმომადგენლები.

თათბირმა დაადგინა მომავალ საბიუჯეტო წლიდან მოხდეს მეეზოვეთა გაერთიანება და მათი ყოველმხრივ ხელმძღვანელობის გასაწევად ადმინისტრატიულ განყოფილებასთან დაარსდეს ცალკე ქვეგანყოფილება.

ქვეგანყოფილება აწარმოებს მეეზოვეთა აღრიცხვას, ყველა მეეზოვე აყვანილი იქნება თბ. აღმასკომის სამსახურში მილიციელების მსგავსად, ქვეგანყოფილება სახლის მფლობელთაგან შეკრებს მეეზოვეთა ხელფასისათვის დაწესებულ გადასახადს და შემდეგ უშუალოდ დაურიგებს კუთვნილისამებრ მეეზოვეებს, რაც მოსპობს მეეზოვეთა შორის ხელფასის მეტნაკლებობას, მის დაგვიანებით და ნაწილ-ნაწილად მიღებას და სხვ.

ამჟამად მუშაობის მხრივაც მეეზოვენი უსწორმასწოროდ არიან დატვირთულნი, ზოგ მათგანს მოსავლელად აბარია 20-25 სახლი, ზოგს კი 5-10 სახლი, ისიც მცირერიცხოვან მდგმურებით და პატარ-პატარა ეზოებით. ქვეგანყოფილება თავის დაარსების დღიდანვე შეუდგება ამ არანორმალურ მდგომარეობის გამოსწორების საქმეს. ქვეგანყოფილება იმავე დროს მიიღებს ზომებს მეეზოვეთა შორის შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად და მათ მუშაობაში შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად.

უმთავრესი ყურადღება მიექცევა, აგრეთვე, მეეზოვეთა შემადგენლობის გაჯანსაღებას. ეხლა მრავალია ისეთი მეეზოვე, რომლებიც ინვალიდია და მოხუცი, რის გამო ისინი ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ზოგიერთები სოციალურ-პოლიტიკურადაც შეუფერებელნი არიან მეეზოვეებათ. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ ადმინისტრატიულ განყოფილების თაოსნობით, უკვე მიღებულია სათანადო ზომები და ამჟამად სწარმოებს მეეზოვეთა შემადგენლობის წმენდა.

თათბირის დადგენილებით მეეზოვეთათვის დაწესებული იქნება თანაბარი ხელფასი. მათ თვიურად მიეცემათ 40 მ. და 50 პროცენტი დატვირთვა.

მეეზოვეთა ქვეგანყოფილებას ენიჭება მეეზოვეთა დათხოვნა-მიღების უფლება.

ქვეგანყოფილება დაარსდება 1-ლ ოქტომბრიდან.

რკინის გზებზე

ა.-კ. რკ. გზის ცენტრალური საცდელი სადგურის საფუძვლის საზეიმო ჩაყრა

გუშინ თბილისში საფუძველი ჩაეყარა ა.-კ. რკინის გზების ცენტრალურ საცდელ სადგურს. სადგურის საფუძვლის ჩაყრა საზეიმო ხასიათს ატარებდა.

დღის ორი საათისათვის სადგურის ასაგებ ადგილას (ღრმაღელეს ახლოს) დროშებით და ორკესტრით თავი მოიყარეს სტალინის სახელობის ქარხნის მუშებმა, რომლებიც მუშაობის დამთავრების შემდეგ ქარხნიდან პირდაპირ გაემართნენ ზეიმზე დასასწრებლად.

ზეიმს დაესწრნენ აგრეთვე: ლენინის რაიკომის, ა.-კ. რკინის გზის გამგეობის, საგზაო კომიტეტის, საუბნო კომიტეტის, საგზაო ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექციის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საზეიმო კრება გახსნა საგზაო კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. ლ. კანდელაკმა.

სადგურის პროექტის ავტორმა ინჟ. ბატრაკოვმა დამსწრეთ დაწვრილებით გააცნო საცდელ სადგურის მნიშვნელობა.

— ჩვენი მიზანია,—სთქვა მან,—წარმოების გაუმჯობესება. მუშაობის პროცესში ხშირად აქვს ადგილი საწარმოო მასალების მოწოდების მთელ რიგ არანორმალურ შემთხვევებს. მოწოდებული მასალები ზოგჯერ უვარგისია, მათი გამოყენება შეუძლებელია და ეს დიდ ზარალს აყენებს წარმოებას.

ფონ-მეკებისა და კომპანიის ისტორიამ დაგვანახვა, რომ ინჟინერ-ტეხნიკოსთა შორის მოიპოვებიან ისეთი ელემენტები, რომელთაც მიზნად აქვთ დასახული ძირი გამოუთხარონ და შეაფერხონ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ტემპი.

ასეთ პირობებში საცდელ-სამეცნიერო სადგურების როლი განუზომელია. კერძოდ ამ სადგურს უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ა. კ. რკ. გზებისათვის, არამედ მთელი ამიერ-კავკასიის მრეწველობისათვის. იგი კონტროლს გაუწევს და შეისწავლის ყველა იმ მასალებს, რომელთაც იღებენ ამიერ-კავკასიის ფაბრიკა-ქარხნები, რითაც თავიდან იქნება აცილებული ის არანორმალური მოვლენები, რომლებიც დღეს ვხვდებით მრეწველობისათვის საჭირო მასალების მიწოდების საქმეში. ამასთანავე სადგური იქნება სკოლა, სადაც ახალგაზრდა ძალები გაეცნობიან წარმოების რთულ პროცესებს.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: სტალინის სახელობის ქარხნის ქარხკომის სახელით ამხ. ტერიკაშვილი, ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექციის საგზაო ბიუროს სახელით ინჟ. ხოჯიაშვილი, ქარხნის მუშების სახელით ამხ. დემეტრაშვილი, ქარხნის ადმინისტრაციის სახელით ინჟ. ზასსე, ახალგაზრდების სახელით ამხ. ჯავახიძე და სხვები.

სტალინის სახელობის ქარხნის მუშებმა სადგურის საფუძვლის ჩაყრის გამო ა. კ. სახკომსაბჭოს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც პირობას აძლევენ მთავრობას, რომ არ დაზოგავენ არავითარ ძალღონეს დაწყებული საქმის ბრწყინვალედ დასაგვირგვინებლად.

დასასრულ მოხდა სადგურის საფუძვლის ჩაყრა. შენობის საფუძველში დატანებულ იქნა თათბირის დაფა შესაფერი წარწერით.

ზეიმი გადაღებულ იქნა კინო-ქრონიკისათვის.

შემთხვევა ქობულეთში

22 აგვისტოს, ღამით სადგ. ქობულეთში მანევრების დროს, ლიანდაგს ასცდა ორთქლმავალი და დაიკავა სადგურის ყველა ხაზები.

მატარებლების მოძრაობა შესწყდა.

ვინაიდან ადგილობრივი ძალებით შეუძლებელი გახდა ორთქლმავალის ამოღება, გამოიწვიეს დამხმარე მატარებელი.

მხოლოდ 7 საათის შემდეგ მოხერხდა მოძრაობის აღდგენა ერთი ხაზით.

ამ შემთხვევის გამო სახალხო მატარებელმა № 44 დაიგვიანა 7 საათით და მატ. № 137-მა ხუთ-ნახევარი საათით.

მარცხი

სადგ. კალაგერანში მატარებლიდან გადმოვარდა კონდუქტორი აკრაძე, რომელსაც მძიმედ დაუშავდა თავი.

დაშავებული გადააგზავნეს თბილისის რკ. გზის საავადმყოფოში.

შემთხვევები

უეცარი სიკვდილი

ქალაქის სასაკლაოზე, მუშაობის დროს უეცრად გარდაიცვალა ემილ სულაძე. გვამი გადაიგზავნა ქალ. პირველ საავადმყოფოში.

ფულის მითვისებისათვის

სისხ. სამართლის მილიციამ შეიპყრო მთავარ ფოსტის ამანათების დამტარებელი ივანე სევერნოვი, რომელმაც მიითვისა მოქალაქეებისათვის დასარიგებლად მიღებული 121 მანეთი.

ცეცხლი

სარაჯოვა კოოპერაციის ქუჩაზე 27, ღამით ცეცხლი გაუჩნდა წინდების საქსოვ არტელის სახელოსნოს. ცეცხლი ჩაქრობილ იქნა ადგილობრივი ძალების საშუალებით.

ჯიბგირობა

სახელმწიფო ბაღში ვ. ვ. ილინას ჯიბიდან ამოაცალეს 180 მ.—ჯიბგირობისათვის შეიპყრეს ლაზარე ინაროვის ძე რაზგოევი.

ქურდობა

გაქურდეს ორჯონიკიძის სახ. კლუბი, საიდანაც წაიღეს 10 მ. ნივთები,—გაქურდეს მუშ კოოპის გასტრონომიული საწყობი მდებარე კარლ მარქსის ქ. № 2.—გაქურდეს ელენე ქედიკოვას ბინა.

ხანძარი სოფ. ამაღლებაში

17 აგვისტოს ღამით, სოფ. ამაღლებაში (გურია) ვიღაც ბოროტმოქმედმა ცეცხლი წაუკიდა გლეხკომის სავაჭროს. მცხოვრებთა ენერგიული დახმარებით ახლო-მახლო მდებარე სავაჭროები და სხვა შენობები გადარჩენილ იქნა.

გლეხკომის სავაჭრო დაიწვა სავსებით. ზარალი უდრის 7.000 მანეთზე მეტს. ეჭვით დაპატიმრებულია გლეხკომის ყოფ. თავმჯდომარე და [illegible].

ქრონიკა

ზომა-წონის ა.-კ. პალატის დირექტორი

ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით ა.-კ. ზომა-წონის პალატის დირექტორი ამხ. რიზაკული ნაჯაფოვი განთავისუფლებულია თავის თანამდებობიდან და მის ნაცვლად დანიშნულია ამხ. მ. ალანია.

პურის დამზადება

გეგმის თანახმად აგვისტოს განმავლობაში „სოფლის კავშირს" უნდა დაემზადებია 84.000 ფუთი ხორბალი. 20 აგვისტომდე ამ რაოდენობიდან დამზადებული იყო 62.000 ფუთი, ე. ი. თვიური გეგმა შესრულებული იყო 74 პროცენტით. მიღებული ცნობების მიხედვით დამზადება ადგილებზე წარმატებით მიმდინარეობს, რაც უნდა მიეწეროს „სოფლის კავშირის" და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოების აქტივობას.

მერძევეთა ამხ. „ლაქტა"

როზენფელდის მერძევეთა ამხანაგობა „ლაქტა" უკანასკნელ ხანამდე განაგრძობდა დამოუკიდებელ არსებობას და თავისი პროდუქციები უშუალოდ გამოჰქონდა გასასაღებლად ბაზარზე. თანახმად სადირექტივო ორგანოების დადგენილებისა, ეს ამხანაგობა წევრად შევიდა საქართველოს მერძევეთა კოოპერატიული კავშირ „ყველ-კარაქ კავშირში", ხოლო მისი პროდუქციის რეალიზაცია დაევალა მუშკოოპს.

ცვალებადელთა საყურადღებოთ

ამხ. [illegible]ენზეს სახელობის მე-2 ქართ. მსრ. დივიზიის მე-6 ქართ. მსროლელი ლეგიონი აცხადებს, რომ ლეგიონზე მიწერილი 1902, 1903, 1904 და 1905 წლ. დაბადებული ცვლებადი წითელი არმიელები და 1902 და 1903 წლ. დაბადებული უმცროსი მეთაურები უნდა გამოცხადდნენ ლეგიონის ბინადრობის ადგილას (თბილისი, კახეთის ქუჩა, № 16) ა.-წ. 31 აგვისტოს დილის 7 საათზე—ერთთვიანი საერთო შეკრების გასავლელად.

დაგვიანებით გამოცხადებულნი და აგრეთვე ისინი, რომლებიც სრულიად არ გამოცხადდებიან შეკრებაზე, მიეცემიან პასუხისგებაში.

შრომის სკოლების მე-5 და მე-8 ჯგუფებში მოსწავლეთა მიღების შესახებ

განათლების სახალხო კომისარიატმა დაადგინა შრომის სკოლების მე-5 და მე-8 ჯგუფებში დაშვებულნი იქნან ღარიბ-და საშუალო გლეხების, მოჯამაგირეების და ხელოსნების შვილები, რომელნიც ჰასაკს გადაცილებულნი არიან.

სამხატვრო წრეების დაჯილდოვება

დამთავრდა კლუბებთან არსებულ თვითმოქმედ სამხატვრო და ფოტო-წრეების ნამუშევარის გამოფენა. ჟიურიმ (ფოტო-დარგისამ) პირველი ჯილდო — ფოტოგრაფიული აპარატი ახაწყობით, მიაკუთვნა კავშირგაბმულობის მუშაკთა ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის კლუბის ფოტო-წრეს, მეორე ჯილდო (ფოტო-მასალები) მიეკუთვნა ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის კლუბის ფოტო-წრეს. გარდა ამისა წამახალისებელი ფურცელი (პოხვალნი ლისტ) მიიღეს სახელმწიფო პოლიტსამმართველოს და ფინსახკომის ფოტო-წრეებმა.

კურსები

1 სექტემბერს მოსკოვში იხსნება კურსები საქარხნო-საფაბრიკო მოწაფეობის ინსტრუქტორების კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

კურსებზე ამიერ-კავკ. რკ. გზა აგზავნის თავის კანდიდატს.

თბ. აღმასკომში

◆ ელბაქიძის აღმართის გაფართოება განზრახულია წელსვე დამთავრდეს.

◆ სოლანლუღში აღმასკომი აწყობს მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას.

სხვადასხვა

◆ **საბავშო ბაღები.** დამდეგ სასწავლო წლიდან განზრახულია საქართველოში გაიხსნას 53 საბავშო ბაღი.

◆ **ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის საშემოდგომო სესიები** დანიშნულია 1-ლ სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე.

გამოცდებზე ჩაწერა იწარმოებს 30 აგვისტოდან 12 სექტემბრამდე.

ოპერის თეატრი

სახ. აკადემიური ოპერის თეატრის დირექცია შეუდგა გუნდებისა და ბალეტის შევსებას ახალი ძალებით. განსაკუთრებით საჭიროა ვაჟები. მიღება იწარმოებს კონკურსით. ჩაწერა შეიძლება 24 აგვისტოდან.

დირექცია აგრეთვე იწვევს მუდმივ თანამშრომლებს (სტატისტებს).

შრომის კონფლიქტების განხილვა გვიანდება

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატმა ჩაატარა შრომის კონფლიქტების გარჩევის გამოკვლევა ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებში. გამოკვლევამ ნათელჰყო, რომ შრომის კონფლიქტების განხილვის საქიროებს შრომის კომისარიატის ორგანოებში ჯერ კიდევ ბოლო არ მოეღება. საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის მიერ გარჩეულ კონფლიქტებიდან კახონიერ ვადაში გარჩეულია მხოლოდ 56,5 პროცენტი მთავარი ნაკლოვანებანი, რომლებიც ახასიათებს როგორც შრომის კომისარიატების, ისე, მათ ადგილობრივ ორგანოების მუშაობას ამ დარგში, შემდეგია: სისწორით არ სრულდება დებულება საკონფლიქტო კომისიებზე. შემარიგებელ კამერებზე და სამედიატორო სასამართლოებზე ზედამხედველობის შესახებ. შრომის ორგანოების დადგენილებებში ხშირად მოყვანილი არ არის საკონფლიქტო კომისიის, შემარიგებელი კამერის და სამედიატორო სასამართლოს დადგენილების გაუქმების მიზეზი (უმთავრესად სამუშაოდან დათხოვნილთა საქმეების შესახებ), რის გამო მშრომელი ვერ ერკვევა იმაში, თუ რა მიზეზით იქნა გაუქმებული პირველი ინსტანციის დადგენილება. ზოგჯერ შრომის კომისარიატის ორგანოები აუქმებენ შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის დადგენილებას შრომის დისციპლინის დარღვევის საკითხზე მხოლოდ იმიტომ, რომ დაცული არ იქნა გარჩევის უმნიშვნელო ფორმალური წესი; აუქმებენ რა შემარიგებელ-სამედიატორო ორგანოების გადაწყვეტილებებს ან და სტოვებენ რა უშედეგოდ საჩივარს, შრომის კომისარიატის ორგანოები ამის შესახებ არ აცნობებენ მხარეებს. ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკაში შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიები მოკლებული არიან შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების ინსტრუქციულ ხელმძღვანელობას. ამის გამო, ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატმა საჭირო მითითებანი მისცა რესპუბლიკანურ შრომის სახალხო კომისარიატებს. საქ. შრომის სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა შეამოკლოს კონფლიქტების გარჩევის ვადა, გააძლიეროს ზედამხედველობა შემფ.-საკონფლიქტო კომისიების მუშაობაზე და სხვ. რესპუბლიკანურ შრომის სახალხო კომისარიატებს და მათ ადგილობრივ ორგანოებს დაევალა მტკიცედ დაიცვან საკავშირო და ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს და შრომის სახალხო კომისარიატის დირექტივები შრომის დისციპლინის დარღვევისათვის მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნის ან აღდგენის შესახებ.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა ხელზე

დღეს თბილისის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

რკინის გზელთა სექციიდან — ილა ჯანიზაშვილი, პროკოფი ყიფიანი, მარუაშვილი, ნიკოლოზ ნაბსტელოვი, სარქის ნონიკაშვილი, კონსტანტინე ვათიაშვილი, ალექსანდრე ზურაბაშვილი, ნიკოლოზ ამირანაშვილი, ისაკ თათარაშვილი, გიორგი უსანეთაშვილი, გიორგი დემეტრაშვილი, ალექსი ტალახაძე, გერგენიძე, სადალაშვილი, ტერუნოვი, სერგო მელადაშვილი, გიორგი კობზირაძე, ნიკოლეიშვილი, ხუციშვილი, ხოჯაიანც.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან — ანდრია სტეფანოვი, ალექსანდრე აბულაძე, ივანე მაცაშვილი, დომენტი ეძვერაძე, ელენა მახარაშვილი, ლიუბა მდივანი, ივანე არუთინოვი, ილარიონ მახარაძე, ალექსი ჩერმენოვი, ბარბარე რცხილაძე, ევგენია მანუკოვი, ანნა დონდოროვა, ნინო კოჟევნიკოვა, მარიამ კრუჟინოვსკაია, მარია ლისენკო, ბაგრატ კარსანიძე, არუსიაკ ადამოვა, მარგარიტა კიღურაძე.

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან—მართა გებაკოვი, ტატიანა სამადუროვი, თამარა წულუკიძე, ვლადიმერ ჩაჩანიძე, ნინო ჩეჩუკიძე, არტემ კობახიძე, ნადეჟდა ლუციენკო, არტემ სუთიძე, თამარა შტანკოვა, ამბაკო ტოროშელიძე, ანნა მურადოვა, ბარბარე ჟუკოვა, გიორგი პეტროსინი, შალვა პატარიძე, მიხეილ თვალაძე, ავეტისიანი, ელისაბედი სორინი, გამეზარდაშვილი.

მედსექციიდან — მარიამ გოგიშვილი, თამარა შავდია, ლიდია ზუმბერაძე, კლავდია კუტეინიკოვა, ერვანდ ოგანეზოვი, ზუმბერმანი.

აღმშენებელთა სექციიდან — ვლადიმერ გერუმენკოვი, დარჩო ლეჟავა, გიორგი იშხანოვი, ვასო ელენინი, სტეფანე [illegible], ილია ირემაშვილი, გიორგი რაზმაძე, სარქის მირზოიანცი, ივანე გაბისონია, სიკო მინდიაშვილი, არშაკ ზაკიანი, ვლადიმერ დიმიჩი, მამიკონი კუპალიანი, ივანე კამენოვი.

შავ მუშათა სექციიდან — სიმონ სარქისოვი, ალექსანდრე მჭედლიშვილი, იოსებ ცვინკოვი, ივანე ლომიძე, ოლია კირაკოზოვა, ნინო პალატოვა, მიხეილ რევაზიშვილი, მიხეილ გევორქიანი, ხაჩატურ ჯულმაკოვი, სტეფანიანცი,, ზაქარია ბასილაშვილი, ივანე კოკოჩაშვილი, ლევანი კასრაძე, ავეტისიანი ნადო იაკობაშვილი, ვლადიმერ [illegible], იოსებ კიკოლეიშვილი, სერგო არუთინოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 24 აგვისტოს, დილის 9 საათზე, თბილისის კომიტეტის აგიტპროპგანყოფილებაში შესდგება თათბირი თბილისის ოლქში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ. თათბირს აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: სოსიანი (პოლიტეხნიკური ინსტიტუტი), ჩხარტიშვილი (მთავარი პოლიტგანი), არუთინოვი (საქართველოს პროფსაბჭო), ბკოპოვი (მუშკოოპი), საბინაო კავშირის, სარეჯაო კოოპერაციის და ცეკავშირის კულტგანყოფილების გამგეები. ბოკერია („წერა-კითხვა") და რ. ს. ფ. ს. რ. სახ. გამ. სახელგამის და ზაკკნიგას წარმომადგენლები.

—:—

საქ. კომ. პარტ. ც. კ. აგიტპროპბეჭდვითი სიტყვის განყოფილებაში ამხ. ჩაჩანიძესთან (ოთახი № 20) უნდა გამოცხადნენ მუშკორად მივლინებული შემდეგი ამხანაგები: ნიკოლოზ თეთრაული, გიორგი გოჩილაშვილი და ივანე გულისაშვილი.

—:—

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო-კოლექტივი ამით აცხადებს, რომ დღეს 24 აგვისტოს, დილის ათ საათზე მოწვეულია ბიურო-კოლექტივის სასწრაფო სხდომა. დასწრება წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა დაუგვიანებლად.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საარიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება გაუქმებულათ აცხადებს კრასნოდარის ორგანიზაციის მიერ ივანე ვასილის ძე კირინის სახელზე გაცემულ პარტიულ ბილეთს.

—:—

თბ. სახ. უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს გიორგი იოსელიანს გამოცხადდეს დღეს, 12 საათზე—ბიურო კოლექტივში.

—:—

თბ. სახ. უნივ. ახ.ლ. კ. კ. გაერთიანებულ უჯრედთა ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ ბიურო-კოლექტივში:

აივაზოვი არმენაკ, ბაბალეიშვილი ივანე, ბალანჩივაძე სერგო, გურგენიძე სტეფანე, დგვეფაძე ტიტე, ლეჟავა ნადეჟდა, მატარაძე დიმიტრი, პირველი ბიძინა, სიმონგულოვი სეით, ფოჩიანი დანიელ, ჩიქობავა ტროფიმე, ცაგარეიშვილი გიორგი, ცაგარეიშვილი ვლადიმერ, ქაია სევერიანე, ხაჭალია ერემია, ბახტაძე აკაკი, ფალავა, ჯალაღანია დავით, ვეკუა ილია, ჩხეტია მიხეილ, დარსანია კვანტალიანი ალექსანდრე, გოცირიძე გრიგოლ, სტურუა ლიუდმილა, აბაშიძე გრიშა, ბობოხიძე კალე, გიგინეიშვილი ა., ქეირია, შარაშენიძე მ., გოცირიძე მ., ბახტაძე მ.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ანა, შვილებით: წუწულია, ივანე, ევა, ნინო, ალექსანდრე, თამარი, შალვა, ქეთევანი, ეთერი, რძალი მარიამი, სიძე ვასილ მზიძე, შვილიშვილი საშიკო აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარ

ნიკოლოზ ნინიას-ძე ხომასურიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 25 აგვისტოს, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება გაბაშვილის შეს. № 5. 2973

დამწუხრებულნი ცოლისძმა ექვთიმე, ანეტა არსანიძეები, ქვისლები: ნესტორ, ვერიჩკა ნეფარიძეები, ტრიფონ, ოლღა გიორგობიანები და ლევანტი, ცაცა ქიქინაძეები იუწყებიან

ნიკოლოზ ნინიას-ძე ხომასურიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25 აგვისტოს, 3 საათზე. 2972

გამწარებულნი სპირიდონ, ვიქტორ და ივლიტე სხიერლები, ვასილ, ბარბარე, ვალენტი, მელანია, ვალიკო, არტემ და ოლღა ხომასურიძენი იუწყებიან დაუვიწყარ

ნიკოლოზ ნინიას-ძე ხომასურიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 25 აგვისტოს, 3 ს. გაბაშვილის შესახ. № 5. 2972

დედა ტასო, და აგრაფინა და ძმა პოლიკარპე დოლიძეები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 23 აგვისტოს დილის 5 საათზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ბორჯომში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

ქეთო

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

დამწუხრებული დედა ანა, და ნადია, ძმები: დიომიდე, გრიგოლი და ალიოშა; რძალი კატო, ბიძები: რაჟდენ და ერმისო, ბიცოლები: პასიკო, აგრაფინა და კალისტინე ცინცაძეები თავიანთ შვილებით და ჟენია ფირცხალაშვილისა, სიძე პლატონ შვილებით მადონა, გივი და ჟულეტათი; ბებია ფოტინე ჩაგანავა, დეიდები მარიამ, ელპიტი და სონია თავიანთ ქმარშვილით იუწყებიან

ვალიკო ივ ნეს-ძე ცინცაძის

ტუაპსეში ტრაგიკულად გარდაცვალებას. ჩამოსვენება ქ. ბათომში 21 აგვისტოს, გასვენება ქ. ლანჩხუთში იმავე დღეს. დაკრძალვა 24 აგვისტოს. ბ. 3130

სახკინმრეწვის კინოები

საზაფხულო აპოლო დარბაზის (ბაღში)	ახალი საზღვარგარეთული ფილმი ცეცხლის კაცი
საზაფხულო ეთერი	ბერნარდ გეტცკე უცხოეთის მხატვრულ სურათში დამნაშავეა
საზაფხულო პალასი	დრამა თანამედროვე ცხოვრებიდან ადამიანის ფასი

მალე: რადიო და ლომი 0—17

აფხაზეთის ხელისმომწერთა საყურადღებოდ

პირველი აგვისტოდან ჩვენ შევწყვიტეთ აფხაზეთის ხელისმომწერთათვის გაზეთის გზავნა, „საბჭოთა აფხაზეთის“ კანტორის მიზეზით, რადგან აღნიშნულმა კანტორამ, რომელიც ავრცელებს ჩვენს გაზეთს აფხაზეთში, არა თუ შეთანხმებულ ვადაში, არამედ დღემდეც არ გადმოგვიგზავნა ხელის მოწერისგან შეკრებილი ფული. ამ ფულის მიღებისთანავე, ჩვენ დავიწყებთ გაზეთების გზავნას. იმ ხელის მომწერლებს, რომელთაც ხსენებული მიზეზით დააკლდათ გაზეთის ნომრები, საკომპენსაციოთ გაუგრძელდებათ გაზეთის გზავნა ხელისმოწერის ვადის გათავების შემდეგ იმდენი დღით, რამდენითაც მათ არ ექნებათ მიღებული ის ამჟამად შექმნილ მდგომარეობის გამო.

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი აცხადებს კონკურსს

ოპერის გუნდში შესვლის მსურველთათვის (ახალგაზრდობისათვის) ჩაწერა სწარმოებს თეატრის კანტორაში 24 აგვისტოდან, 10-დან 2 საათამდე.

კონკურსის დღის შესახებ ცნობის მიღება შეიძლება კანტორაში. თეატრს ესაჭიროება სცენის თანამშრომლები (ჯამ-გირიანი სტატისტები) მიღების სავალდებულო პირობები: წერაკითხვის სრული ცოდნა, სცენიური ტანადობა და ფიგურა—ფიზკულტურის ცოდნა. უპირატესობა მიეცემა ხმის მქონე პირებს.

თანახმად საქ. ეკონომსაბჭოს 1929 წლ. 17 აგვისტოს დადგენილებისა (ოქმი № 13) ა. წ. 25 აგვისტოდან

იწყება ლიკვიდაცია

სმუს-თან არსებულ ახალშენებათა სამმართველოსი.

ამიტომ ყველა დაწესებულებანი და კერძო პირნი, რომელთაც აქვთ რაიმე პრეტენზია ახალშენებათა სამმართველოსადმი, ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ასეთები ა. წ. 25 სექტემბრამდის, რის შემდეგაც არავითარი პრეტენზიები არ იქნება განხილული.

ყველა საკითხების შესახებ, რომლებიც არიან დაკავშირებული ახალშენებათა სამმართველოს მუშაობასთან ა. წ 25 აგვისტოდან უნდა მიმართონ სალიკვიდაციო კომისიას, ქ. თბილისი პუშკინის ქ. № 4.

სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე **ბარინი.**

ნ. 3125 3—2

თბილისის შრომის ბირჟა

აცხადებს უმუშევართა საყურადღებოდ, რომ ის პირნი, ვინც დაბარებული იყო შრომის ბირჟაში წმენდაში გასავლელად და რაიმე მიზეზით დღემდე არ გამოცხადდა უმუშევართა წმენდის ჩამტარებელ სათანადო კომისიაში, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ თბილისის შრომის ბირჟაში 1 სექტემბრამდე.

ვინც აღნიშნულ ვადაზე არ გამოცხადდება, მოხსნილი იქნება შრომის ბირჟის აღრიცხვიდან.

ნ. 3124 2—2 თბილისის შრომის ბირჟა

ქუთაისის 1-ლი უბ. სახ. სასამართ. აღმასრულებელი

იოსებ მილორავა

აცხადებს, რომ 30 აგვისტოს, დღის 2 საათზე ზდანოვიჩის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სოლომონ აბზიანიძის უძრავ ქონებას ერთ სართულიანი ხის მოუთავებელ სახლს დახურულს კრამიტით, რომელიც გაშენებულია ხის ბაჯგებზე, სახლი შესდგება ორი თვალი საცხოვრებელი ოთახისაგან, წინ ღია ბალკონით, სამი ფანჯარით და გვერდებზე თითო ფანჯრებით, აგებულია საეზოვე მიწაზე ზომით ვარაუდათ 200 კვ. საჟენი. სახლი შეფასებულია ათას ხუთას მანეთათ. იმავე დღეს იგივე აღმასრულებელი, ე. ი., 30 აგვისტოს, დღის 3 საათზე პროფ. მარის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ლავრენტი შაშიაშვილის უძრავ ქონებას ერთი ორ სართულიან ქვიტკირის სახლ , რომლის ძირა სართული შესდგება ორი თვალი სამზარეულოსაგან, ზედა სართული კი ორი საცხოვრებელი ოთახისაგან. დახურულია კრამიტით, აგებულია საეზოვე მიწაზე ვარაუდათ ასი კვადრატიული საჟენი. შეფასებულია ორი ათას ხუთას მანეთათ.

ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება თანახმად სამოქ. სამ. საპ. კოდ. 311 მუხლისა, უნდა წარმოადგინოს საბუთები და თანახმად იმავე საპ. კოდ. 312 მუხ. საწინდარი 10 პროც შეფასებითი თანხის. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებითი თანხიდან. ნ. 3131

საბჭოთა აპარატის წმენდის ჩამტარებელი კომისია

აცნობებს კოლექტივების ყველა თანამშრომელს, რომ **სექტემბრის პირველ რიცხვებში ჩატარდება შრომის სახალხო კომისარიატის კოლექტივების შტატის თანამშრომელთა წმენდა.**

ვთხოვთ კოლექტივების ყველა მუშაკს, ვისაც აქვს განცხადება რომელიმე თანამშრომლის წინააღმდეგ, შეიტანოს გაერთიანებულ კოლექტივთა სამმართველოს ქვე-კომისიაში, ვოლოდარსკის ქ., № 3, ან შრომის სახალხო კომისარიატის საორგანიზაციო განყოფილებაში.

საბჭოთა აპარატის წმენდის ჩამტარებელი კომისია.

4—1 ნ. 3134

ჭიათურის შავი ქვის ტრესტი

ყიდის საჯარო ვაჭრობით 12 ცხენს,

რომლებიც არ გამოდგინ მაღაროში სამუშაოდ. ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებნი უნდა გამოცხადდნენ ქალ. ჭიათურაში ტრესტის შენობაში ა. წ. 25 აგვისტოს დილის 10 საათზე. ნ 3121 2—2

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

წასულია. განაახლებს ავადმყოფების მიღებას 1 სექტემბერს.

253325—15

ქ. კობულეთში

ბავშვების ექიმი

ალ. მაღალაშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 საათამდე. მესხეთის ქ. № 14. 2838 25 | 1

ქ. თბილისის მე-4 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი

პ. ჭეიშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 29 აგვისტოს 1929 წ. დილის [illegible] საათზე სახლში № 53 რიყის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ნიკოლოზ და სუსანა არუთინიანის უძრავ ქონებას: ორ სართულიან სახლს, შემდგარი 8 ოთახისგან შეფასებული 2 00 მან. ევა ტონოკინას-სარქისოვის და არტაშეს ხაჩატუროვის ვალის დასაკმაყოფილებლად. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან და მოხდება დაცვით 310, 311, 312, 313 და 314 მუხ. სამოქ. სამარ. საპრ. კოდექსისა. 2976

დაკარგა: სამხედრო წიგნაკი № 25267 გაცემული ონის სამხედრო კომისარიატიდან ვასილ ივანეს-ძე ყავლაშვილის **სახელზე, ჩ. გ.** 2977

დაკარგა: საბინაო დავთარი მარიამ სარქისას ასული კოშკელოვის **სახელზე, ჩ. გ.** 2979

დაკარგა: მეტრიკული ამონაწერი დაბადების, გაცემული ქუთაისის მმაჩის მიერ გრიგოლ კონსტანტინეს-ძე წერეთლის სახელზე, ჩ. გ. ნ. 3129

დაკარგა: სამხედრო აღრიცხვის ნუსხა გაცემული ხრესილის რაიონის სამხედრო მაგიდის მიერ რაჟდენ ლუკას-ძე გიორგაძის **სახელზე, ჩ. გ.** ნ. 3129

დაკარგა: პურის წიგნაკი „ა“ ნიკო მინდიაშვილის **სახელზე, ჩ. გ.** 2975

დაკარგა პირადობის მოწმობა დარო ბესარიონის ასულ ნადარეიშვილის **სახელზე, ჩ. გ.** 2974

დაკარგა: სამხედრო წიგნაკი ირაკლი ბ.-ძე შახიძის **სახელზე, ჩ. გ.** 2170

დაკარგა: მეტრიკული ამონაწერი, გაცემული ქუთაისის მმაჩის მიერ მადლენა სილოვან მახვილაძის ასულის **სახელზე, ჩ. გ.** ნ. 3129

დაკარგა საწევრო წიგნაკი № 242 გაცემული ქუთაისის მუშკოოპიდან პლატონ თედორეს-ძე გოგლიჩიძის **სახელზე ჩ. გ.** ნ. 3129

დაკარგა: სამხედრო აღრიცხვის ბარათი მოცემული საქ. სახ. უნივერსიტეტის სამხედრო მაგიდიდან მიხეილ ალექსანდრეს-ძე ასათიანის სახელზე, ჩ. გ. 2978

სახელმწიფო გამომცემლობა

ცირკულიარი

გან. სახ. კომისარიატი ამით აქვეყნებს 1929—30 სასწ. წლისათვის დაშვებულ სახელმძღვანელოების სიას, რომელშიაც შეტანილია როგორც 1929 წ. ისე წინა წლების გამოცემანი.

გადაწყვეტილია მომავალი 1930—31 წლიდან სტაბილურ სახელმძღვანელოებზე გადასვლა. ამის გამო ახალი გამოცემანი ტირაჟით ისეა ნავარაუდევი, რომ ძველ გამოცემებთან ერთად მხოლოდ ამ სასწავლო წლის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს და წიგნის ბაზარი უკეთეს გამოცემათათვის გაცალოს.

ამ სიის გარეშე სხვა სახელმძღვანელო წიგნების ხმარება **სასტიკად აკრძალულია**, რის შესახებ გან. სახ. კომისარიატი აფრთხილებს გან. ადგილობრივ ორგანოებს, სკოლის ხელმძღვანელებს და მასწავლებლებს.

განათლების სახალხო კომისარის მოადგილე: მარიამ ორახელაშვილი.

სახელმძღვანელოები შრომის სკოლებისათვის

პირველი ჯგუფი

1. ა. გვახარია და ვ. ძიძიგური—„პირველი წიგნი“, ნაწ. I და II
2. ნ. ბოცვაძე, კ. ბურჯანაძე და რ. ჩიხლაძე—„ახალი წიგნი“. ნაწ. I და II
3. ტ. ზაალიშვილი—„ვისწავლოთ“ ნაწ. I და II
   } ერთი ამათგანი
4. მოძრავი ფერადი ანბანი

მეორე ჯგუფი

1. ნ. ძიძიგური და პ. აფხაძე—„ჩირაღდანი“.
2. ნ. ბოცვაძე, კ. ბურჯანაძე და რ. ჩიხლაძე—„ჯეჯილი“
3. ტ. ზაალიშვილი—„ნაკადული“
4. გ. ბურჭულაძე—„სამუშაო წიგნი მათემატიკაში“
5. ნ. მგელაძე, ნ. შაფაქიძე და ნ. კვინიკაძე—„მათემატიკა“
   } ერთი ამათგანი

მესამე ჯგუფი

1. მასწავლებელთა ჯგუფი—„ახალი სოფელი“
2. ს. ოცხელი და პ. წულუკიძე—„მათემატ. ამოც. კრებული“
3. ა. ხარაბაძე, ა. დევიძე და ს. ლორთქიფანიძე—„მათემატ. ამოც. კრებული“
   } ერთი ამათგანი
4. Н. Мисабишвили и Цулукидзе—„Новый мир“
5. С. Пурцеладзе—„Живая струйка“ ч. I
   } ერთი ამათგ.
6. დ. დონდუა—„გეოგრაფიის რვეული“, ნაწ. I

მეოთხე ჯგუფი

1. ნ. კეცხოველი და სხვა—„ჩვენი კავშირი“
3. სამუშაო წიგნი—(დაიბეჭდება)
   } ერთი ამათგანი
3. ს. ლორთქიფანიძე და ა. ხარაბაძე—მათემატ. ამოც. კრებული
4. ს. ოცხელი და პ. წულუკიძე—„მათემატ. ამოც. კრებული“
   } ერთი ამათგანი
5. დ. დონდუა—„წყარო“ (ბუნების მეტყ. და გეოგრაფიაში)
6. Н. Мисабишвили и Цулукиозе—„Новый мир“. ч. п.
7. Пурцеладзе—„Живая струйка“ ч. II (1928 გამოც.)
   } ერთი ამათგ.
8. ნ. შაფაქიძე—„თვალსაჩინო პრაქტ. გეომეტრია“, ნაწ. I
9. დ. დონდუა—„გეოგრაფიის რვეული“, ნაწ. II

მეხუთე ჯგუფი
(სოფლის ახალგაზრდათა სკოლების I ჯგუფი)

10. ი. სიხარულიძე—„ენის დაკვირვება“
11. С. Пурцеладзе—„Русская речь“ ч. I
12. თ. ჭუმბურიძე—„საზოგადოებათმეცნიერება“
13. ა. ხარაბაძე—„მათემატიკის ამოც. კრებული“
14. გ. ბურჭულაძე—„სამუშაო წიგნი მათემატიკაში“
    } ერთი ამათგ.
15. ნ. შაფაქიძე—„თვალსაჩინო პრაქტ. გეომეტრია“ ნაწ. II
16. ნ. კეცხოველი და სხვა—„ბუნება და სოფლის მეურნეობა“
17. ი. გაჩეჩილაძე—„მეტეოროლოგია“ (მხოლოდ სოფ. ახ. სკ.)
18. ს. ი.შვილი—„დაწყებითი გეოგრაფია“

დამხმარე წიგნები მოწაფეთათვის

1. ერმ. ნაკაშიძე—„სიმინდის ჩრჩილი“
2. ერმ. ნაკაშიძე—„თხილი, მისი გაშენება და მოვლა“
3. დ. უჩანეიშვილი და ს. ძიმისტარაშვილი—„საქართველოს ისტორია“, ნ. II
4. ჯიშკარიანი—„წელთა აღრიცხვის ძველი და ახალი წესი“
5. ტ. თაბუკაშვილი—„სასვენი ნიშნების ხმარება“
6. პოლოვცევი—„პრაქტიკული ვარჯიშობა ბოტანიკაში“
7. ნ. კვინიკაძე და სხვ.—„სამუშაო წიგნი მათემატიკაში

მეექვსე ჯგუფი
(სოფლის ახალგაზრდათა სკოლების II ჯგუფი)

1. ი. სიხარულიძე—„ენის დაკვირვება“
2. ზ. კლიმიაშვილი—„საქართველოს გეოგრაფია“
3. ზ. კლიმიაშვილი—„ს. ს. რ. კავშირის გეოგრაფია“
4. ს. იაშვილი—„ს. ს. რ. კავშირის გეოგრაფია
   } ერთი ამათგ.
5. კ. ბერიძე და კორძახია—„მათემატ. სამუშაო წიგნი“
6. კისელიოვი—„ალგებრა“
7. С. Пурцеладзе—„Русская речь“ ч. II
8. მ. ფაჩუაშვილი და პ. მეტრეველი—„ზოოლოგია“
9. დ. ქუთათელაძე—„ზოოლოგია“
   } ერთი ამათგ.
10. ა. ხარაბაძე—„მათემატ. ამოცანები“
11. პროფ. ა. ჯავახიშვილი—„პრაქტ. ვარჯიშობის რვეული—გეოგრ.“
12. მასწავლებელთა ჯგუფი—„ფიზიკის ელემენტები“
13. თ. ჭუმბურიძე—„საზოგადოებათმეცნიერება“

დამხმარე წიგნები მოწაფეთათვის

1. ი. ქავთარაძე—„ახალგაზრდა ბუნებისმეტყ. თანამგზავრი“.
2. ი. ქავთარაძე—„ბუნება სკოლასა და სახლში“.
3. კ. ჩირაძე—„მეფრინველეობა“.
4. ფ. მახარაძე—„სვანეთი“.
5. შ. ყავრიშვილი—„სვანეთი“
6. ე. გაბლიანი—„ძველი და ახალი სვანეთი“ ნაწ. 1-ლი.
7. მისივე—„თავისუფალი სვანეთი“ ნაწ. მე-2.
8. ა. ჭიჭინაძე—„ცხელი ქვეყნის მცენარეები და ცხოველები“.
9. ვ. წულუკიძე—„მყინვარწვერისაკენ“
10. დ. მესხი—„ფიზიკური გამარტივებული ხელსაწყოები“.
11. ტ. თაბუკაშვილი—„სასვენი ნიშნების ხმარება“.
12. ი. ნიკოლაიშვილი—„ქართული ენის პრაქტ. გრამატიკა“.
13. ჩხიკვიშვილი—„საქართველოს ფაუნა“.

განათლების სახალხო კომისარის მოადგილე

მარიამ ორახელაშვილი

მეშვიდე ჯგუფი
(სოფლის ახალგაზრდათა სკოლის მე-III ჯგუფი)

1. ი. სიხარულიძე—„ენის დაკვირვება“.
2. თ. ჭუმბურიძე—„საზოგადოებათმეცნიერება“.
3. ს. იაშვილი—„მსოფლიოს მოკლე გეოგრაფია“.
4. შ. და ტ. ჩუბინიძეები—„ანატომია, ფიზიოლოგია და ჰიგიენა“.
5. ა. ხარაბაძე—„მათემატიკური ამოცანები“.
6. კ. ბერიძე და კორძახია—„სამუშაო წიგნი მათემატიკაში“.
   } ერთი ამათგანი
7. С. Пурцеладзе—„Русская речь“ ч. II.
8. ი. გაჩეჩილაძე—„მეტეოროლოგია“ (მხოლოდ სოფ. ახ. სკოლ.).
9. მასწავლებელთა ჯგუფი—„ფიზიკის ელემენტები“ ნაწ. მე-2.
10. კისელიოვი—„ალგებრა“.

დამხმარე წიგნები მოწაფეთათვის

1. ივ. გომართელი—„თავის მოვლა“.
2. მისივე—„გლეხის კარაბადინი“.
3. ი. ქავთარაძე—„ბუნება სკოლასა და სახლში“.
4. ფ. მახარაძე—„1905 წელი ამიერ-კავკასიაში“.
5. ლენინი—„ოქტომბერი“.
6. ლენინი—„ოქტომბრისაკენ“.
7. დ. უჩანეიშვილი, ძიმისტარაშვილი—„საქართველოს ისტორია“ მე-2 ნაწ.
8. დ. სულიაშვილი—„ლენინთან პეტროგრადამდე“.
9. ნ. მიწიშვილი—„ავღანისტანი“.
10. მ. ყავრიშვილი—„დასავლეთ ევროპის გეოგრაფია“.
11. თ. ჭუმბურიძე—„საზოგადოებათმეცნიერება“, ნაწ. მე-2.

მერვე ჯგუფი

1. ს. გორგაძე—„ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“.
2. В. Канделаки и Д. Мгеладзе—„Труд и знание“.
3. კ. სულაქველიძე—„სწორწიროვანი ტრიგონომეტრია“.
4. ა. ხარაბაძე და დევიძე—„ტრიგონომეტრია“.
   } ერთი ამათგანი
5. ა. ხარაბაძე და გიორგობიანი—„ალგებრული ამოცანები“.
6. კისელიოვი—„ალგებრა“.
7. მენი და ტვისი—„ფიზიკა“ ნაწილი 1-ლი.
8. მოდესტოვი—„ფიზიკა“ ტომი 1-ლი.
   } ერთი ამათგანი
9. დ. გვაზავა და ვ. ბახტაძე—„კლასთა ბრძოლის ისტორია“.
10. კ. კანდელაკი—„გეომეტრია“.
11. ს. ბერეჟიანი და ყიფშიძე—„ფიზიკური გეოგრაფია“.
12. ა. ჩხენკელი—„ბიოლოგია“.
13. მ. ჭავჭანიძე—„ბიოლოგია“.
    } ერთი ამათგანი
14. ბრეგელი და კაზო—„პოლიტიკური ეკონომია“.
15. კ. ბერიძე—„ლოგარითმების ცხრილი“.
16. გ. წერეთელი და ნ. კვინიკაძე—„ალგებრა“.

დამხმარე წიგნები მოწაფეთათვის

1. ი. ჯიშკარიანი—„ტრიგონომეტრია“.
2. ფ. მახარაძე—„თხზულებანი“ ტ. 1, 2, 3, 4 და 5.
3. ლუკინი—„დასავლეთ ევროპის ისტორია“.
4. თ. ბეგიაშვილი—„ქართული ლიტერატურის ისტორია“.
5. გ. გიორგაძე—„ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში“.
6. ქ. რაჭველიშვილი—„საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია“.
7. ბუბლიკოვი—„ბიოლოგიური საუბრები“.
8. ოცხელი—და ეზიკაშვილი—„პლანიმეტრია“. ამოცანათა კრებული
9. ს. მაკალათია—„საზოგ. ფორმათა განვითარების ისტორია“
10. ი. ქავთარაძე—„ორგანიული ქიმია“.
11. პ. ქარუმიძე—„არაორგანიული ქიმია“.
12. გ. გიორგაძე—საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში.
13. დ. მთვარელიძე—„პარიზის კომუნა“.

მეცხრე ჯგუფი

1. შ. სიხარულიძე და სხვ.—„კლასთა ბრძოლის ისტორ.“. ტ. 1.
2. მოდესტოვი—„ფიზიკა“ ტ. 1 და 2.
3. მენი და ტვისი—„ფიზიკა“ ნაწ. მე-2.
   } ერთი ამათგანი
4. Канделаки, Д. Мгеладзе—Труд и знание.
5. კ. სულაქველიძე—„სწორწიროვანი ტრიგონომეტრია“
6. ა. ხარაბაძე და დევიძე—„ტრიგონომეტრია“
   } ერთი ამათგანი.
7. კისელიოვი—„ალგებრა“
8. ა. ხარაბაძე და გიორგობიანი—„ალგებრული ამოცანები“.
9. ბრეგელი და კაზო—„პოლიტიკური ეკონომია“.
10. ჯანაშვილი—„საქართველოს ეკონომ. გეოგრაფია“.
11. გ. წერეთელი—„სტერეომეტრია“.
12. კ. კანდელაკი—„გეომეტრია“.
13. სოზონოვი და ვერხოვსკი—„ქიმიის სახელმძღვანელო“.
14. ა. ჩხენკელი—„ბიოლოგია“.
15. მ. ჭავჭანიძე—„ბიოლოგია“.
    } ერთი ამათგანი
16. კ. ბერიძე—„ლოგარითმების ცხრილი“.
17. გ. წერეთელი და ნ. კვინიკაძე—„ალგებრა“.
18. დ. გვაზავა—პარიზის კომუნა. (ქრესტომატია)

სოციალური აღზრდის მთავარ მმართველობის უფროსის

მაგიერ **გ. გოგუაძე.**

დამხმარე წიგნები მოწაფეთათვის.

1. ლეონტიევი—„პოლიტიკური ეკონომია“.
2. ტარასოვი—„საზოგადოებათმეცნიერება“. ტ. 1, წ. 1—2.
3. ჯიშკარიანი—„ტრიგონომეტრია“.
4. ხორაბინი—„მსოფლიო ეკონომ. გეოგრაფია“.
5. თ. ბეგიაშვილი—„ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. მე-11.
6. ვ. ხუროძე—„ლიტერატურის თემატიური განხილვა“.
7. ფ. მახარაძე—თხზულებანი ძე-11, 3, 4, და 5.
8. მისივე—„საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში“.
9. ბუბლიკოვი—„ბიოლოგიური საუბრები“.
10. აკ. ქუონია—„ნ. ბარათაშვილი, როგორც მგოსანი და მოქალაქე“.
11. კ. კაპანელი—„ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი“.
12. მოტილოვი—„პოლიტიკური ეკონომია“.
13. ს. ხუნდაძე—„სოციალიზმის ისტორია“, ტ. 1-ლი და 2.
14. ვ. კაკაბაძე—„პირველი მუშაობანი ქიმიაში“.
15. ტიუმენევი—„შრომის ისტორია“.
16. გ. გეხტმანი—„მსოფლიოს ეკონომ. გეოგრაფია“.
17. ქ. რაჭველიშვილი—„საქართველოს მოკლე ისტორია“.
18. მ პოკროვსკი—„რუსეთის ისტორია“.
19. გ. დევდარიანი—„კომკავშირის სათავეებთან“.
20. მისივე—„ნარკვევი კომკავშირის ისტორიიდან“.
21. ფ. მახარაძე—„მასალები საქ. კომპ. ისტორიიდან“.
22. ვოლოსევიჩი—„საკავშ. კომპარტიის ისტორია“.
23. ს. გორგაძე—„ქართული ლექსი“.
24. თ. ჟღენტი—„1905 წელი გურიაში, სამეგრელოში და შორაპანის მაზრაში“ (სამი წიგნი).
25. ა. ლუნაჩარსკი—„დასავლეთ ევროპის ლიტერატ. ისტორია“ ტ. I.
26. გურვიჩი—„საბჭოთა კონსტიტუციის საფუძვლები“.

მეათე ჯგუფი

1. შ. სიხარულიძე, დ. ლორთქიფანიძე და ლ. ციხისთავი—„კლასთა ბრძოლის ისტორია“, ტ. 2.
2 Канделаки и Мгеладзе—„Труд и знание“.
3. კ. სულაქველიძე—„სწორწიროვანი ტრიგონომეტრია“.
4. ა. ხარაბაძე და დევიძე—„ტრიგონომეტრია“
   } ერთი ამათგანი.
5. კისელიოვი—„ალგებრა“.
6. ა. ხარაბაძე და გიორგობიანი—„ალგებრული ამოცანები“.
7. კ. ბერიძე—„ლოგარითმების ცხრილი“.
8. კ. კანდელაკი—„გეომეტრია .
9. დემიდოვი—„საბჭოთა კონსტიტუცია“.
10. სეგალი და ტალი—„საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური პოლიტიკა“.
11. მოდესტოვი—„ფიზიკა, ტ. 2.
12. სოზონოვი და ვერხოვსკი—„ქიმიის სახელმძღვანელო“.

და ხმარე წიგნები იგივე, რაც მე-8 და მე-9 ჯგ.

პედაგოგიური განხრის ცხრაწლედისათვის

1. კორნილოვი—„ფსიქოლოგია“.
2. მისივე—„სკოლის ასაკამდე ბავშის ყოფა-ცხოვრება“.
3. წულუკიძე, მაჩაბელი და ერისთავი—„წერა-კითხვა საბავშო ბაღში“.
4. უნაფქოშვილი—„ბუნება საბავშო ბაღში“.
5. „მასწავლებლის თანამგზავრი“ (კრებული).
6. გ. დევდარიანი—„პედოლოგია“.
7. კ. კაპანელი—„პედოლოგია“.
8. პაილი—„ფსიქოლოგიის გამოყენება სწავლების დროს“.
9. Группа преподавателей—„Методич. руководство по изучен. русск. яз.“
10. გ. ბურჭულაძე—„მათემატიკის სწავლების მეთოდიური სახელმძღვანელო“.
11 გ. ეგნატაშვილი—„ფიზიკური აღზრდა შრომის სკოლებში.“
12. რ. ნიკოლაძე—„როგორ ვასწავლოთ წერა კითხვა“.
13. მასწავლებელთა ჯგუფი—„შრომის სკოლის პრინციპები“.
14. პ. ჭანიშვილი—„მასწავლებელი და თვითგანვითარება“.
15. პრუშიცკაია—„სკოლის ასაკამდე ბავშის აღზრდა“.
16. დემურია და კიზირია—„მხარეთმცოდნეობა შრომის სკოლაში“.
17. დ. თურდოსპირელი—„მხარეთმცოდნეობის საკითხი“.
18. ერტლი—„სახალხო სკოლა“.
19. Билибина и Церетели—„Русский язык в грузинской школе“.
20. გორგაძე და აბესაძე—„პიონერ-კოლექტივის მუშაობა“.
21. გორგაძე და ბარსეგოვი—„პიონერთა თამაშობანი“.

სასოფლო-სამეურნეო განხრა

1. ქიქოძე—„მევინეობა“.
2. ბელსკი—„სასოფლო-სამეურნეო ჰიდრო-ტეხნიკა.
3. კონგე—„მაკე საქონლის ძოვლა“.
4. ნაკაშიძე—„სიმინდის ჩრჩილი“.
5. ნაკაშიძე—„ჩაის ბუჩქი, მისი გაშენება და მოვლა“.
6. ნაკაშიძე—„თხილი, მისი გაშენება და მოვლა“.
7. ჩირაძე—„მეფრინველეობა“.
8. თვალჭრელიძე—„ციტრუსოვანთა კულტურა“.
9. ლვალაძე—„ვენახების აღდგინა“.
10. სურგულაძე—„ტყე და მისი მნიშვნელობა“.
11. ნაკაშიძე—„მევენახეობა და მეღვინეობა“.
12. ბათიაშვილი—„ბამბისა და თამბაქოს მავნებლები“.
13. ა. წულაძე—„ფუტკარი და მეფუტკრეობა“.

სახელგამის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე

ს. კაიტანჯიანი.

კოოპერატიული განხრა

1. მასლოვი—„კოოპერაციის საფუძვლები“.
2. კირნეევი—„კოოპერაციის ისტორია“.
3. ი. გაბილაია—„კოოპერაცია და ახალგაზრდობა“.
4. შ. გოგებაშვილი—„სამომხმ. კოოპერაციის ორგანიზაცია“.
5. ლიუბინსკი და დიკანსკი—„სამომხმ. კოოპერაციის ისტორია“.
6. ვ. ხიუნიაკოვი—„კოოპერატ. ამხ—ბის კაპიტალები“.
7. ცაგარეიშვილი—„კოოპერატ. კრედიტ. ორგანიზაცია“.
8. მაკაროვი—„ს. ს. რ. კ. სამომხმ. კოოპ. ისტორია“.
9. გალაგანი—„სავაჭრო ანგარიშის წარმოება“.
10. ლიტვაროვი—„კოოპერაციის ანბანი“.
11. ბორისოვი—„კოოპერატიული ქრესტომატია“.
12. ვ. ლე-კურტე—„ბალანსმცოდნეობა“.

ქართული ენა არაქართულ სკოლებისათვის

1. კალანდარაშვილი და სხ.—„ცოცხალი სიტყვა“. 3 და 3 ჯგ.
2. ბურჯანაძე—„ქრესტომატია არაქართველთათვის“. 8-9-10 და ტეხნიკ.
3. ბეგიაშვილი—„ქართული ენის სახელმძღვანელო“. 5 ჯგ.
4. ქარცივაძე და წულეისკირი—„ქართული ენა“. 8-9-10 ჯგ.
5. სიხარულიძე და მეტრეველი—„ძმობა“ მე-5 და მე-6 ჯგ.

ქართული ენა შრომის სკოლებში

1. შიო არაგვისპირელი—„რა ზიზღით მიცქერის და სხვ.“ (მე-5 და მე-9 ჯგ.
2. მ. ჯავახიშვილი—„ჩანჩურა“, „მართალი აბდულა“ (მე-5 ჯგ.)
3. ა. წერეთელი—„მოგონება“ (მე-5 ჯგ.)
4. არსენას ლექსი (მე-5 ჯგ.)
5. ა. წერეთელი—„რჩეული ლექსები“ (5, 6, 7 და მე-9 ჯგ.)
6. ნ. ლომოური—„ყოველი მხრიდან“ (მე-5 ჯგ.)
7. „ —„ბედი უბედურთა“ (მე-9 ჯგ.)
8. „ —„ალი“ (მე-9 ჯგ.)
9. „ —„ქრისტიანი ლეკები“ (მე-9 ჯგ.)
10. „ —„გიგო ლრუბელაშვილი“ (მე-7 და მე-9 ჯგ.)
11. ს. შანშიაშვილი—„ურემი, შემა და სხვ.“ (მე-5 ჯგ.)
12. გ. ერისთავი—„გაყრა“ (მე-6 და მე-9 ჯგ.)
13. „ —„დავა“ (მე-9 ჯგ.)
14. დ. ჭონქაძე—„სურამის ციხე“ (მე-6 და მე-9 ჯგ.)
15. შ. არაგვისპირელი—„ჩემი ბრალი არ არის“ (მე-6 ჯგ.)
16. დ. კლდიაშვილი—„ქამუშაძის გასაჭირი“ (მე-6 და მე-9 ჯგ.)
17. „ —„სამანიშვილის დედინაცვალი“ (მე-6 და მე-9 ჯგ.)
18 ი. ჭავჭავაძე—„ოთარაანთ ქვრივი“ (მე-6 და მე 8 ჯგ.)
19. „ —„გლახის ნაამბობი“ (მე-6 და მე-9 ჯგ.)
20. „ —„რჩეული ლექსები“ (მე-6, მე-7 და მე-9 ჯგ.)
21. „ —„კაცია ადამიანი“ (მე-6 და მე-9 ჯგ.)
22. „ —„კაკო ყაჩაღი“ (მე-5 და მე-9 ჯგ.)
23. „ —„განდეგილი“ (მე 7 და მე-9 ჯგ.)
24. „ —„სახრჩობელაზე“ (მე-7 და მე-9 ჯგ.)
25. ო. თუმანიანი—„გიქორ“ (მე-5 ჯგ.)
26. ს. მგალობლიშვილი—„და შეფიცას“ (მე-7 და მე-9 ჯგ.)
27. „ —„ჯორ-ზაქარა“ (მე-9 ჯგ.)
28. „ —„დედა მაია“ (მე-9 ჯგ.)
29. ჰ. ლომთათიძე—„პირველი მაისი და სხვ.“ (მე-7 და მე-9 ჯგ.)
30. ი. ეკალაძე—„ზღვის პირად“ და სხვ.“ მე-7 ჯგ.)
31. ე. ნინოშვილი—„განკარგულება“ „გ. უიშვილი“ (მე-5 და მე-9 ჯგ.)
32. „ —„მოსე მწერალი“ (მე-6 და მე 9 ჯგ.)
33. „ —„სიმონა“ (მე-7 და მე 9 ჯგ.)
34. „ —„პალიასტომის ტბა“ (მე-6 და მე-9 ჯგ.)
35. „ —„ჩვენი ქვეყნის რაინდი“ (მე-6 და მე-9 ჯგ.)
36. ა. ყაზბეგი—„ხევის ბერი გოჩა“ (7 და 9 ჯგ.)
37. „ —„მოძღვარი“, „ელისო“ (7 და 9 ჯგ.).
38. მ. გორკი—„ქარიშხალი“ (7 ჯგ.).
39. ნ. მიწიშვილი—„თებერვალი“ (9 ჯგ.).
40. ლ. ქიაჩელი—„ტარიელ გოლუა“ (7 ჯგ.).
41. დ. სულიაშვილი—„ლენინთან პეტროგრადამდე“ (7 ჯგ.).
42. „ —„ჩიკორი“ (7 ჯგ.).
43. ლ. არდაზიანი—„სოლომონ მეჯღანუაშვილი“ (7 და 9 ჯგ.).
44. გ. წერეთელი—„პირველი ნაბიჯი“ (7 და 9 ჯგ.).
45. რ. ერისთავი—„რჩეული ლექსები“ (5 და 9 ჯგ.).
46. ი. დავითაშვილი—„რჩეული ლექსები“ (5 და 9 ჯგ.).
47. „ხალხური შემოქმედება“ 1 და 2 ნაწ. (8 ჯგ.).
48. ალ. ჭავჭავაძე, გ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი—„რჩეული ლექსები“ (7 და 8 ჯგ.).
49. ნ. ჩხიკვაძე, ნ. ზომლეთელი, ს. ეული, ა. აბაშელი, გ. ქუჩიშვილი, ი. ვაკელი—„ლექსთა კრებული“ (6, 7 და 9 ჯგ.).
50. ვაჟა-ფშაველა—„პოემები და ლექსები“ (5, 6, 7 და 9 ჯგ.).
51. ი. ევდოშვილი—„რჩეული ლექსები“ (5, 6, 7 და 9 ჯგ.).
52. გ. ტაბიძე—„1917 წ. ჯონ-რიდი“ (9 ჯგ.).
53. კ. ლორთქიფანიძე—„პიონერი თანდო“ და სხ. (5, 6, და 7 ჯგ.).
54. ი. გრიშაშვილი, კ. ჭიჭინაძე, ვ. გაფრინდაშვილი, ი. მოსაშვილი და ვ. გორგაძე—„ლექსთა კრებული“ (5 და 6 ჯგ.).
55. პუშკინი—„ევგენი ონეგინი“ (9 ჯგ.).
56. გრიბოედოვი—„ვაი ჭკუისაგან“ (9 ჯგ.).
57. სერვანტესი—„დონკიხოტი“ (9 ჯგ.).
58. შექსპირი—„ჰამლეტი“ (9 ჯგ.).
59. მოლიერი—„გააზნაურებული მდაბიო“ (9 ჯგ.).
60. ბომარშე—„ფიგაროს ქორწინება“ (9 ჯგ.).

სახელგამის საგამომცემლო ნაწილის გამგე

ნ. მიწიშვილი.

ტირაჟი—44,916

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამის ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.